დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის
5 - 11 თებერვალი

N7 1525

ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

# «შევარდნაძემ მითხრა: ჩემ შემდეგ საქართველოს მაყურებელი ბიძინა იქნებაო!»





„ზვიადისა და ზურაბ ჟვანიას მკვლელობები გახსნილია, მაგრამ არ აცხადებენ!“

8-10



6-7

## ქვანიას 19 წელი



ერეკლე დეისაძე: USAყვედუროდ 13



## მეტი ნათა ციხეში!

22



2

## ახალი პრემიერ-მინისტრის პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სააკაშვილის ციხეში გადაყვანა უნდა იყოს!

# სააკაშვილის ნაცკარადი უნდა დამთავრდეს!

***კვლავინდებურად კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში წამოკოტრიალებული მსჯავრდებული ნაცბელადი, რომელიც, მისივე მომხრე ექიმების თქმით, ფსიქოლოგიურად არასტაბილურია, აცხადებს, რომ მზად არის, საქართველო „ბიძინა ივანიშვილის კლანჭებიდან დაიხსნას“.***

**სააკაშვილმა,** რომელმაც მსოფლიო მედიცინის ისტორიაში სასწაული მოახდინა და დემენცია დაამარცხა, თუმცა, დეპრესიასა და შფოთვებს ვერაფერს უხერხებს, ამა წლის 1 თებერვალს გამართული „ქართული ოცნების“ რიგგარეშე ყრილობის ფონზე, სოციალურ ქსელში დაწერა:

**„ამ არჩევნებში ოლიგარქს საქართველოს კლანჭებიდან გავაგდებინებ, ამისათვის ვარ მე აქ, ამისათვის ვთქვი უარი პრივილეგიებზე და კომფორტზე, ჩავიგდე სიცოცხლე საფრთხეში და ძალ-ღონეს არ დავიშურებ ქართველი ხალხის გადარჩენისთვის. მალე ამ ბრძოლაში ჩემს ადგილსაც საბოლოოდ გამოვკვეთ“.**

იქიდან გამომდინარე, რომ სახალხო დამცველთან არსებული კონსილიუმის წევრის, ნევროლოგ **თენგიზ წულაძის** თქმით, სააკაშვილს გამოხატული შფოთვა და დეპრესია აღენიშნება, **საინტერესოა, როგორ უნდა მივიღოთ ნაცბელადის განცხადება ივანიშვილის კლანჭებიდან საქართველოს გამოხსნისა და ქართველი ხალხის გადარჩენის შესახებ — როგორც საღ ჭკუაზე მყოფი პოლიტიკური ლიდერის წინასაარჩევნო დაპირება თუ როგორც შფოთვებითა და დეპრესიით შეპყრობილი ადამიანის ნაბოდვარი?**

თუ გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილი მაინცდამაინც საღი ჭკუითა და ფსიქიკით არც დაპატიმრებამდე გამოირჩეოდა, მისი ნათქვამი — **ამ არჩევნებში ოლიგარქს საქართველოს კლანჭებიდან გავაგდებინებო** — ალბათ, ისე უნდა გავიგოთ, როგორც ერთი სპეციფიკური დაწესებულების პაციენტთა მტკიცებანი მათი დავით აღმაშენებლობის, ნაპოლეონობის, ალექსანდრე მაკედონელობისა თუ პირდაპირ იესო ქრისტეობის შესახებ!

აკი, ნაცბელადს აღმაშენებელთან, **ჯორჯ ვაშინგტონთან** და სხვა დიდ მოღვაწეებთან თავის გატოლება ჯერ კიდევ თავისი პრეზიდენტობისას უყვარდა!

**ჰოდა, ახლა, როცა სააკაშვილისათვის შფოთვასა და დეპრესიას დაურევია ხელი, რაღა გასაკვირია, რომ საკუთარი თავი საქართველოსა და ქართველი ხალხის მხსნელად წარმოუდგენია?**

არასტაბილურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, შფოთვებსა და დეპრესიას უნდა მივაწეროთ ისიც, რომ **მსჯავრდებული ნაცბელადი** აცხადებს — **საქართველოში ჩამოსვლით პრივილეგიებზე უარი ვთქვი და სიცოცხლე საფრთხეში ჩავიგდეო!** სინამდვილეში, ყველაფერი სულ პირიქით იყო — **სააკაშვილმა პრივილეგიებზე კი არ თქვა უარი, პრივილეგიების გამო უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე და ქართული პასპორტი უკრაინულ პასპორტში გაცვალა, რათა ოდესის გუბერნატორის თანამდებობა დაეკავებინა.**

სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას რაც შეეხება, **გია ლორთქიფანიძის** მიერ **ელგუჯა ცომაიას** ტრაილერის კონტეინერში ჩადებული სააკაშვილი საქართველოში იმიტომ შემოიპარა, რომ დარწმუნებული იყო, ვერ დაიჭერდნენ, ნაცმოძრაობის მიტინგზე მოულოდნელად გამოჩნდებოდა და ხელისუფლებას ქუჩიდან დაამხობდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, თუ დააპატიმრებდნენ, მისი ასეულათასობით მომხრე ციხეს შტურმით აიღებდა და ბელადს მეორე დღესვე გაათავისუფლებდა.

აბა, ერთი ისიც გავიხსენოთ, როგორ დიდგულობდა ჯერ კიდევ უკრაინაში მყოფი სააკაშვილი — **ივანიშვილის ზებრა კი არა ვარ, დამიჭიროს და გალიაში ჩამსვასო!**

მოკლედ, ნაცბელადი მაშინაც არაადეკვატური იყო და, მით უფრო, არაადეკვატურია დღეს, როცა აცხადებს — **ამ არჩევნებში ოლიგარქს საქართველოს კლანჭებიდან გავაგდებინებო!**

## პატიმრობაში მყოფ სააკაშვილს თუ ვინმესთვის რამის გაგდებინება შეეძლო, ეს მან უკვე გააკეთა, როცა რუსთავის ციხის გრძელვადიანი პაემნების ოთახში ლიზა იასკოსთან ბავშვი გააკეთა!

როგორც სახალხო დამცველთან არსებული კონსილიუმის წევრი, **ნევროლოგი წულაძე** აღნიშნავს, სააკაშვილის ზოგადი მდგომარეობა გაუმჯობესებულია, წონაშიც მოიმატა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება... მაშ, კიდევ რამდენი ხანი უნდა გააჩერონ „ვივამედის“ ლუქს-პალატაში გამოჯანმრთელებული, წონაში მომატებული და ფერზე მოსული ნაცბელადი, რომელიც თავადვე აცხადებს — **ვინც ცდილობს, დავრდომილად წარმომაჩინოს, ჩემი მტერიაო!** კიდევ როდემდე არ უნდა გადაიყვანონ ციხეში სააკაშვილი, რომელსაც არაფერი ჭირს იმის გარდა, რომ პატიმრობას ვერ ეგუება და დეპრესიაშია ჩავარდნილი? ძვირადღირებულ კერძო კლინიკაში სააკაშვილის მოვლა-შენახვისათვის კიდევ რამდენი საბიუჯეტო რესურსი, ანუ ხალხის ფული უნდა დახარჯოს ქართულმა სახელმწიფომ?

ახლა ქვეყანაში პოლიტიკური რეალობა შეიცვალა — **საქართველოს მთავრობას ახალი მეთაური ჰყავს და საზოგადოების დიდი ნაწილი ახალი პრემიერ-მინისტრისაგან ახალ ნაბიჯებს ელოდება, რომელთა შორისაც ერთ-ერთი პირველი უნდა იყოს იმ უმსგავსობისა და უსამართლობის დასრულება, რასაც „ვივამედის“ ოროთახიან სამედიცინო აპარტამენტში პატიმარ სააკაშვილის კოტრიალი ჰქვია!**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პოზიცია დიდი ხანია, ცნობილია — **სააკაშვილს ციხეში მაშინ დავაბრუნებთ, როცა ექიმებისაგან შესაბამის რეკომენდაციას მივიღებთო, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ სააკაშვილის ციხეში დაბრუნებას ექიმების რეკომენდაცია კი არა, უმაღლეს ხელისუფალთა პოლიტიკური გადაწყვეტილება და მტკიცე ნება სჭირდება!**

ნამდვილად არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრის **ირაკლი კობახიძისადმი** ქართველი ხალხის გადამწყვეტი უმრავლესობის პირველი დავალება სწორედ სააკაშვილის ციხეში დაბრუნებაა!

დიახ, **პრემიერ-მინისტრ კობახიძის** პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სააკაშვილის ციხეში გადაყვანა უნდა იყოს!

შეიძლება ითქვას, სააკაშვილის საპატიმროში დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი იქნება, რომელიც საზოგადოებას დაანახვებს, საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი, კონსტიტუციის სპეციალისტი ირაკლი კობახიძე რამდენად არის მზად, პირველ ადგილზე სწორედ კონსტიტუცია, კანონის უზენაესობა და სამართლიანობა დააყენოს!

**ერთხელ და საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი პატიმარ სააკაშვილის პრივილეგირებულობას და მის დაყენებას არამხოლოდ სხვა პატიმრებზე, არამედ კანონსა და სამართალზე მაღლა!**

ეს მასკარადი თუ ნაცკარადი უნდა დამთავრდეს და **საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა...**



## ახალი პრემიერის პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სააკაშვილის ციხეში გადაყვანა უნდა იყოს!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



წინ გველის მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც **მოსახლეობის ძლიერი მხარდაჭერის** ფონზე ვხვდებით. **ჩვენს პოლიტიკურ გუნდს საზოგადოების ასეთი მაღალი ნდობა 2012 წლის შემდეგ არ ჰქონია.** დარწმუნებული ვარ, საპარლამენტო არჩევნებში **ძალიან დიდი უპირატესობით გავიმარჯვებთ,** რაც გახდება საფუძველი ქვეყნის შემდგომი წინსვლისა და განვითარებისთვის.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



2008 წელს **ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“** რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, არ მოხდებოდა აგვისტოს ომი. **ჩვენ ვრჩებით მშვიდობისა და დემოკრატიული განვითარების უმთავრეს გარანტად.**

„პირველი არხი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი, პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი*



ისეთი მხარდაჭერა, როგორიც დღეს აქვს ჩვენს პარტიას, არ ჰქონდა 2012 წლის შემდეგ. **ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია კონსტიტუციური უმრავლესობით მოვიდეს.**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ყველაფერი აჩვენებს, თუ **რამდენად ძლიერი იყო ეს ტანდემი, ირაკლი ღარიბაშვილის და ირაკლი კობახიძის** სახით.

„ინტერპრესნიუსი“

**ჯუანშერ ბურჭულაძე**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



შემოთავაზება მივიღე, რომ **განვიხილო ნატოში ელჩობის თანამდებობა,** რისთვისაც ახალ პრემიერს მადლობას ვუხდი — ეს იქნება 4 თვის შემდეგ, **სავარაუდოდ, დავთანხმდები.**

„ინტერპრესნიუსი“

# სააკაშვილის ციხეში დაბრუნებას ექიმების რეკომენდაცია კი არა, უმაღლეს ხელისუფალთა პოლიტიკური გადაწყვეტილება და მტკიცე ნება სჭირდება!

**მიხეილ სააკაშვილის საპატიმროში დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი იქნება, რომელიც საზოგადოებას დაანახვებს, საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი, კონსტიტუციის სპეციალისტი ირაკლი კობახიძე რამდენად არის მზად, პირველ ადგილზე სწორედ კონსტიტუცია, კანონის უზენაესობა და სამართლიანობა დააყენოს!**



**ნისტრმა** საბოლოოდ გამოკვეთოს ადგილი **მსჯავრდებული სააკაშვილისათვის,** რომელიც აცხადებს — **ივანიშვილისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩემს ადგილს მალე საბოლოოდ გამოვკვეთო!**

კანონმა და სამართალმა სააკაშვილის ადგილი ჯერ კიდევ **2021 წლის 1 ოქტომბერს გამოკვეთა** იქ, სადაც ჯერ არს — **რუსთავის მე-12 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, პრემიერ კობახიძეს** კი კანონისა და სამართლის აღსასრულებლად, უბრალოდ, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება მართებს!

***ჯაბა ხუბუა***



***ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და მთავრობაში მომხდარ ცვლილებებს აფასებს:***



# ელიზბარ ჯაველიძე:

# იცით, ამაზე ირაკლი ღარიბაშვილმა რა მიპასუხა? – მე ბიძინა ივანიშვილის გაზრდილი ვარ, ბატონმა ბიძინამ დამაყენა გზაზე და უფლება არ მაქვს, წინ გადავუხტეო!

— 87 წელს მიტანებული კაცი ვარ, პოლიტიკოსობაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ, მგონი, ცხოვრებისა რაღაც გამეგება და ერთ რამ ვიცი — ადამიანი მანამდე ცოცხლობს, სანამ რაღაცის იმედი აქვს! თუ იმედი მოკვდა, ადამიანიც მკვდარია... **ზვიადის მკვლელობის შემდეგ საშინელ მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს, რადგან ვფიქრობდი, რომ ვიღაც აუცილებლად გამოჩნდებოდა და შევარდნაძესაც და სააკაშვილსაც კუთვნილ ადგილს მიუჩენდა.** ასეთი იმედი გამოჩნდა — **ბიძინა ივანიშვილი, რომლის მეთაურობითაც ქართველმა ხალხმა სააკაშვილი და მისი ხროვა განდევნა.** ეს არ ყოფილა ადვილი საქმე. რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, იცით, რატომ ვცემ ამ ახალგაზრდა კაცს პატივს? იმიტომ, რომ მან ერთგულების, მეგობრობისა და კაცობის ფასი იცის. **ღარიბაშვილმა გარკვევით თქვა, რომ ოჯახი არის ქალისა და კაცის ერთობა და არავითარი სხვა!** მეორე — **ირაკლი ღარიბაშვილმა** განაცხადა, რომ საქართველო იმოქმედებს თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად! მესამე — მისი სიტყვებია: **განათლება უნდა დაიწყოს დიდგორის ველიდან** და მეოთხე —**ნაცები არიან ნაძირალები!**

აი, ყველა ამ მოსაზრების გამო და კიდევ იმიტომ, რომ **ირაკლი ღარიბაშვილი** არის უღალატო კაცი, დღეს სა-

***გაგრძელება მე–4 გვერდზე***



## კვირგვინოსნები



**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*

ორივე ირაკლის, **ღარიბაშვილსაც და კობახიძესაც** აქვთ ორივე მიმართულებით ძალიან კარგი გამოცდილება — მენეჯმენტის კუთხით, პარტიული მუშაობის კუთხით, **მათ აქვთ როგორც გუნდის შიგნით, ისე ქვეყანაში განსაკუთრებული ავტორიტეტი** და ვფიქრობ, რომ მათი მენეჯერული, პროფესიონალური უნარები, პატრიოტიზმი **ამ ქვეყანასაც, პარტიასაც და სამთავრობო გუნდსაც ერთიორად გააძლიერებს.**

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **საკონსტიტუციო უმრავლესობისთვის ვიბრძოლებთ და არა უბრალოდ გამარჯვებისთვის.**

„ინტერპრესნიუსი"



**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*

მე წილად მხვდა ბედნიერება, **ირაკლი ღარიბაშვილისაგან** ბევრი რამ მესწავლა, ვსწავლობ და მომავალშიც ასე იქნება. **ირაკლის ადამიანური თვისებების შესახებ** საჯაროდ არასოდეს მისაუბრია. ესენია: **ღირსება, ერთგულება, ვაჟკაცობა, თავდადება და სხვისი გასაჭირის საკუთრად აღქმა.** არაერთი შემთხვევის მომსწრე ვარ, თუ როგორ დახმარებია სრულიად ჩუმად ადამიანებს და ამის შესახებ არავის გაუგია და ვერც ვერასოდეს გაიგებს. საქართველოსთვის რამდენი რამ გაუკეთებია, ამაზე მე არ ვისაუბრებ, ისტორია იტყვის თავის სათქმელს. მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ **იგივე კანდიდატის სტატუსი, რაც თანამედროვე საქართველოს უდიდესი ისტორიული მონაპოვარია, მისი უდიდესი ძალისხმევის შედეგია. ყველა კარგი საქმის უპრეცედენტოდ ძლიერი მხარდამჭერა ირაკლის ხელწერაა.**

ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ღირსეული მეგობარი მყავს. **მადლობა ყველაფრისთვის, ჩემო ირაკლი.**

„ფეისბუქი"



**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*

ვიღაც გაოგნებულ, ორთოდოქს ნაცს თუ ჰგონია, **ირაკლი ღარიბაშვილი** ვინმემ მოიშორა, ან რეგვენია, ან, უბრალოდ, ცდება. **რეფორმა გაატარა, მშვიდობა შეინარჩუნა, კანდიდატის სტატუსი დადო, ენის მოჩლექვით ქვეყანა არავის დღეს არ ესაუბრება,** ნებისმიერი შედეგი, რასაც ქვეყანამ მიაღწია, არ ყოფილა და აწი არ იქნება ღირსების ხარჯზე.

„აიპრესი"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ქართველოში მისი რეიტინგი არის ძალიან მაღალი და ხალხსაც უყვარს!

**სიმართლე გითხრათ, ირაკლი ღარიბაშვილი მე უფრო მაშინ დავაფასე, როცა ის პრემიერ-მინისტრის პოსტიდან პირველად გადადგა.** მაშინ ირაკლი ღარიბაშვილს მეგობრების გარემოცვაში რამდენჯერმე შევხვდი და რაღაც შევთავაზე. ჩემს წინადადებაზე მისმა პასუხმა მომხიბლა. აღფრთოვანდი მისი ვაჟკაცობითა და ერთგულებით!

**— მაინც რა შესთავაზეთ ირაკლი ღარიბაშვილს?**

— ერთ-ერთი შეხვედრის დროს, როცა პრემიერ-მინისტრი აღარ იყო და არც არავითარი პოსტი არ ეჭირა, მე მას ვუთხარი — **ბატონო ირაკლი, თქვენი პოპულარობა გამოვიყენოთ და დამოუკიდებლად ვიბრძოლოთ საქართველოს გადასარჩენად-მეთქი!** იცით, ამაზე ირაკლი ღარიბაშვილმა რა მიპასუხა? — **მე ბიძინა ივანიშვილის გაზრდილი ვარ, ბატონმა ბიძინამ დამაყენა გზაზე და უფლება არ მაქვს, წინ გადავუხტე!** აი, ამ სიტყვების მერე ირაკლი ღარიბაშვილი კიდევ უფრო მეტად დავაფასე და შვილივით შევიყვარე. აი, ამის შემდეგ გახდა ის საქართველოს თავდაცვის მინისტრი და შემდეგ — პრემიერ-მინისტრი.

დარწმუნებული ვარ, რომ ირაკლი ღარიბაშვილს წინ დიდი მომავალი აქვს. ფაქტია, რომ მისი პრემიერ-მინისტრობა საქართველოს კარგად აქვს დაბეჭდებული — პირველად საქართველომ **ვიზალიბერალიზაცია** მოიპოვა, ხოლო ღარიბაშვილის მეორე პრემიერობის ჟამს საქართველოს **ევროსტატუსი** მიანიჭეს! ამ დღეებში თვალი გადავავლე ყველა პრემიერ-მინისტრის ნამოღვაწარს და შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ირაკლი ღარიბაშვილის დონის ჩვენ არ გვყოლია! **ირაკლი ღარიბაშვილმა** ქართული ღირსებით სავსე პოლიტიკოსის სახე შექმნა, რომელსაც მსოფლიო ასპარეზზე არავის წინაშე კუდის ქიცინი არ დაუწყია.

**— თქვენ ისე ლაპარაკობთ, რომ ირაკლი ღარიბაშვილს მესამეჯერაც უწინასწარმეტყველებთ პრემიერ-მინისტრობას?**

— ალბათ, ასეც იქნება. **შესაძლოა, ცოცხალი აღარ ვიყო და ვერ მოვესწრო, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრი მესამეჯერაც გახდება!**

**— თქვენი აზრით, რა მოხდა და რატომ გამოიცვალა წარმატებული პრემიერ-მი-**



# ელიზბარ ჯაველიძე:

# ირაკლი კობახიძე ძალიან ნიჭიერი და პრინციპული ახალგაზრდაა, რომელსაც კუდის ქიცინი და ცალ ფეხზე დგომა არ სჩვევია!

**„პარტიას სათავეში ჩაუყენეს ყველაზე მაღალრეიტინგული ფიგურა — ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც 2024 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში ნაცები და ნაცების მოკავშირეები საბოლოოდ უნდა დაასამაროს!“**



ირაკლი ღარიბაშვილი და ირაკლი კობახიძე „ქართული ოცნების“ რიგგარეშე ყრილობაზე. 2024 წლის 1 თებერვალი



გიორგი კვირიკაშვილი და მამუკა ხაზარაძე



გიორგი მარგველაშვილი და სალომე ზურაბიშვილი



გიორგი გახარია

**„ხაზარაძე რომ ასეთ დღეშია და ციხეში არ ზის, ეს სწორედ ამ ხელისუფლების ბრალია!“**

**„გიორგი კვირიკაშვილი ნაძირალა მამუკა ხაზარაძეს შეეკრა და ფულის კეთება დაიწყო; გიორგი მარგველაშვილმა ქართველები „გონებაშეზღუდულებად“ გამოგვაცხადა; გიორგი გახარიას მთელი რუსეთის სპეცსამსახურები ჰქონია გამოვლილი, ხოლო ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი საქართველოს მტრობს!“**

## კვირგვინოსნები

**ნანა კაკაბაძე**

*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ დამფუძნებელი*



არაა გასაკვირი, რომ **ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი კობახიძე** შეარჩია განახლებული გუნდის ლიდერად — ამდენი წლის მანძილზე **მას არათუ კორუფციაში, არამედ თუნდაც მსუბუქ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაშიც კი ვერავინ ადანაშაულებს.**

„აიპრესი“

**გოგა ხაინდრავა**

*კონფლიქტოლოგი*



2024 წელიც ქვეყნისთვის გამოცდა იქნება, **ბეწვის ხიდზე მოგვიწევს გავლა.** მოგეხსენებათ, გარე, ძალიან დიდი ძალები **საქართველოს ომში ჩართვას ცდილობდნენ.** მიუხედავად დიდი მონდომებისა, ამის გაკეთება ვერ მოახერხეს, რაშიც **ორივე ირაკლის უდიდესი წვლილი მიუძღვის.** ამიტომ, როცა **ერთ ღირსეულ ადამიანს** თანამდებობაზე **მეორე ღირსეული ცვლის,** ეს მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის, ხელისუფლებისა და თავად საზოგადოების წინსვლაზე მეტყველებს.

„საერთო გაზეთი“

**სოზარ სუბარი**

*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**ნაცმოძრაობა არის აგენტურა, რომლის მეშვეობითაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ცდილობენ, რომ მართონ ეს ქვეყანა.** ეს გამოიხატება საქართველოს ომში ჩართვის დაუსრულებელ მცდელობებში, **სანამ ეს აგენტურა არ გასამართლდება და ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა,** მანამდე ისინი ჩვენს ქვეყანას არ მოასვენებენ.

„იმედინიუსი“

**ირაკლი ზარქუა**

*პარლამენტარი*



მიუხედავად იმ მცდელობისა, რომ **ზოგიერთი ხელმოცარული ყვავი დაჩხაოდა ამ პროექტს,** მაინც შეძლეს დასრულება — **მინდა, ნაცებს მივმართო — გამოდით ბიჭო, წერეთელზე, მინდა, დაგთვალოთ!**

„ინტერპრესნიუსი“

# „არ გამოვრიცხავ, ახალი პარლამენტის თავმჯდომარე სწორედ ირაკლი ღარიბაშვილი გახდეს!“

**ნისტრი, რომელმაც საქართველოს ევროსტატუსი მოუტანა?**

— როგორც ჩანს, თანამედროვე „გაცისფრებულ“ მსოფლიოში **ირაკლი ღარიბაშვილის** ეროვნულმა პოზიციამ და გზავნილებმა ვიღაც-ვიღაცები შეაშფოთა და საქართველოზე ძლიერი ზეწოლა მოხდა. თუმცა, მე სხვასაც ვფიქრობ. **ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მობრუნება აშკარად იმის ნიშანია, რომ სახელისუფლებო გუნდში, კერძოდ, საკუთრივ პარტია „ქართულ ოცნებაში“ ყველაფერი რიგზე არ არის.** ამიტომ პარტიას სათავეში ჩაუყენეს ყველაზე მაღალრეიტინგული ფიგურა — **ირაკლი ღარიბაშვილი,** რომელმაც 2024 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში ნაცები და ნაცების მოკავშირეები საბოლოოდ უნდა დაასამაროს!

**— რას იტყვით ირაკლი კობახიძის შესახებ, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრად წარადგინეს?**

— **ირაკლი კობახიძე** ძალიან ნიჭიერი და პრინციპული ახალგაზრდაა, რომელსაც კუდის ქიცინი და ცალ ფეხზე დგომა არ სჩვევია! ამიტომ ამ ახალგაზრდა კაცს მხოლოდ სიკეთესა და წარმატებას ვუსურვებ. საერთოდ, ბიძინა ივანიშვილი შინაგანად ძალიან წესიერი კაცია, ყველა ასეთი ჰგონია და ამით ბევრმა გარეწარმა ისარგებლა. ასე, მაგალითად, **გიორგი კვირიკაშვილი** ნაძირალა **მამუკა ხაზარაძეს** შეეკრა და ფულის კეთება დაიწყო; **გიორგი მარგველაშვილმა** ქართველები „გონებაშეზღუდულებად“ გამოგვაცხადა; **გიორგი გახარიას** მთელი რუსეთის სპეცსამსახურები ჰქონია გამოვლილი, ხოლო ქალბატონი **სალომე ზურაბიშვილი** საქართველოს მტრობს!

**— ამბობენ, რომ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი სწორედ ირაკლი ღარიბაშვილი იქნება!**

— ვფიქრობ, ეს გამორიცხულია! ირაკლი ღარიბაშვილი მოძრავი ფიგურაა, მას სამოქმედო ასპარეზი სჭირდება და ამდენად, პრეზიდენტის პოსტი, რომელიც საქართველოში, ფაქტობრივად, ფიქციაა, მისთვის სრულიად უადგილოა. **არ გამოვრიცხავ, ახალი პარლამენტის თავმჯდომარე სწორედ ირაკლი ღარიბაშვილი გახდეს!** საერთოდ, ადამიანის შეფასებისას დიდი ქართველი მეცნიერის **გიორგი წერეთლის** ფორმულით ვხელმძღვანელობ. ერთხელ ბატონმა გიორგიმ თავისთან მიხმო და მითხრა — **კაცს, რომელიც ერთს ფიქრობს, მეო-**



„გურამ შარაძე, სააკაშვილის მითითებით, ჯერ ორჯერ დაიჭირეს, ხოლო შემდეგ მოკლეს!“



**რეს ლაპარაკობს და მესამეს აკეთებს, ნუ ენდობიო!** სააკაშვილი სწორედ ასეთი მასხარა გახლდათ. ბებიამისი — ცნობილი **მზია წერეთელი,** რომელიც ჩემი ბიძაშვილი იყო, ბოლო დრომდე ჩემთან დადიოდა და მეხვეწებოდა — **შენ მაგაზე დიდი გავლენა გაქვს, შენი სჯერა და ჭკუა დაარიგეო!** — მე თუ დამიჯერებს, მოკლავენ-მეთქი! — ვუთხარი

მზიას. სააკაშვილი ისეთ ძალებთან იყო შეკრული, ეგ რომ მაგათ ბრძანებებს არ დამორჩილებოდა, ერთ დღესაც არ გააჩერებდნენ ხელისუფლებაში და მართლაც მოკლავდნენ. აი, ხომ ხედავთ, რა უქნეს?! ამერიკელებმა სააკაშვილი გამოიყენეს და ნახმარი „ნასკივით“ მოისროლეს!

**— თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილს არავითარი პერსპექტივა არა აქვს?**

— გამორიცხულია, არავითარი პესპექტივა არა აქვს! **გიმეორებთ: სააკაშვილი ნახმარი „ნასკია“, რომელიც გადააგდეს!**

**— რას ეტყვით სააკაშვილსა და გიული ალასანიას?**

— მე მაგათთან ლაპარაკი დავამთავრე! გიულის, რომელზეც ამაგი მაქვს, ერთხელ შევუთვალე და კიდევ ერთხელ მივმართავ — **ბიძაჩემსა და ბიცოლაჩემს — ნიკუშა წერეთელსა და თამარ აბაშიძეს — გრიგოლ აბაშიძის დას, რომლებიც შენი ბებია და ბაბუა იყვნენ, არავითარი ქონება არ ჰქონდათ, რომ შენთვის მილიონები და სასახლეები დაეტოვებინათ!** ბიძაჩემი, მისი ძმები და მთელი სანათესაო გადასახლებული იყვნენ. **ამიტომ, გიული, მათ სახელებს ასე ჰაიჰარად ნუ ახსენებ და თავს ნუ გვჭრი, ფუფალასავით რომ დადიხარ!**

გიული ალასანია ჩემთან რომ მოდიოდა, იჯდა და ხმას არ იღებდა. ჩემი ძმაკაცები საქეიფოდ რომ მესტუმრებოდნენ, გაკვირვებას ვერ მალავდნენ და გიულის შესახებ მეკითხებოდნენ — **ეს გოგო ყრუ არის თუ ენაბლუ, დამუნჯებული რომ ზისო?!** სამწუხაროდ და საუბედუროდ, ახლა გიულიმ აიწყვიტა და ვეღარ ჩერდება!

**— ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოსაძიებლად პროკურატურას ის ხუთწლიანი დამატებითი ვადაც ამოეწურა, რომელიც პრეზიდენტმა და პარლამენტმა საგანგებო გადაწყვეტილებით განსაზღვრეს. როდის გაიხსნება ზვიად გამსახურდიას მკვლელობა?**

— ეს საქმე დიდი ხნის წი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

„ამერიკელებმა სააკაშვილი გამოიყენეს და ნახმარი „ნასკივით“ მოისროლეს!“





„ზვიადი შევარდნაძემ წამებით მოაკვლევინა და მერე გაითამაშეს სცენა, რაც კარლო ღურწკაიას სახლში ასე წარმატებით დადგეს!“

## კვირგვინოსნები

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ახალგაზრდებს, რომელთაც პოლიტიკაში ყოფნა სურთ, მოვუწოდებ — **დღესვე ჩამოშორდნენ რადიკალურ ძალებს,** რადგან ისინი ხვალინდელ ქართულ პოლიტიკაში ვეღარ იარსებებენ. „იმედინიუსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი*



გვარამია **არათუ შორს არ არის ნაციონალური მოძრაობის წარსულიდან, არამედ ზუსტად იქიდან მოდის.** ცალკე პლატფორმაზე დადგება თუ პარტიას შექმნის, **ვერ დასცილდება იმას, რასაც წარსულში აკეთებდა.**

„პირველი არხი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



**როცა გლობალური შემფასებელი აცხადებს,** რომ საქართველოს აქვს წარმატება და **გიგაური და მასთან დაკავშირებული ამფსონები ბრძანებენ,** რომ დრამატული ვითარებაა კორუფციის მიმართულებით, **ვის უნდა ენდოს ამომრჩეველი,** გასაგებია.

„ინტერპრესნიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



რადიკალური ოპოზიციიდან ჩვენ ვხედავთ **წინასაარჩევნო წუწუნს,** რომელიც აუცილებლად **გადაიზრდება კვნესაში** ოქტომბრის არჩევნების შემდეგომ.

„ინტერპრესნიუსი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



მაინტერესებს, არჩევნები, რითიც **ბატონი გახარია ჯერ ბიზნესომბუდსმენი, ეკონომიკის მინისტრი, შს მინისტრი და პრემიერ-მინისტრი გახდა,** ის არჩევნებიც მოტაცებული იყო **ივანიშვილის** მიერ?

„აიპრესი“



# ელიზბარ ჯაველიძე: თემურ ალასანიამ შემატყობინა – ჟვანია მოკლესო!

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

ნათ არის გადაწყვეტილი. ბათუმში ვიყავი, როცა ჩამოვიდნენ და მითხრეს — ზვიადმა თავი მოიკლაო! — სისულელეა, ზვიადი არავითარ შემთხვევაში თავს არ მოიკლავდა-მეთქი! ზვიადი ედუარდ შევარდნაძემ წამებით მოაკვლევინა და მერე გაითამაშეს სცენა, რაც კარლო ღურწკაიას სახლში ასე წარმატებით დადგეს!

სხვათაშორის, ბათუმში ზვიადის დაცვის ბიჭები რომ ჩამოვიდნენ, იმათ მითხრეს — **ზვიადის დიპლომატი რომ გავხსენით, იქ ჩეხური წარმოების პისტოლეტი იდო, რომელიც „ბექოს“ ტყვიებს ისვრის და „არგენტინა“ აწერიაო!** სწორედ მაშინ დავრწმუნდი, რომ ზვიადი მართლაც მკვდარი იყო, რადგან ამ იარაღს არ იშორებდა. **ჩეხური პისტოლეტი“ წარწერით „არგენტინა“ ზვიად გამსახურდიას მე ვაჩუქე!** დაწერილიც მაქვს და თქვენი გაზეთითაც ვიმეორებ: ზვიადისა და მერაბის შემდეგ არ მსმენია ის სიტყვები, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა წარმოთქვა — **„ჩვენ მოვიქცევით ისე, როგორც ამ ქვეყანას სჭირდება!“** თუ ეს ხელისუფლება ამ პრინციპს ცხოვრებაში გაატარებს, მაშინ ჩვენ გადავრჩებით, თუ არადა, მაშინ ჩვენი ამბავი დამთავრებულია!

**— გურამ შარაძის, ზურაბ ჟვანიასა და ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა სააკაშვილის გარეშე მოხდებოდა?**

— **გურამ შარაძე,** სააკაშვილის მითითებით, ჯერ ორჯერ დაიჭირეს, ხოლო შემდეგ მოკლეს! სხვათაშორის, გურამის სხეული გაციებულიც არ იყო, როცა ხალხი მომიგზავნეს და გამაფრთხილეს — **შენ ბევრი ლაპარაკი გიყვარს და ამ საკითხს არ შეეხოო!** გურამ შარაძის პანაშვიდზე მივედი თუ არა, პირველივე ჟურნალისტს ხმამაღლა განვუცხადე — **გურამ შარაძე სააკაშვილის ხელისუფლებამ მოკლა-მეთქი!** დღესაც ასე ვფიქრობ. რაც შეეხება **ზურაბ ჟვანიას,** იგი ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ პატრიოტი არ ყოფილა... **სააკაშვილის გარეშე ვერც ზურაბ ჟვანიას მოკლავდნენ.** სხვათაშორის, ზურაბ ჟვანიას სიკვდილი პირველი **თემურ ალასანიამ** — სააკაშვილის ბიძამ შემატყობინა — **ჟვანია მოკლესო!** რაც შეეხება **ბადრი პატარკაციშვილს,** ის მსოფლიო მასშტაბზე იყო გასული და მის სიკვდილში არაერთი ქართველი მონაწილეობდა! რომ იცოდეთ, სააკაშვილს ერთი წიგნიც არა აქვს წაკითხული მაშინ, როცა **თემურ ალასანია** ძალიან განათლებული პიროვნებაა. სხვათაშორის, ზურაბ ჟვანია გაცილებით საშიში მოვლენა იყო საქართველოსთვის, ვიდრე სააკაშვილი...

**— ნაცებს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში რა შანსები აქვთ?**

— თუ ხელისუფლებამ არ მისცა, ნაცებს არჩევნებზე არავითარი შანსი არა აქვთ, არც ჰქონიათ და არც ექნებათ! **მამუკა ხაზარაძე** რომ ასეთ დღეშია და ციხეში არ ზის, ეს სწორედ ამ ხელისუფლების ბრალია. **დასაჭერი უნდა დაიჭირო, ხოლო გასაგდები უნდა გააგდო! სხვანაირად ქვეყანა არ აშენდება!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



თემურ ალასანია





# ჟვანიას

**ცხრამეტი წელია,** ჟვანიას სახელს ტაბუ ადევს!

**ცხრამეტი წელია,** ჟვანიას მკვლელობა გახსნილია, მაგრამ არ იხსნება!

სახელოვან ჩინელ ფილოსოფოს **კონფუცს,** რომელიც 2500 წლის წინათ ცხოვრობდა, მიეწერება ასეთი ფრაზა — **„ძნელია, დაიჭირო კატა ბნელ ოთახში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის იქ საერთოდ არ არის!“**

თანამედროვე ჩინეთის მამადამფუძნებელმა **ძენ სიაო პინმა** პოლიტიკაში ეს თემა კიდევ უფრო განავითარა, როცა ე.წ. **„კატის თეორია“** შექმნა და 1987 წლის ოქტომბერში განაცხადა — **„მნიშვნელობა არა აქვს, რა ფერის იქნება კატა, კარგია ის კატა, რომელსაც თაგვის დაჭერა შეუძლია!“**

ქართველმა კინორეჟისორმა **თენგიზ აბულაძემ „ბნელ ოთახში დაჭერილი კატის თემას“** ახალი სიცოცხლე შესძინა, როცა გენიალურ **„მონანიებაში“** თავის კინოგმირს — **ვარლამ არავიძეს** ათქმევინა — **„რასაკვირველია, მძიმე ამოცანა დგას ჩვენ წინაშე, მაგრამ ჩვენთვის დაუძლეველი არაფერია. ჩვენ დავიჭერთ კატას ბნელ ოთახში მაშინაც კი, როცა იგი იქ არ იქნება!“**

**ვარლამ არავიძის** სულიერმა თანამეცხედრემ და გარყვნილმა **მიხეილ სააკაშვილმა „კატის თეორია“** „გაზის სექტორში“ გადაიტანა და ვიდრე **ზურაბ ჟვანიას** სულს ამოხდიდა, ჩვენი ინფორმაციით, შავნაბადას სპეცბაზაზე საიდუმლო თათბირი ჩაატარა. სწორედ აქ ჩამოუყალიბა მან **ვანო მერაბიშვილს, ზურაბ ადეიშვილს, გიორგი ბარამიძეს, მიხეილ მაჭავარიანს, ირაკლი ოქრუაშვილსა** და კიდევ ერთ-ორ მანქურთს **„გაზის პოსტულატები“** და განუცხადა — **„ჩვენ გაზით გავგუდავთ ზურაბ ჟვანიას მაშინაც კი, როცა ეკა კიკიანის ბინაში გაზი საერთოდ არ იქნება!“**

სააკაშვილმა პარალელურ რეჟიმში თავისთან იხმო საიდუმლო შეხვედრებისთვის ბინების ცნობილი დამქირავებელი, უწმინდური ვასასი, ანუ იგივე ვასიკო მაღლაფერიძე და მკაცრად გააფრთხილა — **ეკა კიკიანის ბინაში რასაც ჟვანი-**

***ზუსტად ცხრამეტი წლის წინათ, 2005 წლის 3 თებერვალს, თბილისში, საბურთალოს ქუჩის №53-ში, მოკლეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია.***



**ზურაბ ჟვანიას ცხედარი საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში, სადაც, ოფიციალური ვერსიით, ის და რაულ უსუპოვი გაზით გაიგუდნენ!**

## კვირგვინოსნები

**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის“ ლიდერი*



„ქართულმა ოცნებამ“ ხელი მოაწერა კონტრაქტს **სერიოზულ პიარჯგუფთან.** ეს არის ძლიერი ებრაული კომპანია, რომელსაც **მოშე კლუგჰაფტი** ხელმძღვანელობს. ჩამოვიდნენ ამ ჯგუფის წარმომადგენლები, მათ **ბიძინა ივანიშვილმა მოსთხოვა, „ქართული ოცნების“ ბოლო 3-4 თვის პერიოდის მდგომარეობა შეესწავლათ.** ასევე დაედოთ მისთვის „ქართული ოცნების“ პერსპექტივა 2024 წლის არჩევნებისთვის. ჩათვალეთ, რომ „ქართული ოცნების“ პირველი პირებისგან მაქვს ეს ინფორმაცია. **შედეგები იყო კატასტროფული, მძიმე სურათი, თუ რა მდგომარეობა იყო მის პარტიაში და მის მიერ დატოვებულ ხელისუფლებაში. ამ დასკვნის მიხედვით, „ქართულ ოცნებას“ 2024 წლის არჩევნებში გამარჯვების შანსი არ გააჩნია.** ერთ გამოსავლად დასახელდა მისი უკვე ღიად გამოჩენა პოლიტიკაში, რათა **ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით მოხერხდეს 2024 წლის არჩევნებში გამარჯვება.**

„ალია“

**ედუარდ გვენეტაძე**
*პოლიტიკის ექსპერტი*



**გველი იცვლის ტყავს, მაგრამ გველი რჩება გველად** — ეს ცნობილი ფრაზა ეკუთვნის ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ზუსტად ანალოგიური სიტუაციაა — **ნაციონალური მოძრაობის გაშლა უნდათ, შესაკრებთა გადაადგილებით კი ჯამი არ იცვლება**, ანუ, გნებავთ **ნაცმოძრაობა** დაირქვან, გნებავთ, **„ხოშტარია“,** გნებავთ, **„კრემლი“** და, გნებავთ **„ტაივანი“,** მაინც ვერაფერი უშველით, ვინაიდან არის კიდევ ერთი ბრძნული ქართული გამონათქვამი — **მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე მიმათრიეო.**

„რეზონანსი“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ თავმჯდომარე*



**როცა საქართველოს მოქალაქე არჩევნებზე მივა,** მან საკუთარ თავს კითხვა უნდა დაუსვას: **ვის აძლევს ხმას? ვისაც შეუძლია სამუშაო ადგილების შექმნა, თუ ვისაც არ შეუქმნია და არაფერი გაუკეთებია.**

„ინტერპრესნიუსი“

# რაულ უსუპოვს ე.წ. ჟანეს შპრიცით სათესლე ჯირკვლებიდან სპერმა გამოუღეს და ეკა კიკიანის ბინაში, სადაც ზურაბ ჟვანიას გვამი ტელევიზორის ყუთით შეიტანეს, უბინძურესი სცენები დადგეს, რათა ჭირისუფალიც და მთელი საზოგადოება დაეშანტაჟებინათ და შოკში ჩაეგდოთ!

# 19 წელი




**ას ვუპირებთ, ამაზე კრინტი არავისთან დაგცდეს, თორემ თებერვალში ჯერ შენი საყვარელი „ბასანოჩკებით“ გარბენინებთ, ხოლო მერე კიკიანის კიკინას უკან გაგიკეთებთო!**

მოკლედ, **სააკაშვილმა და მისმა ხროვამ** ყველაფერი წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად განახორციელეს და, პირველ რიგში, რუსთავიდან თბილისში ჩამოიტყუეს ახალგაზრდა რაულ უსუპოვი, რომელსაც ჯერ უთხრეს — **კანცელარიაში ხელფასის ნარჩენი გაქვს ასაღებიო!** შუა გზაში უსუპოვს ესეც დააწიეს — **ზურაბ ჟვანია გიბარებსო!** უსუპოვი რომ კანცელარიაში მივიდა, უზარმაზარ შენობაში რამდენიმე ქალბატონისა და დაცვის სამსახურის გარდა არავინ იყო. რაულმა რამდენჯერმე სცადა ჟვანიას სართულზე ასვლა, მაგრამ დაცვამ უკან გამოაბრუნა — **პრემიერი აქ არ არისო!** რაულ უსუპოვმა ერთ-ერთ კაბინეტში ნაცნობ ქალბატონებს მოჰკრა თვალი... ახალგაზრდა კაცი კომპანიაში შვილივით მიიღეს და ყავა შესთავაზეს. ერთ-ერთ ასაკოვან ქალბატონს, თუ არ ვცდები **ზვარად ახვლედიანს**, უსუპოვმა სთხოვა — **მზია დეიდა, ძალიან გთხოვთ, ყავაში ჩამიხედეთ, გავიგო, რა ბედი მელისო!** ახვლედიანმა

**ჟვანიას გვამი ტელევიზორის ყუთით შეიტანეს, უბინძურესი სცენები დადგეს, რათა ჭირისუფალიც და მთელი საზოგადოება დაეშანტაჟებინათ და შოკში ჩაეგდოთ!** სააკაშვილის ქილერებმა **ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის** ცხედრებში ინიექციის გზით შეაშხაპუნეს თხევადი ნახშირჟანგი, რათა გაემყარებინათ აზრი, თითქოს პრემიერ-მინისტრი და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე მართლა მხუთავმა გაზმა გაგუდა. უსუპოვს CO შეუყვანეს მკერდიის ქვემოთ... სწორედ ამიტომ აცხადებდა **იაშირ უსუპოვი** — ჩემს შვილს მკერდის ქვემოთ ნაჩხვლეტები ეტყობოდაო!

**ზურაბ ჟვანიას** გვამის გაკვეთის დროს რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექიმებს თავზე ადგა **ხათუნა გოგორიშვილი** და როგორც 2008 წლის აგვისტოს ომში უგულავა, სწორედ ისე ისროდა ბრძანებებს — **ვის რა უნდა ეთქვა, რა არ უნდა ეთქვა, რა შეეკერათ, რა ამოეკერათ, რა დაემალათ, რა გაეყალბებინათ და ა.შ.** სწორედ **ზურაბ ჟვანიას** მკვლელობას წააკლეს **ლევან სამხარაული,** რათა არაფერი დასცდენოდა და მკვლელების სასარგებლო დასკვნა დაეწერა.

შიდა წყაროებიდან ზურაბ

რაულ უსუპოვის ჭიქაში რომ ჩაიხედა, ელდა ეცა, რადგან იქ სიკვდილი დაინახა, თუმცა, ძალა მოიკრიბა, რაულს ამის შესახებ არაფერი აგრძნობინა და ხუმრობით უთხრა — **ყავა ცუდად გაქვს დალეული და შენს ჭიქაში ვერ ვიხედებიო!**

კანცელარიიდან გამოსვლის შემდეგ **რაულ უსუპოვი** ცოცხალი არავის უნახავს. მამამისი **იაშირ უსუპოვი** ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ **ეკა კიკიანის ბინაში** ნაპოვნი შვილის გვამს ყელზე შავი ზოლი, ხოლო მკერდის ქვეშ ნაჩხვლეტები აღენიშნებოდა. სავარაუდოდ, **რაულ უსუპოვი** მოახრჩეს და ცხედარი **ეკა კიკიანის ბინაში** მიიტანეს. მიცვალებულების გადატანა-გადმოტანაში სააკაშვილის ზონდერმკვლელებს უსუპოვის ფეხსაცმელი გზაში დაეკარგათ...

ყველაზე მთავარი — **რაულ უსუპოვს ე.წ. ჟანეს შპრიცით სათესლე ჯირკვლებიდან სპერმა გამოუღეს და ეკა კიკიანის ბინაში, სადაც ზურაბ**

ჟვანიას მკვლელობის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით იცოდა **ბადრი პატარკაციშვილმა,** რომელიც ვერავინ დაარწმუნა იმაში, რომ **ჟვანია და უსუპოვი** გაზმა გაგუდა... აქედან გამომდინარე, **ჟვანიას მკვლელობა იყო ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობისა.**

სააკაშვილის რეჟიმს საქართველოდან ძლივს გაასწრო **დავით მორჩილაძემ,** რომელიც ზურაბ ჟვანიას მკვლელობის დროს „თბილგაზის“ გენერალური დირექტორი იყო და ტელევიზიით განაცხადა — **2005 წლის 2-3 თებერვლის ღამეს საბურთალოს ქუჩის №53-ში გაზი გათიშული იყოო!**

ამერიკული „ეფბიაის“ დასკვნაში გარკვევით წერია, რომ **იმ ავბედით ღამეს ეკა კიკიანის ბინაში ნახშირჟანგის მაღალი კონცენტრაცია არ ფიქსირდებოდა, ხოლო ფანჯრის ჟალუზში, რომელიც კედელს ვითომდაც იმისთვის ააგლიჯეს, რომ ოთახში შეელ-**




**წიათ და მკვდარი ჟვანია და უსუპოვი ენახათ, კაცი ვერ გაეტეოდა!** მიუხედავად ამისა, **პრეზიდენტმა ბუშმა და მისმა ადგილობრივმა ხროვამ** სააკაშვილს ჟვანიას მკვლელობა უბედურ შემთხვევად შეუფუთეს, რადგან ნაცსექტის გარყვნილ უსტაბაშს მთავარი დავალება ჯერ კიდევ შესასრულებელი ჰქონდა — **2008 წლის აგვისტოში რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციული ომი უნდა დაეწყო!**

**ზურაბ ჟვანიას** მკვლელობიდან ცხრამეტი წლისთავზე პასუხგაუცემელი რჩება ერთადერთი კითხვა — **რა ვითარებაში და სად მოკლეს ჟვანია?**

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ამ კითხვაზე პასუხი რამდენიმე კაცმა იცის — **სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, ადეიშვილმა, ოქრუაშვილმა, მიხეილ მაჭავარიანმა და გიორგი ბარამიძემ...** ჟვანიას მკვლელობის შესახებ თავიდან ბოლომდე ინფორმირებულია **თემურ ალასანიაც,** რომელიც, **გოგლა ჟვანიას ინფორმაციით,** პრემიერ-მინისტრს სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. კერძოდ, **ალასანიას** არაერთ ადგილას აქვს ნათქვამი, რომ **„ჟვანიას მოუვლიდა!“** აი, ასეთ უბედურებაში ეჭვმიტანილი და მხილებული კაცი **თემურ ალასანია** ამ ორი წლის წინათ საქართველოში რომ ჩამოვიდა, ქვეყნიდან დოლ-გარმონით გააცილეს და მანქანაში გასართობად, საჩქმეტად და საბწკენად აგენტი **ელისტრაკო კილაძე** ჩაუსვეს.

## ჟვანიას ცხრამეტი წელი პირდაპირ კავშირშია ზვიადის იმ ოცდაათ წელთან, რომელიც საგანგებოდ დამატებულ ხუთ წელთან ერთად მიილია და მიფუჩეჩდა.

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ბილიარდის თამაშით უფრო არიან დაკავებული, ვიდრე პოლიტიკური მკვლელობების გამოძიებითა და გახსნით.

**კონფუციით** დავიწყეთ და **კონფუციითვე** დავასრულებთ, რომელიც ამბობს — **„თუ ზურგს უკან გაფურთხებენ, ე.ი. წინ ხარ!“**

**ვიდრე ხალხს პირში ფურთხება დაუწყია,** გახსენით ზურაბ ჟვანიას მკვლელობა და დაასრულეთ ეს ცხრამეტწლიანი მასკარადი!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**შოთა გლურჯიძე**
*მხატვარი*



ცნობილ ფაქტს შეგახსენებთ სახარებიდან, როცა **ეშმაკები შეპყრობილი ადამიანიდან ღორის კოლტში გადავიდნენ.** მათ ქრისტეს სთხოვეს: **ოღონდ, ნუ გაგვანადგურებ და ღორის კოლტში გადაგვალთო.** ასეც მოხდა და მერე ღორის კოლტი დაიხრჩო. ქრისტემ შეპყრობილს ჰკითხა: რა გქვიათო. იმდენად ბევრი ეშმაკი ჰყავდა შეჩენილი, რომ კაცმა ასე უპასუხა: **ჩემი სახელი ლეგიონიაო.** იმ ადამიანების სახელიც, რომლებიც ეკლესიას ებრძვიან, არის **ლეგიონი.** ეს ხალხიც **შეპყრობილი, სამკურნალოა.** სხვა რა უნდა თქვა ადამიანზე, რომელიც იტყვის, **ეკლესია ხალხის მტერიაო.**

„საერთო გაზეთი“

**ბაჩო ოდიშარია**
*ეროვნული კონცეფციის ფოლიტიკის მართვის დეპარტამენტის უფროსი*



აღარაა ის პერიოდი, როდესაც **მერაბიშვილ-ახალაიას კაბინეტებში დგებოდა კულტურის აქტივობების და იქ მონაწილეების სია,** არც ის დროა, **სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ბოტოქსები და სტრიპტიზბარებში გულაობები რომ ფინანსდებოდა.**

„იმედინიუსი“

**ზვიად ძიძიგური**
*„კონსერვატიული“ პარტიის თავმჯდომარე*



„ქართულ ოცნებაში“ **ეშინიათ არჩევნების,** მშვიდი წელი არ ელოდებათ. რაც შეეხება ოპოზიციას, **თუ რამდენიმე ლიდერი დადგება და იტყვის, გავერთიანდითო, ამით „კრამიტებს“ ვერ დაამტვრევენ,** საჭიროა, ხალხს პოზიტივი შესთავაზო, თუ არადა, **შეჩვეულ ჭირს დაუჭერენ მხარს.**

„პალიტრანიუსი“

**კობა ხაბაზი**
*პოლიტიკოსი*



ვბრუნდები უკრაინაში, **ჩემი ადგილი აქ არ არის,** დეპუტატობას დახარბებულთა ჭაობში ვერ გავჩერდები.

„პირველი არხი“



სუფლება ეროვნულ საგანძურს ყუთებში ალაგებდა და ქვეყნიდან გასაქცევად ემზადებოდა.

**1921 წლის 10 მარტს,** რომ არა სტალინის პირადი საუბარი ქემალ-ბეისთან, თურქეთს ბათუმიც წაღებული ჰქონდა...

**ამ ყველაფრის ფონზე გორში სტალინის ძეგლი დამხობილია მაშინ, როცა მისი ძეგლებით ევროპისა და ამერიკის ქალაქებია მოფენილი.**

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ **პუტინი,** რომელიც გასაგები მიზეზების გამო არსად ფეხს არ ადგამს, მოსალაპარაკებლად ჩადის ნატოს წევრ თურქეთში. საქართველოს ხელისუფლებას ასეთ სიტუაციაში ნამდვილი გმირობის გამოჩენა და განსაკუთრებული ჭკუა-გონება მართებს!

**— პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ირაკლი ღარიბაშვილის წასვლას როგორ აფასებთ?**

— **შევარდნაძეს** ერთხელ ვკითხე — **თქვენი ყველაზე დიდი ცოდვა რა არის-მეთქი?** — მე ცოდვა არ მაქვსო! — მიპასუხა... ამაზე შევკამათდით... — **ცოდვა როგორ არ გაქვთ-მეთქი?!** — საქართველოს ტრაგედია ის არის, რომ ქვეყანას ქართველები არ მართავენ და ეს მე ჩავიდინე! — მითხრა და ჩამომითვალა უამრავი გვარგადაკეთებული პოლიტიკოსი, რომელიც ქართულ პოლიტიკაში საკვანძო ფიგურებს წარმოადგენდნენ. აქ ეროვნებაზე არ არის ლაპარაკი. **ნინო პოლტარაცკაია** არაქართველი იყო, მაგრამ უდიდესი ქართველი გახლდათ. **შევარდნაძემ** მაშინ ესეც მითხრა — **სტალინს რომ რუსეთი არ ემართა, რუსეთი ამოდენა არ იქნებოდა. არადა, ამ დროს საქართველოს ქართველები არ მართავენო!**

ყურადღება მიაქციეთ ერთ ფაქტს — როგორ ფიქრობთ, **ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში თავისი ინიციატივით რატომ მოტრიალდა, ხომ შეეძლო, ეთქვა, ჩემმა გაზრდილებმა მაიძულეს, რათა დავბრუნებულიყავიო?** არ გაინტერესებთ, რა იყო ამის მიზეზი?



## მაყვალა ბერიანიძე:

# შევარდნაძემ მითხრა – ჩემ შემდეგ საქართველოს მაყურებელი ბიძინა იქნებაო!

დასაწყისი იხ. „ა-დ". 2023 წლის №54, 2024 წლის №1-6

*ჟურნალისტი* *მაყვალა ბერიანიძე*

***ქართულ პოლიტიკაში ბოლო დროს განვითარებულ სკანდალურ პროცესებს მიმოიხილავს და აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილს საშინელი ზეწოლის პირობებში უწევს მუშაობა. „ივანიშვილს არც სალომე ზურაბიშვილი უნდოდა პრეზიდენტად, მაგრამ იგი ჯორჯ სოროსისა და ბჟეზინსკის მოწაფეა და ამ ფაქტმა გადაწყვიტა ყველაფერი":***

— „ასავალ-დასავალის" ეს ნომერი 2024 წლის 5 თებერვალს გამოდის. **ზუსტად, 103 წლის წინათ, 1921 წლის 5 თებერვალს, მოსკოვში ლენინთან მოსალაპარაკებლად მიმავალმა ქემალ-ბეიმ ნელი სვლით მიმავალ ორთქლმავალს ჩაუბა თავისი ვაგონი, თბილისი გამოიარა, აჭაურობა დაზვერა და 11 თებერვალს ლორეში მოულოდნელად აჯანყება დაიწყო.**

19 თებერვალს თურქები მოსკოვში ჩავიდნენ და ლენინთან საქართველოს ძირძველი ტერიტორიების მიერთებაზე მოლაპარაკება დაიწყეს მაშინ, როცა საქართველოს ხელი-



## „ბიძინას გარეშე ესენი ვერ გაიმარჯვებენ და იმიტომაც დაბრუნდა!"

### „ქართული ოცნებიდან" ბოლო დროს ხშირად ისმოდა ხმები – „ჩვენ ბიძინა ივანიშვილის გარეშეც გავიმარჯვებდით!" „ეგ ჩვენ აღარ გვჭირდება!" აი, სწორედ ამიტომაც დაბრუნდა ბიძინა და თქვა – „მე ჩემი ინიციატივით მოვედი!"

**— ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების მთავარი მიზეზი მხოლოდ ეს იყო?**

— ბიძინას გარეშე ესენი ვერ გაიმარჯვებენ და იმიტომაც დაბრუნდა! უფრო მეტსაც გეტყვით, დღემდე ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" დამფუძნებელთაგან მხოლოდ ორი კაცი იყო დარჩენილი — **ირაკლი ღარიბაშვილი და კახი კალაძე, მაგრამ მომავალ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" არცერთი დამფუძნებელი არ იქნება!**

პარალელურად ხელისუფლების მისამართით მაქვს კითხვებიც. კერძოდ, ამ არეულ დროს, როცა ჩვენ გარშემო ქვეყანა იქცევა, **მხოლოდ თავდაცვის მინისტრი რატომ იცვლება?** თუ **ჯუანშერ ბურჭულაძემ** რამე დააშავა, თქვით, თუ არადა, რაშია საქმე? ხაზგასმით ვაცხადებ, რომ **ირაკლი ჩიქოვანს** არაფერს ვერჩი, შესანიშნავი ახალგაზრდაა და ძალიან კარგად ვიცნობ. ყველაზე მთავარი —

### ირაკლი ღარიბაშვილმა პირველი პრემიერობის

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



„ოცნება" თუ არჩევნებს მოიგებს, **ღარიბაშვილი მესამედ მობრუნდება. ივანიშვილი** ძალიან ჭკვიანი და ფრთხილია. თუ **კობახიძე** არ გაამართლებს, მას დრო ექნება, **კიდევ ერთი ცვლილება განახორციელოს,** უკვე წინასაარჩევნოდ.

„ახალი თაობა"

**კახა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი, კონფლიქტოლოგი*



„ქართულ ოცნებას" **ორი მტერი** ჰყავს — **გახარია და სალომე ზურაბიშვილი. გახარია, მარგველაშვილი და სალომე ზურაბიშვილი** — ეს იქნება საკმაოდ სერიოზული **ალტერნატიული ცენტრი** „ქართული ოცნებისა".

„ახალი თაობა"

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



არჩევნებზე ოპოზიციას შეუძლია სამ სუბიექტად გასვლა — **ნაცები, გახარია და პატარების დიდი არანაცური გაერთიანება**! თუ ასე არ იზამს ოპოზიცია, **მაშინ ეს ხელისუფლება შენარჩუნდება.**

„ახალი თაობა"

**დავით ჭიჭინაძე**
*„ტრიბუნას" თავმჯდომარე*



**ივანიშვილს ღარიბაშვილზე ერთგული კაცი არ ჰყავს,** საარჩევნო წელს პარტია ჩააბარა. **კობახიძეს,** ალბათ, ოთხი-ხუთი კაცი ეყოლება სიაში. ჩემი ვარაუდით, **მომავალ სიას ივანიშვილი დაწერს ღარიბაშვილთან ერთად.**

„ახალი თაობა"

## დროს ქვეყანას ვიზალიბერალიზაცია მოუტანა, ხოლო მეორე პრემიერობის დროს – კანდიდატის სტატუსი! რატომ შეცვალეთ პრემიერი, კანდიდატის სტატუსი არ გინდოდათ?

ვერავინ იტყვის იმას, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა ცუდად იმუშავა. კაცმა ბეწვის ხიდზე გამოატარა ქვეყანა!!!

**— კიდევ რა შეკითხვები გაქვთ ხელისუფლებასთან?**

— 2012 წელს **ბიძინა ივანიშვილმა** „ქართული ოცნებიდან" რატომ არ დანიშნა პარლამენტის თავმჯდომარე და რატომ დანიშნა **დავით უსუფაშვილი?** ვინ უთხრა, ასე მოქცეულიყო? არ უნდა გვითხრან, ვინ უთხრათ — თავდაცვის მინისტრად უსუფაშვილის ცოლი, **თინა ხიდაშელი** დანიშნეთო, რომელიც, თურმე, ტაივანიდან ღებულობს ფულებს? **ხომ ცნობილია, როგორ მიეწოდებოდათ „სუს"-იდან სააკაშვილის ტელევიზიებს საიდუმლო მასალები?** ამიტომაც ვთქვი და ვიმეორებ — **გრიგოლ ლილუაშვილს ძალიან უჭირს!** მოვუწოდებ ხელისუფლებას: **გამოაქვეყნეთ იმ ხალხის სია, ვინც უცხოეთიდან დაფინანსებას ღებულობს!**

ყველაზე მთავარი: ბატონო ბიძინა, თქვენ დამნაშავე ხართ და ეწინააღმდეგებით ქრისტეს, რადგან ღორებს მარგალიტები დაუყარეთ! სხვათაშორის, **შევარდნაძემ** მითხრა — **ჩემ შემდეგ საქართველოს მაყურებელი ბიძინა ივანიშვილი იქნებაო!** მახსოვს, ამ საუბრის დროს შევარდნაძემ გაიხსენა თავისი დაბადების დღე, 1992 წლის 25 იანვარი, როცა გამსახურდია ახალი დამხობილი იყო და ზვიადისტებმა მოსკოვში, შევარდნაძის სახლთან საპროტესტო მიტინგი გამართეს. იქ ბიძინა ივანიშვილიც იყო და ამის დამადასტურებელი ვიდეო და ფოტომასალები არსებობს...

**— ამით რისი თქმა გსურთ?**

— ამით იმის თქმა მსურს, რომ **ბიძინა ნიჭიერი კაცია და ესენი ყველანი შიგნიდან შეისწავლა.**

## სააკაშვილი ბიძინამ შეისწავლა სწორედ შიგნიდან, ანუ ივანიშვილმა, როგორც უჭკვიანესმა ანალიტიკოსმა, ეს ბოროტების სისტემა იცის შიგნიდან და



## ამიტომაც ვერ ამარცხებენ. ვერც დაამარცხებენ, თუ თავად არ თქვა უარი ხელისუფლებაზე!

მაგრამ უბედურება ის არის, რომ არც ივანიშვილია ბოლომდე დამოუკიდებელი და იძულებულია, კონიუნქტურას ანგარიში გაუწიოს! აი, მაგალითად, 2013 წელს, როცა სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა ამოეწურა, ერთ-ერთ ექსპერტს ვუთხარი — **დაგენიძლავებით, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გახდება-მეთქი!** სიცილით კინაღამ ჩაბჟირდა ის ექსპერტი — რის საფუძველზე მეუბნები მაგასო? საფუძველი ერთი მქონდა — **დავოსში, ეკონომიკურ ფორუმზე, ბიძინა პრემიერის რანგში რომ ჩავიდა, კარგად დავაკვირდი, ვის შეხვდა და ვის ჩამოართვა ხელი. ჩემი ყურადღება მაშინვე მიიქცია თოვლიანმა ველმა, სადაც ბიძინა და სოროსი განმარტოებით იდგნენ და ლაპარაკობდნენ.**

ჯორჯ სოროსს ყოველთვის მოსწონდა მარგველაშვილი. ამიტომ მივიჩნიე, რომ სწორედ მარგველაშვილის გაპრეზიდენტებას სთხოვდა მას სოროსი... ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი — **ბიძინა დავოსიდან ჩამოვიდა თუ არა, მარგველაშვილი მაშინვე პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა!** ბიძინა ივანიშვილს არც **სალომე ზურაბიშვილი** უნდოდა პრეზიდენტად, მაგრამ სალომე **ჯორჯ სოროსისა და ბჟეზინსკის** მოწაფეა და ამ ფაქტმა გადაწყვიტა ყველაფერი!

**— ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებით მაინც რა მოხდა?**

— დარწმუნებული ვარ, იმავე ძალებმა, რომლებიც მსოფლიოს მართავენ, ივანიშვილს ულტიმატუმი წაუყენეს — **„ხომ მოგეცით კანდიდატის სტატუსი, ხომ მოგეცით საშუალება, კულისებიდან პოლიტიკაში ღიად შემოსულიყავით? ჰოდა, კეთილი ინებეთ და პრემიერი გამოცვალეთ!"** აი, ეგ მოხდა. ვიღაც უდღეურებს ჰგონიათ, რომ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## „დღემდე ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" დამფუძნებელთაგან მხოლოდ ორი კაცი იყო დარჩენილი – ირაკლი ღარიბაშვილი და კახი კალაძე!"



ბიძინა ივანიშვილი და ჯორჯ სოროსი



„ჯორჯ სოროსს ყოველთვის მოსწონდა მარგველაშვილი. ამიტომ მივიჩნიე, რომ სწორედ მარგველაშვილის გაპრეზიდენტებას სთხოვდა მას სოროსი!"



## „ივანიშვილს არც სალომე ზურაბიშვილი უნდოდა პრეზიდენტად, მაგრამ სალომე ჯორჯ სოროსისა და ბჟეზინსკის მოწაფეა და ამ ფაქტმა გადაწყვიტა ყველაფერი!"

## კვირგვინოსნები

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



ირაკლი ღარიბაშვილის **ჯანმრთელობასთან დაკავშირებით** კითხვები არ არსებობდა. **კობახიძის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით** კი ბევრი კითხვაა.

„ახალი თაობა"

**ილია ხვიჩია**
*„გირჩის" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი*



**„ქოცები", ნაცები და „გირჩები",** სხვა არავინ არსებობს. **აი, ასეთია დღეს ქართული პოლიტიკური ლანდშაფტი,** სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ.

„ახალი თაობა"

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი მიტროპოლიტი*



ირაკლი ღარიბაშვილი **წარმატებული პრემიერი იყო.**

„ახალი თაობა"

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ოპოზიციაში ისეთი სიტუაციაა, რომ **დიდი საცოდაობის** მოწმენი ვართ.

„ახალი თაობა"

**კახა ოქრიაშვილი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ბატონებო, **12 წელი გქონდათ ეკონომიკის გასაზრდელად** და 2017 წელს ჩვენს ხალხს უკვე წალკოტში უნდა ეცხოვრა — **ვადა გაგივიდათ!**

„ინტერპრესნიუსი"

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



პირობას გაძლევთ, არც **ირაკლი ღარიბაშვილი,** არც მე და არც ჩვენი გუნდის სხვა ლიდერები **არ იქნებიან რუსეთში იმ დრომდე, სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება.**

„ინტერპრესნიუსი"



რალებ, რატომ არ იწვევ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას, რატომ არ იძიებ ზვიადისა და ჟვანიას მკვლელობებს და 1995-1998 წლების ტერაქტების ანატომიას-მეთქი? სანამ ეს საქმეები გამოძიებული არ იქნება, საქართველოში უბედურება და პოლიტიკური სპეკულაციები არ დასრულდება! ახლა, როცა ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა, თუ კარგად დააკვირდით, ახსენა სიტყვა „კორუფცია“. ივანიშვილს თუ უნდა, საქართველოში კორუფციის მასშტაბებს ჩასწვდეს, მაღალჩინოსნების კერძო დასახლებებს მიაკითხოს! სულ ექვსი-შვიდი თვე და ათამდე გამომძიებელია საჭირო და ლეებს კოჯორში, ტაბახმელასა და სხვა კურორტებზე? საზოგადოებას ერთ ფაქტს შევახსენებ: 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის კოალიცია ხელისუფლებაში მოვიდა თუ არა, პირველი რაც მოხდა, ის იყო, რომ „ქართული ოცნების“ ოფისები ყველგან დაიხურა. სამაგიეროდ, კოალიციაში შემავალი სხვა პარტიების მუშაობა გაგრძელდა, ანუ თავიდანვე თვითდინებაზე მიუშვეს პარტიული მუშაობა. დღეს ივანიშვილს აძალებენ და ეუბნებიან, რომ კოალიცია უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, რაც არ გამოვა. ჯერ ერთი, კოალიციას სჭირდება უმაღლესი პარტიული კულტურა, რაც საქართველოში არ არსე-

# მაყვალა ბერიანიძე:

# ივანიშვილს თუ უნდა, საქართველოში კორუფციის მასშტაბებს ჩასწვდეს, მაღალჩინოსნების კერძო დასახლებებს მიაკითხოს!

*დასაწყისი მე-8 გვერდზე*

ბიძინა ივანიშვილი ერთი პატარა ჭორვილელი კაცია. არ არის ეგრე, ის ძალიან გავლენიანი ფიგურაა, მაგრამ, საუბედუროდ, თავის თავსაც არ ეკუთვნის! **„ქართულ ოცნებას“ მივმართავ: თქვე დალოცვილებო, გუშინწინ გქონდათ პარტიის ყრილობა და თუ ახალი თავმჯდომარე გინდოდათ, რაღა პრემიერს დაებღლვენით, იქ ვერ აირჩიეთ ახალი თავმჯდომარე? კვირაში ერთხელ ყრილობის ჩატარება ვის გაუგონია?**

**— ირაკლი ღარიბაშვილმა ვის რაში და როგორ შეუშალა ხელი?**

— **ღარიბაშვილმა,** როგორც ჩანს, ყურადღება მიიქცია თავისი მკაცრი, ქართული გამოთქმებით და „სტოიკური“ პოზით, მაგრამ მთელი ამ საქმის ტრაგიკომედია ის არის, რომ **ღარიბაშვილზე უფრო ენაკვიმატი ირაკლი კობახიძეა!** (იცინის).

**— რატომ არ იხსნება ზვიადის, ჟვანიასა და ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობები?**

— ზვიადისა და ჟვანიას მკვლელობები გახსნილია, მაგრამ არ აცხადებენ! თავის დროზე სააკაშვილს მივმართე — **დავით ალმაშენებლობას რომ იბ**ზიჭები ფულებს მოაცუნცულებენ, მაგრამ ეს ფული მერე ბიუჯეტში უნდა შევიდეს და არა ჯიბეში, როგორც ეს სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ჩაიდინეს.

**ბატონო ბიძინა, არ გაინტერესებთ, როგორ იშენებენ ხელფასიანი ჩინოსნები 10-მილიონიან სასახ**ლეებს... **კოალიცია მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, რომ ქვეყანაში მუდმივი ქაოსი იყოს და საქართველო არ დაწყნარდეს!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***





# „ზვიადისა და ზურაბ ჟვანიას მკვლელობები გახსნილია, მაგრამ არ აცხადებენ!“



# მეორადი ვაშაძე

***2024 წლის 1 თებერვალს გამართულ „ქართული ოცნების“ რიგგარეშე ყრილობას, რომელზეც საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად ირაკლი კობახიძე დაასახელეს, ხოლო ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს, ურცხვი და უტიფარი ტყუილით გამოეხმაურა გიორგი-ჯიჯე ვაშაძის ორკაციანი პარტიის მეორე წევრი პაატა მანჯგალაძე.***



**მანჯგალაძის ლიდერმა ვაშაძემ თბილისის მერის არჩევნებში იმაზე ნაკლები ხმები მიიღო, ვიდრე ნიგერიელმა პრინცმა არინზე რიჩარდ ოგბუნუჯუმ!**

კერძოდ, **ვაშაძის ორკაციანი პარტიის მეორე წევრმა მანჯგალაძემ,** რომელიც თავისი სტატუსიდან, აზროვნებიდან, მეტყველებიდან დაგამომეტყველებიდან გამომდინარე, უდავოდ იმსახურებს **„მეორადი ვაშაძის“** საპატიო თიკუნს, „ქართული ოცნების“ ყრილობაზე **ირაკლი ღარიბაშვილისა და ირაკლი კობახიძის** სიტყვით გამოსვლის კვალდაკვალ განაცხადა:

> ***„17-ჯერ გადაუხადეს მადლობა ივანიშვილს, არცერთხელ — ქართველ ხალხს. ნუთუ ეს არ კმარა იმისთვის, რომ ყველაფერი დავასრულოთ? სირცხვილის ეს მასკარადი ქართველი ხალხის და საქართველოს შეურაცხყოფაა“.***

ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას **ირაკლი ღარიბაშვილმა და ირაკლი კობახიძემ** „ქართული ოცნების“ დამფუძნებელსა და საპატიო თავმჯდომარეს — **ბიძინა ივანიშვილს** მართლაც გადაუხადეს მადლობა იმისათვის, რისთვისაც იგი მადლობას მარტო ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან კი არა, ქართველი ხალხისგანაც იმსახურებს.

დიახ, **ივანიშვილს ნამდვილად ეკუთვნის მადლობა იმის გამო, რომ 2012 წელს, სააკაშვილის უბოროტესი რეჟიმისათვის ბრძოლის გამოცხადებით, არამხოლოდ საკუთარი სიცოცხლე, არამედ ოჯახის წევრთა უსაფრთხოებაც რისკის ქვეშ დააყენა და სისხლიანი ნაცბანდა ხელისუფლებიდან უსისხლოდ გაისტუმრა, რაც საქართველოსა და ქართველი ხალხის გადარჩენის ტოლფასი იყო.**

**ივანიშვილი** ნამდვილად იმსახურებს მადლობას იმისთვისაც, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კოლექტიური დასავლეთის მხრიდან არნახულ ზეწოლას გაუძლო და რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნას, ანუ საქართველოს უკრაინიზაციას არ დათანხმდა, რის გამოც არაფორმალური სანქციები დაუწესეს და ფინანსური აქტივები გაუყინეს.

ჰოდა, გადაუხადეს კიდეც მადლობა **ბიძინა ივანიშვილს ირაკლი ღარიბაშვილმა და ირაკლი კობახიძემ.**

**უნდა გადაეხადათ და გადაუხადეს!**

მაშ, რაში მდგომარეობს **მეორადი ვაშაძის** ცრუპენტელობა?

**თავისი ორკაციანი და ნახევარპროცენტიანი პარტიის თავმჯდომარესავით უშუბლისძარღვო მანჯგალაძე** ამბობს, რომ **ივანიშვილისათვის** მადლობის გადამხდელებს ერთხელაც არ გადაუხდიათ მადლობა ქართველი ხალხისათვის... არადა, **ღარიბაშვილმაც** და **კობახიძემაც** ქართველი ხალხისადმი მადლიერება და პატივისცემა თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით გამოხატეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა:

> ***„განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს ჩვენი ხალხი, რომლის ნდობა და მხარდაჭერა ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის უმთავრესი სტიმულია“.***

**ირაკლი კობახიძემ,** რომელიც „ქართული ოცნების“ ორ უმთავრეს მიზანზე — საქართ-

# ამ დიდ სირცხვილს წერტილი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა უნდა დაუსვას!

## კვირგვინოსნები

**ლევან ხაჭაპურიძე**
*პოლიტიკური დევნილი*



მოვიდნენ თუ არა, **კოჰაბიტაცია შემოაგდეს** და ყველა მწამებელი და ნაძირალა ნაცი „გააპრავეს“. საქართველოს **პრეზიდენტებად რეზიდენტები აირჩიეს — მარგველაშვილი და ზურაბიშვილი.** არცერთი საარჩევნო პირობა არ შეასრულეს.

„ალია“

**ლადო სადღობელაშვილი**
*სამოქალაქო აქტივისტი*



**ბიძინა ივანიშვილი** პოლიტიკაში დაბრუნდა არა სანქციების ან ოპოზიციის შიშით, არამედ **დაბრუნდა საზეიმოდ.** მან უნდა იზეიმოს **თუ ორივე ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნება არა, ერთის მაინც.** უფრო სავარაუდოა, რომ ეს იყოს ცხინვალის რეგიონი. **რა ფორმით შემოვა ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში, ეს მომავალში გაირკვევა.**

„ალია“

**არმაზ ახვლედიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ზოგს მიაჩნია, რომ **ივანიშვილი ტალეირანია, ფუშეა,** მაგრამ მან ვერ გათვალა მთავარი: **საქართველოში ავტორიტარიზმი არ მუშაობს** — შეიძლება, რაღაც დროით გაუვიდეს, სხვებსაც გასვლიათ, მაგრამ **მწარედ მთავრდება.**

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



**ამ არჩევნებში ოლიგარქს საქართველოს კლანჭებიდან გავაგდებინებ** — ბრძოლა ადვილი არ იქნება, მაგრამ უნდა განვეწყოთ მხოლოდ გამარჯვებისთვის, **მალე ამ ბრძოლაში ჩემს ადგილსაც საბოლოოდ გამოვკვეთ.**

„ინტერპრესნიუსი“

# არცერთი პაატამანჯგალაძე საქართველოს პარლამენტში! -

## ეს უნდა იყოს ქართველი ხალხის ამოცანა წლევანდელ არჩევნებში!

ველოს გამთლიანებასა და სიღარიბის საბოლოოდ დაძლევაზე ლაპარაკობდა, აღნიშნა:

***„გასული სამი წლის განმავლობაში ქართველმა ხალხმა გამოავლინა უდიდესი სიბრძნე, რამაც ამ ორი ამოცანის შესრულებასთან ბევრად უფრო დაგვაახლოვა“.***

ესე იგი, **ყოფილი პრემიერ-მინისტრი და მმართველი პარტიის თავმჯდომარე** განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნავს, რომ ხელისუფლების საქმიანობის უმთავრეს სტიმულს ქართველი ხალხი წარმოადგენს, ხოლო **მმართველი პარტიის ყოფილი თავმჯდომარე და ახალი პრემიერ-მინისტრი** ქვეყნის წარმატების უმთავრეს წყაროდ ქართველი ხალხის სიბრძნეს ასახელებს.

მაშ, რაღა უნდა **მეორად ვაშაძეს?**

რას პროვოკატორობს ეს ნახევარპროცენტიანი და **ორკაციანი პარტიის წარმომადგენელი,** რომლის ლიდერმაც თბილისის მერის არჩევნებში იმაზე ნაკლები ხმები მიიღო, ვიდრე ნიგერიელმა პრინცმა **არინზე რიჩარდ ოგბუნუჯუმ?**

თუმცა, გასაკვირი და უცნაური არაფერია, რადგან ეს **მეორადი ვაშაძეც** ჩვეულებრივი ნაცი გახლავთ — პოლიტიკურ მორიელთა კლასის სტანდარტული წარმომადგენელი, რომელიც სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს ჯერ **კეზერაშვილის** თავდაცვის სამინისტროდან ემსახურებოდა, მერე — **ახალაიას** თავდაცვის სამინისტროდან, მერე — სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან და ბოლოს — გურიის სამხარეო ადმინისტრაციიდან.

კი, როცა **ბანდიტი და ყალთაბანდი დავით კეზერაშვილი** ქართულ ჯარს ძარცვავდა და ქართველი ჯარისკაცების სისხლზე მილიონებს შოულობდა, **პაატა მანჯგალაძე** თავდაცვის სამინისტროში რესურსების მართვის კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ მუშაობდა, ხოლო, როცა თავდაცვის უწყებას მანიაკური ჟინით შეპყრობილი და არამხოლოდ პატიმრების, არამედ ჯარისკაცების მწამებელი **ბაჩანა ახალაია** ედგა სათავეში, **მანჯგალაძე** ზემოხსენებული დეპარტამენტის უფროსი გახლდათ.







დავით კეზერაშვილი, ბაჩო ახალაია

ასე და ამრიგად, **პაატა მანჯგალაძე,** რომელიც დღეს **მეორადი ვაშაძის** ამპლუაში გვევლინება, გუშინ სისხლის სამართლის უმძიმეს დანაშაულთა ჩამდენი კრიმინალების — **დავით კეზერაშვილისა და ბაჩო ახალაიას ხელქვეითი იყო!**

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **მანჯგალაძე** 2011-2012 წლებში — ჯერ უფროს, ხოლო შემდეგ სახელმწიფო აუდიტორად მუშაობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი მძლავრი რეპრესიული იარაღი იყო ოპოზიციური ძალებისა და მათთან დაკავშირებული ადამიანების წინააღმდეგ.

**ალბათ, კარგად გახსოვთ, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ როგორ მასობრივად აჯარიმებდა სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ოპოზიციური პარტიების, განსაკუთრებით კი, „ქართული ოცნებისათვის“ თანხის შეწირვას გაბედავდნენ...** ალბათ, გახსოვთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონიტორინგის სამსახურის უფროსი, **ადეიშვილის** „ჯიბის ალქაჯი“ **ნათია მოგელაძე,** რომელიც ნამდვილ ფინანსურ ჯალათად ევლინებოდა ოპოზიციის მხარდამჭერებს... **აი, სწორედ მაშინ საქმიანობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ახლანდელი მეორადი ვაშაძე და ადვილი წარმოსადგენია, რითიც იქნებოდა დაკავებული.**

დღეს კი... დღეს ქართველი ხალხის ქომაგად მოაქვს თავი — სამარცხვინოა, რომ **ღარიბაშვილი და კობახიძე** ივანიშვილს უხდიან მადლობებს, ქართველი ხალხი კი საერთოდ არ ახსოვთო!

საინტერესოა, ამ **მეორად ვაშაძეს** — **პაატა მანჯგალაძეს როდის ახსოვდა ქართველი ხალხი — მაშინ, როცა კეზერაშვილისა და ახალაიას ხელისბიჭი იყო თუ მაშინ, როცა შარვლიან ნათია მოგელაძედ მუშაობდა?!**

რაც შეეხება სირცხვილს... **სირცხვილი ბიძინა ივანიშვილისათვის მადლობის გადახდა კი არ არის, სირცხვილი ის არის, ოგბუნუჯუსთან დამარცხებული ვაშაძე და მანჯგალიძისნაირი მეორადი ვაშაძეები საქართველოს პარლამენტში რომ სხედან!**

ამ დიდ სირცხვილს წერტილი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა უნდა დაუსვას!

**არცერთი პაატამანჯგალაძე საქართველოს პარლამენტში!** — ეს უნდა იყოს ქართველი ხალხის მთავარი ამოცანა წლევანდელ არჩევნებში!

**დარწმუნებული ვართ, ქართველი ხალხი ამ ამოცანას წარმატებით შეასრულებს!**

***ჯაბა ხუბუა***



**სირცხვილი ივანიშვილისათვის მადლობის გადახდა კი არ არის, სირცხვილი ის არის, ოგბუნუჯუსთან დამარცხებული ვაშაძე და მანჯგალიძისნაირი მეორადი ვაშაძეები საქართველოს პარლამენტში რომ სხედან!**

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ევროპული საქართველოს“ წევრი*



**მიხეილ სააკაშვილმა** წასვლის წინ **ეგრევე არევა დაიწყო.** საპრეზიდენტო არჩევნები მოდიოდა, **ბაქრაძეს** პრეზიდენტობაზე უნდა ეყარა კენჭი, **სააკაშვილი საშინლად იქცეოდა, საერთაშორისო ორგანიზაციებს საშინელებებს ეუბნებოდა ბაქრაძეზე,** საოცარ უპატივცემულობას გამოხატავდა, ბრაზობდა ამაზე, რომ **ბაქრაძე** იყრიდა კენჭს.

„პირველი არხი“

**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს“ ლიდერი*



იმის თქმა, რომ რომელიმე ისტორიულ ეტაპზე საქართველოს **რომელიმე ხელისუფლების ბრალია რუსეთის მიერ ჩვენ წინააღმდეგ განხორციელებული პირდაპირი აგრესია,** არის სიცრუე, მავნებლობა და ჩვენი ეროვნული ინტერესების ღალატი.

„ინტერპრესნიუსი“

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



ევროკავშირის წევრობისკენ **9 ნაბიჯის გადადგმა** რეალურად არჩევნებში ჩვენი გამარჯვების შემდეგ დაიწყება — **2024 წლის არჩევნები არის გადამწყვეტი.**

„ინტერპრესნიუსი“

**პეტრე ცისკარიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი*



**ივანიშვილის** კარზე ერთის სახელის მეორით ჩანაცვლებით **საქართველოს მოქალაქეებისთვის არაფერი იცვლება.**

„რეზონანსი“

**მამუკა გიორგაძე**
*სახალხო პარტიის თავმჯდომარე*



ნამდვილი პარტიები არ არსებობენ. **ოპოზიციაც მიბმულია ხელისუფლებაზე.**

„ახალი თაობა“

*წუთისოფელმა ზოგჯერ, თურმე, სრულიად სამართლიანადაც შეიძლება გიმუხთლოს, რაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა გასულ კვირას, როცა პარტია „ლელოს“ ლიდერ მამუკა ხაზარაძეს თავისი წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი სიმბოლო — ძველი ამერიკული ავტომობილი „ფორდ მუსტანგი“ აუბოლდა.*

# ბოლი

# ფიცი გვწამს, გვაკვირვებს!



## მამუკა ხაზარაძის წინასაარჩევნო კამპანიის მთავარ სიმბოლოს ცეცხლი მოეკიდა და ბოლი აუვიდა!



ძნელი სათქმელია, ხაზარაძემ თავისით მოიფიქრა თუ ცოტა ხნის წინათ დაქირავებულმა ამერიკელმა კონსულტანტმა **ჯერემი როზნერმა** ურჩია, მაგრამ ქართული სასამართლოს მიერ ჯგუფური თაღლითობისათვის გასამართლებულმა „ლელოს“ ლიდერმა რარიტეტული ამერიკული ავტომანქანა „ფორდ მუსტანგი“ გამოაგორა — **მთელი საქართველო ამით უნდა მოვიარო და მოსახლეობა დავარწმუნო, რომ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა არჩევნებში ჩემი და ჩემი პარტიის გამარჯვება არისო!**

რაკი 1964 წელს გამოშვებულმა **„ფორდ მუსტანგმა“** არამხოლოდ კომპანია **„ფორდი“** გადაარჩინა გაკოტრებას, არამედ ამერიკულ მანქანათმშენებლობაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა და განახლების სიმბოლოდ იქცა, ხანდაზმულმა თაღლითმაც, ეტყობა, იფიქრა — ჩემი და ჩემი პარტიის წამხდარ პოლიტიკურ საქმეს მხოლოდ „ფორდ მუსტანგით“ სიარული თუ უშველისო... **ავტომობილს ე.წ. კაპოტზე დიდი ზომის პარტიული სტიკერი დააწება, სახელმწიფო ნომრად „LE 999 LO“ მიაკრა და დაიწყო მოძრაობა ქალაქიდან ქალაქში, რეგიონიდან — რეგიონში...**

ვითომ „ფორდ მუსტანგით“ მოსიარულე ხაზარაძის დანახვაზე საქართველოს მოქალაქეებს უმალ დაავიწყდებოდათ, რომ **ეს ის კაცია, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე კომკავშირის კომიტეტის მდივნად ყოფნისას, თავისნაირ ზონდერკომკავშირელებთან ერთად, ეროვნული მოძრაობის მიტინგებს არბევდა და 1989 წლის 18 თებერვალს თვით მერაბ კოსტავასაც კი მოუქნია ხელი.**

ვითომ „ფორდ მუსტანგის“ საჭესთან ჯდომით ხაზარაძე ქართველი ხალხის მეხსიერებიდან ამოშლიდა, თუ როგორ შეთქვლიფა **„სახალხო-საინვესტიციო კორპორაციაში“** აკუმულირებული მოსახლეობის ანაბრები გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში და როგორ შავი დედალივით გაკეთდა მაშინ, როცა აფხაზეთის ომში დამარცხებული და დაქცეული საქართველო სისხლიანი ცრემლებით ტიროდა.

### ვითომ „ფორდ მუსტანგიდან“ გადმოსული ხაზარაძის ხილვისას






### საქართველოს მოსახლეობას აღარც კი გაახსენდებოდა, რომ ის და მისი „თიბისი ბანკი“ სააკაშვილის კრიმინალური ხელისუფლების ხელში ბიზნესმენების ცოცხლად გატყავების ინსტრუმენტს წარმოადგენდნენ და ნაცრეჟიმის

## კვირგვინოსნები



**თაკო ჩარკვიანი**
*„კანონისა და სამართლის“ ლიდერი*

18 საათის შემდეგ ბანკიდან რომ **4 მილიონი შავი ფული** გადის და შეხვედრას ესწრებიან **ბახარია, ფარცხალაძე და ხაზარაძე,** ეს ვისი ბრალია? **ანაბრებით შექმნილი ხაზარაძის „შპს“ ცალკე თემაა.** „პირველი არხი“



**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*

მაქვს მოლოდინი, რომ **„ლელო“ დადებს ისეთ გეგმას,** რომლის მიხედვითაც ავტოტრანსპორტით ლა-მანშის სრუტის გადალახვა იქნება შესაძლებელი, **ეს პარტია პოლიტიკური კურიოზია.** „იმედინიუსი“



**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*

**„ლელოს“ ფული აქვს,** მაგრამ **ქარიზმა აკლია, ბახარიას ქარიზმა აქვს,** მაგრამ **ფული აკლია.** ანგელოზიც რომ იყო, პოლიტიკაში უფულოდ რა უნდა ქნა?! „ახალი თაობა“



**ანა ბუჩუკური**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*

ერთი, რაც ზედაპირზეა და ყველამ ვიცით, არის ის, რომ **„ლელოს“ ლიდერები ნაცმოძრაობასთან ერთად კენჭს იყრიდნენ** 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებში. „იმედინიუსი“



**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*

გაუგებარია, **„ლელოს“ ხმა ვინ უნდა მისცეს,** გარდა ახლობლებისა. „კვირის პალიტრა“



**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*

ბარიერის გადალახვა არ არის „ლელოს“ ამოცანა, **ჩვენი ამოცანა გაცილებით ამბიციურია და ეს არის ხელისუფლების შეცვლა** — ჩვენი კარი ღიაა სხვა ოპოზიციურ ძალებთან თანამშრომლობისთვის. „პალიტრანიუსი“

# ხაზარაძის აბოლებული „ფორდ მუსტანგი“ იმის სიმბოლოა, რომ ხანდაზმული თაღლითების პარტიის წინასაარჩევნო დაპირებები მხოლოდ ბოლია!

**მიერ უკანონოდ დაპატიმრებული ადამიანების ქონებებს ეპატრონებოდნენ.**

ხაზარაძემ ჯერ საკუთარი ბანკის აქციონერებს ფოკუსი რომ ჩაუტარა და თაღლითური სქემით **17 მილიონ დოლარს** დაეუფლა, ხოლო შემდეგ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაზე ითაღლითა და სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტი ჩააფლავა, ამ ყველაფერს ვითომ **„ფორდ მუსტანგით“** სიარული გადაფარავდა და რარიტეტული ამერიკული ავტომობილი **ზონდერკომკავშირელს, ყაჩაღ-ბანკირს, მევახშესა და ხანდაზმულ თაღლითს** თავანკარა პოლიტიკოსის მანტიით შემოსავდა.

მართალია, **„ფორდ მუსტანგმა“** გასული საუკუნის 60-იანი წლების ამერიკულ მანქანათმშენებლობაში ნამდვილი სასწაული მოახდინა, მაგრამ ის მაინც არ არის იმდენად სასწაულმოქმედი, რომ **ყაჩაღ-ბანკირი და ხანდაზმული თაღლითი ხაზარაძე** პერსპექტიულ პოლიტიკურ ლიდერად გადააქციოს!

**ხანდაზმული თაღლითის** ჩაოხრებულ რეიტინგსა და პოლიტიკურ რენომეს ვერც იაფად ნაყიდი ამერიკული ავტომობილი **„ფორდ მუსტანგი“** უშველის და ვერც ძვირად დაქირავებული ამერიკელი კონსულტანტი **ჯერემი როზნერი,** რომელიც მანამდე სააკაშვილისა და ნაცბანდის პიარზე მუშაობდა!

მითუმეტეს, რომ 2024 წლის 2 თებერვალს **ხაზარაძის „ფორდ მუსტანგს“** ცეცხლი გაუჩნდა და კინაღამ ნაცარტუტად იქცა!

**„ლელოს“ უსტაბაშმა** თავის ფეისბუქ-გვერდზე გამოაქვეყნა ქუჩის სათვალთვალო ვიდეოკამერით გადაღებული კადრები, რომლებშიც ჩანს, რომ ძრავის ხუფიდან ბოლი ამოდის... **ხაზარაძის** თანმხლები პირი ხუფს ახდის და ძრავიდან ცეცხლი ამოვარდება... იგივე პირი ავტომობილის საბარგულიდან ცეცხლმაქრს ამოიღებს და ძრავიდან ამოვარდნილი ალის ჩაქრობას ლამობს... თვითონ ხაზარაძე ავტომობილის შორიახლოს დგას და უმოქმედოდ ადევნებს თვალს ინციდენტს, მერე კი სოციალურ ქსელში დაწერს: „გადავრჩით, ვაგრძელებთ მოძრაობას“.

**როგორი ამბავია, შენი წინასაარჩევნო კამპანიის მთავარ სიმბოლოს, რომელზეც მთელი პიარ-სტრატეგია გაქვს აწყობილი, უცებ ცეცხლი რომ წაეკიდება და ბოლი აუვა?**





**ხანდაზმული თაღლითის ჩაოხრებულ რეიტინგს ვერც იაფად ნაყიდი ამერიკული „ფორდ მუსტანგი“ უშველის და ვერც ძვირად დაქირავებული ამერიკელი კონსულტანტი ჯერემი როზნერი, რომელიც მანამდე სააკაშვილისა და ნაცბანდის პიარზე მუშაობდა!**

რა უნდა იყოს იმაზე გულსაკლავი და სასოწარმკვეთი, როცა რარიტეტული ავტომობილი, რომელიც ამომრჩეველს რევოლუციური ცვლილებების, განახლებისა და კრიზისიდან გამოსვლის სიმბოლოდ წარუდგინე, უცებ დრომოჭმული ჯაბახანასავით გამოვა მწყობრიდან და ხელით სათრევი გახდება?

**აშკარად უმუხთლა ბედმა ხანდაზმული თაღლითების პარტიას და აშკარად უმტყუნა ამერიკული მანქანათმშენებლობის რარიტეტმა „ბეპეის“ მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის ყოფილ მდივანს!**

მაგრამ ეს სულაც არ არის უსამართლობა! პირიქით,

**სრულიად სამართლიანი და კანონზომიერია, რომ პოლიტიკურ ძალას, რომლის წინასაარჩევნო კამპანიაც თავიდან ბოლომდე მოსახლეობის დაბოლებაზეა აგებული, წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი სიმბოლო აუბოლდა!**

კაცმა რომ თქვას, **ხანდაზმული თაღლითების პარტიას** წინასაარჩევნო კამპანიის სიმბოლოდ ცეცხლმოკიდებული და ბოლში გახვეული ავტომობილი უფრო შეეფერება, ვიდრე — გამართული და მწყობრში მყოფი!

კი, **ხაზარაძის აბოლებული „ფორდ მუსტანგი“** იმის სიმბოლოა, რომ **ხანდაზმული თაღლითების პარტიის** ყველა წინასაარჩევნო დაპირება — ე.წ. მარშალის გეგმით დაწყებული და 1000-ლარიანი პენსიით დამთავრებული, მხოლოდ ბოლია და მეტი არაფერი!

როცა კაცი ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებს, ხატოვნად იტყვიან ხოლმე — **ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო...** არ ვიცით, რამდენი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში, ვისაც ხანდაზმული თაღლითის ფიცი სწამს, ანუ მისი ლაპარაკისა და დაპირებების სჯერა, მაგრამ, თუ ასეთები მოიძებნებიან, ალბათ, **ხაზარაძის** წინასაარჩევნო კამპანიის სიმბოლოდან ამოვარდნილი **ბოლით** გაკვირვებული არიან და გაიძახიან — **ფიცი გვწამს, ბოლი გვაკვირვებსო!**

საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა კი დიდი ხანია, იცის, რომ **ხაზარაძის არც ფიცი უნდა სწამდეს და არც ბოლი უნდა აკვირვებდეს!**

***ჯაბა ხუბუა***

*თემის გაგრძელება მე-14 გვერდზე*

ახალი რვეულიდან

## USAყვედუროდ

### ერეკლე დეისაძე



უსაყვედუროდ მზეც არ სუფევს ცის კამარაზე,
არც ჩემი ლექსი არ დარჩება უსაყვედუროდ,
უსაყვედურეთ, ვისაც გინდათ ამ ქვეყანაზე,
მე კი ყოველთვის ლექსს ავირჩევ,
რომც დამემდუროთ!

თან შენიც მესმის, მეგობარო,
ასე რად ღელავ,
მიზეზი ვიცი,
რატომ გიპყრობს ზიზღის ალმური,
ქართულის ნაცვლად
მზით ფერშეცვლილ თოთო მკლავებში,
სისხლი ადუღდა პროდასავლური!

და იმეორებ მიკროფონთან მისული რიხით —
რაც კი შენამდე არაერთხელ გადაღეჭილა!
შენ რუსთაველზე იდექი და რუსეთზე დიდი
ევროკავშირის დროშა გეჭირა!

უსაყვედუროდ მზეც არ სუფევს ცის კამარაზე,
არც ჩემი ლექსი არ დარჩება უსაყვედუროდ,
უსაყვედურეთ, ვისაც გინდათ ამ ქვეყანაზე,
მე კი ყოველთვის ლექსს ავირჩევ,
რომც დამემდუროთ!

## კვირგვინოსნები

**ზურა ჯაფარიძე**
*„გირჩი — მეტი თავისუფლების“ ლიდერი*



**არ მგონია, რომ მევახშეობაში რაიმე პრობლემა იყოს.** ვალს გადახდა სჭირდება.

„ალია“

**ნატო ლუმბაძე**
*პროდიუსერი*



**ევროპა, ევროპაო და ევროპაში ადამიანს შუქსაც კი არ უთიშავენ გადაუხდელობის გამო,** რა გამოსახლება, რის გამოსახლება! იმის მაგივრად რომ **აიკრძალოს ქვეყანაში მევახშეობა,** წახალისება მიდის თუ რა ხდება.

„ალია“

**გიორგი ფოფხაძე**
*საფრანგეთში მცხოვრები ჟურნალისტი*



ქვეყანაში უნდა შეიქმნას ისეთი სისტემა, **როცა ვერავინ ვერასოდეს ვერ გაბედავს ადამიანის სახლიდან გამოსახლებას.** საფრანგეთში არის ასეთი სისტემა. ეგ კი არა და **მთელი ზამთარი შუქის და გაზის თანხა რომ არ გადაიხადო, ვერცერთი უწყება ვერ მოვა ჩასაჭრელად.**

„ალია“

**ეკა ბესელია**
*პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერი*



**„ოცნების“ ყოფილი წევრები,** ერთი ისტორიის, ერთი შეხედულებების მქონე ადამიანები **ერთ საარჩევნო პლატფორმაზე უნდა დალაგდნენ.**

„პალიტრანიუსი“

**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპელი დემოკრატების“ გენერალური მდივანი*



თუ პოლიტიკაც ისეთი იქნება, როგორიც **კობახიძის** გამონათქვამებია, მაშინ **ოპოზიციის თავების ხეთქვას უნდა ველოდეთ.** ყველამ მუზარადები უნდა დავიხუროთ.

„ახალი თაობა“

# პოეტო ბესიკ ხარანაულო, გაიხსენე სახალხო არტისტი ნოდარ მგალობლიშვილი!

*თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე, მომხდარ ინციდენტს, როცა კერძო მევახშის ვალში ჩავარდნილი ხატიაშვილების ოჯახი საცხოვრებელი ბინიდან მოქალაქეთა პროტესტის, სამართალ-დამცავთა ფიზიკური შეურაცხყოფისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ავტომანქანის დალეწვის ფონზე გამოასახლეს, სოციალურ ქსელში ვერლიბრით გამოეხმაურა ცნობილი პოეტი ბესიკ ხარანაული, რომელმაც დღევანდელ საქართველოს მეტაფორულად უწოდა ბანკებისა და მევახშეების ტყე.*

## მამუკა ხაზარაძისა და მისი ბანკისგან დაფინანსებული პრემია „საბას“ ორგზის ლაურეატი ბესიკ ხარანაული მევახშეებსა და ბანკებს გმობს!


ნოდარ მგალობლიშვილი


მამუკა ხაზარაძე, ბესიკ ხარანაული და რატი ამაღლობელი



### ბესიკ ხარანაული:
## რატომ დამაგდე მევახშეებში, ბანკების ტყეში რად მიმატოვე...

აი, შესაბამისი სტროფიც **ბესიკ ხარანაულის** თეთრი ლექსიდან:

> **„წყეულო მიწავ,**
> **სადაც დავბერდი და**
> **სიკეთეს ვერ მოვესწარი,**
> **რატომ გამაგდე?..**
> **რატომ დამაგდე**
> **მევახშეებში,**
> **ბანკების ტყეში**
> **რად მიმატოვე...“**

ბუნებრივია, რომ პოეტი ააღელვა და შეაშფოთა ადამიანის ბედმა, რომელიც გაჭირვებამ მევახშის კლანჭებში მოამწყვდია და ერთადერთი საცხოვრისი დააკარგვინა... პოეტს გულზე მოხვდა უსამართლობა... პოეტს სული აუდუღა თვისტომის უსასოო მდგომარეობამ... ჰოდა, აამეტყველა პოეტმა მევახშეებში დაგდებული, ბანკების ტყეში მიტოვებული ლირიკული გმირი... ასეც უნდა იყოს, სწორედ ესაა პოეტის, შემოქმედის, კალმისკაცის საქმე და სხვა თუ არაფერი, როგორც **მურმან ლებანიძე** წერს — **„პოეზიას ევალება არსებულით უკმაყოფილება...“**

**მერე რა, რომ ბესიკ ხარანაულის ლირიკული გმირი მტაცებელ მევახშეებსა და ბანკების ტყეზე არაფერს ამბობდა მაშინ, როცა საქართველოში მევახშის მიერ მოქალაქის ბინიდან გამოსახლებას, დღევანდელისაგან განსხვავებით, სასამართლოს ნებართვაც კი არ სჭირდებოდა...** ბესიკ ხარანაულის ლირიკულმა გმირმა, ალბათ, კარგად იცოდა, რომ მაშინ მსგავს რაღაცებზე ხმამაღლა ლაპარაკი საშიში და დასჯადი იყო, მოვიდოდნენ და ეგრევე ხელს დაგავლებდნენ — ან ციხეში ამოგაყოფინებდნენ თავს, ან პირში ბურთს ჩაგჩრიდნენ და საჯარო სივრცეში ცხვირის გამოყოფას აგიკრძალავდნენ... მოკლედ, **მაშინ საშარო იყო ხმის ამოღება და ჩანს, ბესიკ ხარანაულის ლირიკულ გმირს შარის თავი არ ჰქონდა, იყო ჩუმად და იყო თავისთვის, არც მევახშეებს იმჩნევდა, არც — ბანკების ტყეს და არც — სისხლის მდინარეებს.**

სამაგიეროდ, ახლა, როცა საშიშროება გადავლილია და ხმის ამოღება ხიფათიანი აღარ არის, **ბესიკ ხარანაულის ლირიკული გმირიც** აბობოქრდა ისევე, როგორც თვითონ **ბესიკ ხარანაული**, რომელმაც 2021 წელს ფეისბუქში დაწერა: **„ვინცა ხართ: მიხეილ სააკაშვილის წამებით გადაუარეთ ყველას და ყველაფერს! ნეტა, რაზე დგახართ?“**

პოეტი ხომ ხშირად იმას ხედავს, რასაც ჩვეულებრივი მოკვდავნი ვერ ხედავენ და ვერ ამჩნევენ... პოეტი ხედავს სიზმრებს არაჩვენებურს... **ჰოდა, ბესიკ ხარანაულმაც დაინახა ის, რაც ვერ დაინახა არამხოლოდ საქართველომ, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც კი — სააკაშვილის წამება!**

რაკი **ბესიკ ხარანაულის ლირიკულმა გმირმა** თავისუფლება მოიპოვა და დღეს უკვე საქვეყნოდ იმაღლებს ხმას ბანკებისა და მევახშეების წინააღმდეგ, გამორიცხული არ არის, მორიდებული საყვედური თავად **ბესიკ ხარანაულსაც** შეჰბედოს — **შენ, ჩემო შემქმნელო და ამმეტყველებელო, მევახშეებთან რად მეგობრობ და ბანკების ტყეში რად დასეირნობო?!**

ის კი არა, მევახშეებში დაგდებული და ბანკების ტყეში მიტოვებული ლირიკული გმირი ისეთი გამწარებული ჩანს, შეიძლება, **ბესიკ ხარანაულს** ის ფოტოებიც აუფრიალოს, რომლებზეც პოეტი ქვეყნის ყველაზე დიდ მევახშესთან და ყაჩაღ-ბანკირთან **მამუკა ხაზარაძესთან ერთად დგას მის მიერ დაფინანსებული „საბას“ პრემიით ხელში!**

მევახშეებში დაგდებულ და ბანკების ტყეში მიტოვებულ ლირიკულ გმირს არც ის გაუჭირდება, **ბესიკ ხარანაულს** სტატისტიკური მონაცემები გააცნოს იმის შესახებ, რომ 2012 წლის 1 იანვრიდან დღემდე **ხაზარაძის „თიბისი ბანკმა“** თავის მოვალეებს 1085 ერთეული უძრავი ქონება, მათ შორის, 857 საცხოვრებელი ფართი გაუყიდა!

## ჰოდა, რა გასაკვირი იქნება, თავისმა ლირიკულმა გმირმა ბესიკ ხარანაულს პირდაპირ მიახალოს – შე დალოცვილო, მე რომ მევახშეებსა და ბანკების ტყეზე მაკვნესებ, შენ თვითონ მევახშეებისა და ყაჩაღ-ბანკირებისაგან პრემიებს რატომ იღებო?!

არ ვიცით, რით გაიმართლებს თავს **ბესიკ ხარანაული** მევახშეებში დაგდებული და ბანკების ტყეში მიტოვებული თავისივე ლირიკული გმირის წინაშე!

არც იმის უფლებას მივცემთ საკუთარ თავს, სახელოვან და ასაკოვან პოეტს ჭკუა დავარიგოთ და მივუთითოთ, როგორ უნდა მოიქცეს, თუ მისთვის მევახშეობა და ბანკების ტყე მართლა მიუღებელია... უბრალოდ,

**მამუკა ხაზარაძის მიერ დაფინანსებული პრემია „საბას“ ლაურეატს ბესიკ ხარანაულს ქართული თეატრისა და კინოს თვალსაჩინო წარმომადგენლის, სახალხო არტისტის ნოდარ მგალობლიშვილის მაგალითს შევახსენებთ, რომელმაც 2001 წელს პრეზიდენტ შევარდნაძისაგან ღირსების ორდენის მიღებაზე უარი თქვა და განაცხადა —** არ მჭირდება ღირსების ორდენი იმ კაცისაგან, რომელიც ღირსებას მართმევს და სიღარიბეში ცხოვრებას მაიძულებსო! **დანარჩენი თავად ბესიკ ხარანაულის გადასაწყვეტია!**

*ჯაბა ხუბუა*

# გენერალისიმუსი

№8 (244) ★ 2024 წლის 5 თებერვალი ★ გამოდის 2003 წლიდან

***ქართველი გენერალიტეტის მემატიანე, მწერალი და ჟურნალისტი ლევან დოლიძე წმინდა მატრონა მოსკოველისა და დიდი სტალინის ისტორიული შეხვედრის შესახებ ახალ დეტალებს გვამცნობს და აცხადებს, რომ იმ საშინელ დღეებში, როცა მოსკოვში პანიკა სუფევდა და დედაქალაქიდან ხალხი გარბოდა, უბრალო მძღოლმა, რომელსაც კრემლში პროდუქტები შეჰქონდა, ბელადს ურჩია, ბრმა და დავრდომილ მატრონა ნიკონოვას შეხვედროდა:***



**ფრაგმენტი ნაცაქტივისტ ნატა ფერაძის მიერ შებილწული ხატიდან – სტალინის სტუმრობა წმინდა მატრონასთან**



## ლევან დოლიძე:

# სტალინი ოთახში შევიდა თუ არა, წმინდა მატრონამ მაშინვე იცნო, მარჯვენა მხარზე ხელი მიადო და სიყვარულით უთხრა –

# ნუ გეშინია, წითელი მამალი გაიმარჯვებს!

**მკვლევარის სიტყვა ★**

— წმინდა მატრონა მოსკოველის ხატთან დაკავშირებული სამარცხვინო ინციდენტი, რომელიც თბილისში მოხდა, ერთადერთი არ ყოფილა. მართალია, **ვინმე ნატა ფერაძის** მსგავსად წმინდა მატრონას ხატისთვის საღებავი არ შეუსხამთ, მაგრამ თითქმის ანალოგიური შემთხვევა მოსკოვშიც დაფიქსირდა, სადაც ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ მართლმადიდებლურ ტაძარში გამოჩნდა ხატი წარწერით — **„უწმინდესი მატრონა აკურთხებს სტალინს“.**

მავანთა ზეწოლით, ხატზე გამოსახული სტალინი სამი ანგელოზით შეცვალეს... ტაძრის წინამძღვარმა მრევლს უთხრა, რომ პირადად იცნობდა მოხუც ქალს ანასტასიას, რომელიც ხშირად სტუმრობდა ივანოვოში მორწმუნე ქალს **ვალენტინა კატუშკინას.** მოძღვრის განცხადებით, ანასტასია ირწმუნებოდა, რომ სტალინისა და წმინდა მატრონას შეხვედრას შეესწრო.

**— რომელ ტაძარში მოხდა ეს ფაქტი?**

— ეს მოხდა **ახალი გოლუტვინის ქალთა მონასტერში,** სადაც 1993 წელს **ზინაიდა ჟდანოვამ** გამოსცა ბროშურა „წმინდა მატრონას ამბავი“. მასში ჩართულია სტალინისა და წმინდა მატრონას შეხვედრის ისტორიაც. წმინდა მატრონა მოსკოვში სწორედ იმ ზინაიდა ჟდანოვას სახლში ცხოვრობდა, რომელმაც პირადად შემოიარა ის სოფლები და მოინახულა ის გლეხები, რომლებსაც მატრონამ ან შვილი გადაურჩინა, ან — შინაური პირუტყვი, ანდა ჯანმრთელობა შეუნარჩუნა. **ზინაიდა ჟდანოვას** წიგნში მოტანილია ერთი მოხუცი ქალის ნაამბობი თავის ნათესავზე, რომელსაც კრემლში მანქანით პროდუქტები შეჰქონდა. იმ უმძიმეს დღეებში, როცა მოსკოვში საშინელი პანიკა იყო და ებრაელები ქალაქიდან პატარა ჩემოდნებით გარბოდნენ, პროდუქტების დამტარებელი ბიჭი კრემლის ეზოში სტალინის სიახლოვეს აღმოჩნდა და მატრონას შესახებ უამბო. სტალინი ამ ამბით დაინტერესდა და იმავე დღესვე მივიდა მატრონასთან, რომელიც არბატზე, სტაროკანიუშენის შესახვევში, ჟდანოვებთან ცხოვრობდა. ეს მოხდა 1941 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში...

**— როგორ მიიღო წმინდანმა ბელადი?**

— სტალინი ოთახში შევიდა თუ არა, **წმინდა მატრონამ** მაშინვე იცნო, მარჯვენა მხარზე ხელი მიადო და სიყვარულით უთხრა — **ნუ გეშინია, წითელი მამალი გაიმარჯვებს!** ამის შემდეგ **მატრონამ** პაუზა გააკეთა და სტალინს ისევ მიმართა — **მრავალნი წავლენ მოსკოვიდან, მაგრამ შენ ქალაქიდან არ წახვალ და ერთი დარჩები უფროსებიდან! მტერი მოსკოვში ვერ შემოვა, გამარჯვება შენ დაგრჩება!** აი, ამით სრულდება წმინდანისა და ბელადის შეხვედრა...

**— ყაზანისა და ტიხვინის ღვთისმშობლის ხატების მოსკოვისთვის შემოტარების ისტორია გამოგონილია?**

— როგორც ირკვევა, ეს ამბავი სტალინისა და მატრონას შეხვედრის ისტორიაში გვიან უნდა იყოს შეტანილი... **წმინდა მატრონა ნიკონოვას** სინამდვილეში **„მატრენა“** ერქვა და 1881-1885 წლების შუაში უნდა დაბადებულიყო სოფელ სებინოში, რომელიც ტულის გუბერნიას, ეპიფანიის მაზრას ეკუთვნოდა. ზინაიდა ჟდანოვას მონაცემების თანახმად, ის ოჯახში მეოთხე ბავშვი იყო. მატრონა ბრმა დაიბადა, 17 წლის ასაკში მას მოძრაობის უნარიც წაერთვა.

მატრონას წინასწარმეტყველების გასაოცარი უნარი ჰქონდა. უსინათლო გოგონა სოფელ სებინოდან საოცრებებს სჩადიოდა და ხალხს კურნავდა. რევოლუციის შემდეგ მატრონას ძმები ბოლშევიკების სამსახურში ჩადგნენ და თავიანთი და მოსკოვში, ახლო ნათესავთან გადმოიყვანეს. 1925 წლიდან მოყოლებული, **მატრონა** უკვე მოსკოვში ცხოვრობდა... მას ხშირად უხდებოდა მისამართის შეცვლა. მატრონა ყოველთვის გრძნობდა საფრთხეს და იცოდა, როდის დაადგებოდნენ თავს.

როდესაც **ზინაიდა ჟდანოვა** დააპატიმრეს და გადაასახლეს, მატრონა სოფელ სხოდნიაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც 1952 წლის 2 მაისს, დაახლოებით სამოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვალა. **წმინდა მატრონამ** ზუსტად დაასახელა თავისი გარდაცვალების თარიღი და დაიბარა, რომ დაესაფლავებინათ დანილოვის სასაფლაოზე, დანგრევას გადარჩენილი ეკლესიის გვერდით, რათა ესმინა ეკლესიის ზარები. 1987 წელს დაიწყო მატრონას კანონიზაციის პროცესი. მისი ნეშტი ჯერ — დანილოვის, ხოლო შემდეგ პოკროვსკის მონასტერში გადმოასვენეს და ვერცხლის ლუსკუმაში ჩაასვენეს. 2004 წელს **მატრონა მოსკოველი** სრულიად რუსეთის წმინდანად აღიარეს.

**— ერთია აპოკრიფები და თქმულებები წმინდა მატრონაზე, მაგრამ მეორეა ისტორიული სიმართლე მისი და სტალინის შეხვედრის შესახებ. თქვენ რა იცით?**

— ვიცი და ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, რომ 1941 წლის ოქტომბრის ბოლოს და ნოემბერში მოსკოვში უჩვეულოდ გაუსაძლისი ყინვები დაიწყო. მაშინ, როცა გერმანელებს სამჯერ მეტი ძალები ჰყავდათ, ხოლო ჰიტლერს მოსაწვევები ჰქონდა დაბეჭდილი, რათა 7 ნოემბერს წითელ მოედანზე გამარჯვების პარადი გაემართა, ამ დღეს წითელ მოედანზე პარადი სტალინმა ჩაატარა! ამ მოვლენას მთელი მსოფლიო გულისფანცქალით უმზერდა, რადგან 1941 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში მოსკოვიდან ხელისუფლება გავიდა და ქალაქში საშინელი პანიკა იყო... მოსკოვში დარჩენილი იყვნენ მხოლოდ საგანგებო დივერსიული ჯგუფების, „ომსბორნის“ წევრები, რომლებიც „ვედეენხას“ ტერიტორიაზე იყვნენ დისლოცირებული და შენობებს ნაღმავდნენ.

1941 წლის 18 ოქტომბერს მოსკოვში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. არაერთგზის წამიკითხავს, რომ სტალინი მატარებლის სადგურზე, ერთ-ერთ ბაქანზე იყო გასული, რათა სპეცმატარებლით მოსკოვი დაეტოვებინა, მაგრამ უკან მობრუნდა და კრემლისკენ გაემართა.

მოსკოვიდან სტალინის შესაძლო ევაკუაციის შესახებ უაღრესად საინტერესო და ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის „ენკავედეს“ გენერალ-მაიორი, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი **ვარლამ კაკუჩაია,** რომლის დღიურიც მის ოჯახში წმინდა რელიკვიასავით ინახება. კაკუჩაია იგონებს: *1941 წლის ოქტომბრის მოსკოვის საგანგებო დღეებია. გვიან ღამით ჩემს კაბინეტში კრემლიდან ზარი გაისმა. ავიღე ტელეფონის ყურმილი... — ეს მე ვარ, საშა ეგნატაშვილი! — მითხრა ხმამ. „ენკავედეს“ გენერალი საშა ეგნატაშვილი მირეკავდა, რომელიც მთავ-*

***გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე–2 გვერდზე***





## სტალინი — ეგნატაშვილს:

**თუ თქვენ გეშინიათ და ვერაფერს აკეთებთ, მე ავიღებ ხელში ავტომატს და ხალხთან ერთად დავიცავ მოსკოვს! გაეთრიე კაბინეტიდან, შე უნამუსო!**



## ლევან დოლიძე:

# ჰიტლერი მოსკოვში ვერ შევიდა, რადგან სტალინმა და ბერიამ კრემლი არ დატოვეს, ხოლო საუკეთესო გერმანული სამხედრო ტექნიკა გაიყინა!

*დასაწყისი „გენერალისიმუსის" პირველ გვერდზე*

რობის სახელმწიფო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა. — გთხოვთ, შემობრძანდეთ ჩემთან კაბინეტში ძალზედ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით! — მითხრა ეგნატაშვილმა. მთელ ჩვენ შენობაში გენერალ საშა ეგნატაშვილს ყველა უდიდეს პატივს სცემდა, არა როგორც სტალინის ძუძუმტეს, ახლობელს და, ფაქტობრივად, ძმას, არამედ კაცს. კაკუჩაია ჩავიდა „ლუბიანკის" პირველ სართულზე, სადაც ეგნატაშვილს ე.წ. გენერლების სასადილოს გვერდით დიდი კაბინეტი ეჭირა.

**— მერე რა მოხდა?**

— **ვარლამ კაკუჩაია აგრძელებს:** საშა ეგნატაშვილის კაბინეტში რომ ჩავედი, გავოგნდი... ურთულეს სიტუაციაში, როცა წუთები წყვეტდა ყველაფერს და ზუსტად არავინ იცოდა, მოსკოვში ჩვენ ვიქნებოდით თუ გერმანელები, დავინახე ბრწყინვალე სუფრა. მაგიდაზე უხვად იყო ღვინოები და კონიაკები, მოხარშული ინდაურის ხორცი. რამდენიმე გენერალი საშა ეგნატაშვილს სუფრის გაშლაში ეხმარებოდა. — საშა, რა დროს ეს არის, ქვეყანა თავზე გვექცევა! — ვკითხე ეგნატაშვილს. — ყველაფერს გაიგებ! — მიპასუხა. როდესაც მაგიდას ყველა შემოუსხდა, ისევ ვერ მოვითმინე და ვკითხე — საშა, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა აღარ იტყვი? მაგიდას უსხდნენ: **სტეფანე მამულოვი,** სტალინის პირადი დაცვის უფროსი, **გენერალი ვლასიკი** და კიდევ ათითხუთმეტი გენერალი. საშამ ისევ მითხრა — დაიცადე, ნუ ჩქარობ, ყველაფერს გაიგებ! როცა ყველა გაჩუმდა, **საშა ეგნატაშვილმა** ბოკალი ასწია და სადღეგრძელო თქვა — ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ქვეყანას, დიდ სტალინს გაუმარჯოს! ამის შემდეგ საშა ეგნატაშვილმა ინდაურის ხორცი დაჭრა, სტუმრებს მიართვა და განაცხადა — ძვირფასო მეგობრებო, ახლა გეტყვით, თუ რატომ მივეცი ჩემს თავს უფლება, ასეთ დროს ამ უცნაურ მაგიდასთან შემეკრიბეთ! დღეს მე გამომიძახა პოლიტბიუროს ერთ-ერთმა წევრმა, რომელმაც მითხრა — პარტიისა და მთავრობის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, სასწრაფოდ მოხდეს სტალინის უსაფრთხო ადგილზე ევაკუაცია, საიდანაც უხელმძღვანელებს საბჭოთა კავშირის ბრძოლას ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. ამიტომ არაფრით სტალინის კრემლში გაჩერება არ შეიძლება. სტალინმა ჩვენი ეს წინადადება ლაჩრობად შერაცხა და არ დაგვთანხმდა, იქნებ თქვენ დაიყოლიოთ! პირდაპირ წავედი სტალინთან, რომელიც კაბინეტში მარტო იყო. სტალინი ღიმილით, თბილად შემხვდა, როგორც ბავშვობაში. რომ მომესალმა, მკითხა — როგორ არის საქმეები? — საქმეზე შენ უნდა გკითხო, ჩემო ძვირფასო სოსო, შენ უფრო საქმის კურსში ხარ-მეთქი! სტალინს ბავშვობაშიც ასე ვეძახდი — „ძვირფასო სოსო" და ღიმილზე მივხვდი, რომ არ ეწყინა ეს მიმართვა. მოკლედ, **ალექსანდრე ეგნატაშვილმა** სტალინს გაუბედა — კრემლი და მოსკოვი უნდა დატოვოთ, თქვენი აქ ყოფნა სახიფათოა. ხომ ხედავთ, „ენკავედეს" შენობაც კი დაბომბეს, ხალხი დაგვეჭრა, **ქობულოვის** კაბინეტი დაზიანდაო! სტალინი უცბად გაცეცხლდა და **ალექსანდრე ეგნატაშვილს** მიუბრუნდა — მე შენ ვაჟკაცი კაცი და ნამდვილი კომუნისტი მეგონე, მაგრამ პანიკიორი და ლაჩარი ყოფილხარ. თუ თქვენ გეშინიათ და ვერაფერს აკეთებთ, მე ავიღებ ხელში ავტომატს და ხალხთან ერთად დავიცავ მოსკოვს. გაეთრიე კაბინეტიდან, შე უნამუსო! მოკლედ, **ეგნატაშვილმა** სუფრის წევრებს განუცხადა — რომ ვიცი მისი ხასიათი, სასწრაფოდ გამოვედი მისი კაბინეტიდან! ამის შემდეგ **კაკუჩაიას** მიუბრუნდა — ბევრი ვიფიქრე, ჩემო ვარლამ, სტალინის სიტყვები კარგად ავწონ-დავწონე და მივხვდი, რომ სტალინი მართალია. თუ სტალინი კრემლიდან წავიდა, გერმანელებს ვერავინ შეაჩერებს! როგორც **ვარლამ კაკუჩაია** იგონებს, **ალექსანდრე ეგნატაშვილის** სიტყვების შემდეგ ყველანი ფეხზე წამოდგნენ, სტალინის სადღეგრძელო შესვეს და აბსოლუტურად სხვა განწყობით, უდიდესი შემართებით დატოვეს გენერალ **ალექსანდრე ეგნატაშვილის** კაბინეტი!

**— მაინც რატომ ვერ შევიდა ჰიტლერი ბერლინში?**

— ამაში მართლა ღმერთის ხელი ერია! ეს კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პარადოქსია, რომელსაც არავითარი მეცნიერული ახსნა არა აქვს! **ჰიტლერი მოსკოვში ვერ შევიდა,** რადგან **სტალინმა და ბერიამ** კრემლი არ დატოვეს, ხოლო საუკეთესო გერმანული სამხედრო ტექნიკა გაიყინა, მწყობრიდან გამოვიდა და ვეღარ ისროდა.

სხვათაშორის, ლენინგრადის ბლოკადის დროს ერმიტაჟის ერთ-ერთმა თანამშრომელმა აღმოაჩინა, რომ **რუმინული ბენზინი,** რომელიც დაბალი ოქტანობისა იყო და ფაშისტები იყენებდნენ, უფრო ადვილად იყინებოდა, ვიდრე ბაქოში წარმოებული **საბჭოთა ბენზინი.** ამან ლენინგრადის დამცველებს საშუალება მისცა, გაენადგურებინათ ფაშისტების მიერ დაკავებული აეროდრომი და დაახლოებით 27 თვითმფრინავი, რომელიც ბენზინის გაყინვის გამო გერმანელებმა ცაში ვერააფრინეს... **ამ საქმეში ღმერთის ხელი ერია და, როგორც ჩანს, სტალინისა და წმინდა მატრონას შეხვედრაც ღმერთის ნებით მოხდა!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**მკვლევარის სიტყვა** ★



## სვიმონ მასხარაშვილი:

# ლენინი სტალინს ენდობოდა... 1912 წელს სწორედ ლენინის ინიციატივით შეიყვანეს სტალინი ცეკაში!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ცდილობს, გააქარწყლოს გავრცელებული ცნობები:***

— რუსეთის ისტორია და ქვეყნის განვითარების კურსი სოციალისტ-რევოლუციონერებმა, ანუ იმავე „ესერებმა" ნამდვილად შეცვალეს, როცა **1918 წლის 30 აგვისტოს ფანი კაპლანმა,** რომლის ნამდვილი სახელი და გვარი **ფეიგა ხაიმის ასული როიტბლატია,** მოსკოვში, მიხელსონის ფაბრიკის ეზოში, მიტინგის დასრულების შემდეგ „ბრაუნინგის" სისტემის პისტოლეტით მძიმედ დაჭრა ლენინი. გონზე მოსვლისთანავე მან იკითხა — **„დაიჭირეს?"** თავად ლენინი მიიჩნევდა, რომ მას ქალმა კი არა, კაცმა ესროლა. დაკითხვის დროს **ფანი კაპლანმა,** რომელიც ერთ-ერთმა მუშამ, გვარად **ივანოვმა,** შეიპყრო, აღიარა, რომ **ლენინს** იმ „ესერების" დავალებით ესროლა, რომლებიც ლენინს „რევოლუციის მოღალატედ" მიიჩნევდნენ, რადგან 1918 წლის იანვარში რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკა. **ფანი კაპლანს** არც ის დაუმალავს, რომ **ლენინის მკვლელობა** ჯერ კიდევ 1918 წლის თებერვალში სიმფეროპოლში დაიგეგმა.

1918 წელს ლენინი 48 წლის უჯანმრთელესი მამაკაცი იყო. რომ არა მისი საუკეთესო მდგომარეობა, თავში მიყენებული ჭრილობით 1924 წლამდე ვერ მიაღწევდა, თანაც იმ დღეებში ისეთი რეიტინგი ჰქონდა, ქრისტესაც კი ადარებდნენ, რომელიც სასწაულებრივად გადარჩა.

როგორც ცნობილი ამერიკელი სოვეტოლოგის **რიჩარდ პაიფსის** უკანასკნელი გამოკვლევები ცხადყოფს, ამ ჭრილობამ **ლენინს** თავის ტვინისთვის სისხლის მიმწოდებელი მთავარი სისხლძარღვი დაუზიანა, რაც იწვევდა ნორმალური კალაპოტიდან მის პერმანენტულ „ამოვარდნებს" და უმძიმეს ფსიქოემოციურ მდგომარეობას.

**— გამოდის, რომ ლენინს ათაშანგი კი არა, სინამდვილეში ნატყვიარი ტანჯავდა?**

— უკანასკნელ ხანს **რიჩარდ პაიფსმა** იმ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომელიც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ამერიკელებმა რუსეთიდან ეშელონებით გაიტანეს, დაწვრილებით შეისწავლა ეს საკითხი და დაასკვნა, რომ **არავითარი ათაშანგი ლენინს არ ჰქონია და ჰიპერტონია და კრიზები ტანჯავდა,** რაც კაპლანის ქალის მიერ ნასროლი ტყვიით იყო გამოწვეული.

დღევანდელ ვითარებაში ლენინს ჩაუტარებდნენ არცთუ რთულ ქირურგიულ ოპერაციას, იმ დაზიანებულ სისხლძარღვს აღუდგენდნენ და ყველაფერი ამით დასრულდებოდა, მაგრამ მაშინ, შესაბამისი აპარატურის უქონლობის გამო, დიაგნოზიც კი ვერ დასვეს.

ლენინი ხშირად ხდებოდა ცუდად და კრემლის ეზოშიც კი ეცემოდა. მისმა უმძიმესმა მდგომარეობამ საფუძველი დაუდო ჭორებს, თითქოს ათაშანგი ჭირდა, რომელიც მეძავმა მეუღლემ — **ნადეჟდა კრუპსკაიამ** გადასდო. არადა, **კრუპსკაიას** არც ათაშანგი ჰქონია და არც მეძავი ყოფილა. **ნადეჟდა კრუპსკაიას,** რომელიც ძალიან ლამაზი ქალი იყო, ციხეში ყოფნისას დაეწყო ბაზედოვის დაავადება, იგივე ჩიყვი, რამაც საგრძნობლად დაამახინჯა. არც ის ფაქტი ფიქსირდება სადმე, რომ **კრუპსკაიამ** ლენინს უღალატა, პირიქით, ამ მხრივ იგი უფრო იყო მოღალატე და, ფაქტობრივად, მეორე ცოლი ჰყავდა **ინესა არმანდის** სახით, რომელიც 1920 წელს ქოლერით გარდაიცვალა.

მოკლედ, რიჩარდ პაიფსი, რომელსაც რუსულ საარქივო მასალებზე აბსოლუტური წვდომა ჰქონდა, ასკვნის, რომ **ხმები ლენინის ათაშანგით დაავადების შესახებ აბსოლუტური სისულელე იყო.** უფრო მეტიც,

**პაიფსი იმასაც მიუთითებს, რომ 1912 წელს, ანუ ლენინის გარდაცვალებამდე თორმეტი წლით ადრე, ათაშანგი უკვე აბსოლუტურად განკურნებადი იყო და ამ აღმოჩენისთვის იულიუს იაურეგ-ვაგნერს ნობელის პრემია ჰქონდა მინიჭებული.**

საერთოდ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში ათაშანგით ადამიანი აღარ კვდებოდა და დავიჯეროთ, ლენინისთვის ვერ იშოვეს კოლოანოფელესის შხამისგან დამზადებული ამპულა, რომელიც ამოდენა სახელმწიფოს მეთაურს გადაარჩენდა? თუმცა, **რიჩარდ პაიფსმა** მაინც დაუშვა საბედისწერო შეცდომა და თავის დასკვნაში დაწერა, რომ ლენინის მდგომარეობა დაამძიმა არა სისხლძარღვის დაზიანებამ, არამედ „სამხედრო კომუნიზმის" იდეის ჩაფლავებით გამოწვეულმა შოკმა.

**— ეს ძალიან საინტერესო საკითხია და, მოდით, განვუმარტოთ საზოგადოებას, თუ რას ნიშნავდა ლენინისა და ტროცკისეული „სამხედრო კომუნიზმის" იდეა?**

— როგორც კი 1917 წლის 25 ოქტომბერს რევოლუცია მოხდა და ბოლშევიკები ხელისუფლებაში მოვიდნენ, **ლენინმა** გააუქმა ფული, აკრძალა ყველა სახის ვაჭრობა და ბრძანა, რომ თავისი შრომის ნაყოფი — საქონელი ყველას ჩაებარებინა სპეციალურ დაწესებულებებში, რომელიც ამ ყველაფერს მოსახლეობაში „საჭიროებისამებრ" გადაანაწილებდა. ცხადია, არცერთი გლეხი და მუშა თავის მიერ შექმნილ პროდუქციას საკუთარი ნებით არსად ჩააბარებდა, ამიტომ ხელისუფლება გლეხებსა და მუშებს ე.წ. ნამეტ პროდუქციას ართმევდა, რამაც მთელ რუსეთში 1919-1921 წლებში, ვიდრე ხელისუფლებამ „ნეპი" არ შემოიღო, ვითარება უკიდურესად დაძაბა და გლეხთა აჯანყებები გამოიწვია.

**— ექიმს, მასწავლებელს, პროფესორს ფეხსაცმელი და ტანსაცმელი სად უნდა ეყიდა?**




ვლადიმერ ლენინი

**ისტორიკოსის თვალით** ★

— ბოლშევიკებმა ყველას დაურიგეს ე.წ. ბარათები, რომლითაც შესაბამის პუნქტებში მიდიოდნენ და საჭირო საქონელს შეიძენდნენ. ამ ყველაფერმა გამოიწვია მთელი რუსეთის ინტელიგენციის ქალაქიდან სოფლად გახიზვნა, რადგან ქვეყანაში, სადაც ფული მიმოქცევიდან იყო ამოღებული, მასწავლებელსა და ექიმს გლეხები გასამრჯელოს ნატურით — პროდუქტებით უხდიდნენ. გავიხსენოთ **ბორის პასტერნაკის** „ექიმი ჟივაგო", იქ ძალიან კარგად არის ნაჩვენები ეს პროცესი, რომელმაც მთელი რუსეთი დააქცია. პეტროგრადი, ანუ მომავალი ლენინგრადი მთლიანად კონტრაბანდაზე იყო გადასული, რომელიც, ძირითადად, ფინეთიდან შემოდიოდა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მთელ რუსეთში იფეთქა გლეხთა ბუნტებმა. შავი ზღვის სამხედრო ფლოტის ყოფილი მეთაური, ადმირალი **ალექსანდრე კოლჩაკი,** რომელიც თეთრგვარდიული მოძრაობის უმაღლეს მთავარსარდლად იყო აღიარებული, ცოტა უნიჭო ადამიანი გახლდათ, თორემ გლეხთა ბუნტებს ბოლშევიკების წინააღმდეგ ეფექტურად გამოიყენებდა და ლენინის ხელისუფლებას დაამხობდა. „სამხედრო კომუნიზმის" სულელურ და ქვეყნის დამღუპველ იდეას სულ მალე უკრაინაში სერიოზული პოლიტიკური პროცესები მოჰყვა. კერძოდ, **აქამდე დამოუკიდებლობასა და რუსეთიდან გამოყოფაზე არავის რომ არ უფიქრია, 1918 წლის იანვარში უკრაინის რადამ უარი განაცხადა, მოსკოვისთვის სასურსათო პროდუქცია გადაეცა...** ასე რომ,

**უკრაინულ ნაციონალიზმს საფუძველი ლენინისა და ტროცკის „სამხედრო კომუნიზმის" პოლიტიკამ მოუმზადა.**

სწორედ ამავე მიზეზით დაუპირისპირდა ბოლშევიკებს კაზაკობა. საქმე ისე წავიდა, რომ რუსეთს მოუწია, შეგუებოდა **„შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის"** არსებობასაც.

**— ცნობილია, რუსეთის შიდა გუბერნიებისგან განსხვავებით, უკრაინაში ბატონყმობა არ ყოფილა და გლეხობა თავისუფალი იყო!**

— დიახ, უკრაინის რადას დადგენილებაში პირდაპირ წერია — **ჩვენ უარს ვაცხადებთ მოსკოვისა და პეტროგრადის დაქვემდებარებაზე, რადგან ისინი გვაიძულებენ, ვარჩინოთო!** მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ 1914-1925 წლებში რუსეთში **„მშრალი კანონი"** მოქმედებდა და ალკოჰოლის მოხმარება აკრძალული იყო, საგანგებოდ შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც გლეხებს პროდუქტებს ართმევდნენ, სპეციალურ უბნებში მხოლოდ სურსათის მეათედს ეზიდებოდნენ. დანარჩენ პროდუქტებს ჭამდნენ, სვამდნენ და დღედაღამ ლოთობდნენ. 1918 წელს, ვიდრე პირველი მსოფლიო ომი გრძელდებოდა, **ლენინი** გლეხთა ქაოტური ბუნტების ჩაცხრობას კიდევ ახერხებდა, მაგრამ დონზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინასა და ბელორუსიაში, სადაც მოსახლეობა მაღალი ორგანიზებულობით გამოირჩეოდა და კომპაქტური დასახლებებიც მრავლად იყო, ხალხი ბოლშევიკებს დაუპირისპირდა. სწორედ ამ რაიონებში და მათ შორის ურალში, სადაც შავი ზღვის სამხედრო ფლოტის სარდალს, **ადმირალ კოლჩაკს** კაციშვილი არ იცნობდა, ინიციატივა ხელში ჩაიგდო „თეთრმა გვარდიამ", მაგრამ კოლჩაკისა და დენიკინის უნიჭობის წყალობით, მათ ეს ინიციატივა ვერ გამოიყენეს და ვერ განავითარეს. რაც შეეხება ვოლგისპირეთს, ვოლგისპირეთში, სადაც მოსკოვიდან ჩასულ შეიარაღებულ მძარცველებს, წითელგვარდიელებს, ანუ ლენინის ბასკაკებს, ორგანიზებული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, **დაფიქსირდა კანიბალიზმის მასობრივი შემთხვევები.** სხვათაშორის, მთავარი მიზეზი, რის გამოც ბაქოს კომუნამ არსებობა შეწყვიტა და „ესერებმა" და ინგლისელებმა 1918 წლის 20 სექტემბერს **26 ბაქოელი კომისარი** დახვრიტეს, სწორედ ლენინის **„სამხედრო კომუნიზმის"** პოლიტიკა იყო.

**— კი მაგრამ, ამ სიგიჟეს რომ სჩადიოდა, ლენინი რას ფიქრობდა?**

— **ლენინიც, ტროცკიც და სვერდლოვიც** — იდეური ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რომ ორ-სამ წელიწადში მთელი რუსეთის მოსახლეობას შეცვლიდნენ და „ახალ ადამიანს" შექმნიდნენ. ამასობაში მოუსწრებდათ მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაცია და რუსეთის მოსახლეობას ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს დაავიწყებდნენ. 1921 წელს ლენინმა აღიარა „სამხედრო კომუნიზმის" მარცხი, შემოიღო „ნეპი" და დაუბრუნდა კაპიტალიზმს, რომელმაც ქვეყანას ტანჯვა მოაშორა და ხალხმა ამოისუნთქა. **რიჩარდ პაიფსი** თვლიდა, რომ **ლენინმა,** რომელიც „ახალი ადამიანის" შექმნის იდეით იყო შეპყრობილი, ეს საშინელი მარცხი ვეღარ გადახარშა და ნერვიულობის ნიადაგზე მიიღო კრიზი. ეს **პაიფსის** შეცდომა იყო, მან არასწორი დასკვნა გააკეთა. **ლენინი ფსიქოპათი ნამდვილად იყო, მაგრამ ის კაპლანის ტყვიამ იმსხვერპლა.**

**— „სამხედრო კომუნიზმის" პოლიტიკის გიჟურ იდეას სტალინი ემხრობოდა?**

— **„სამხედრო კომუნიზმის"** სულელური იდეა **სტალინის** ინტერესის სფეროს არასოდეს წარმოადგენდა. კარიერის დასაწყისში მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი, ანუ, ფაქტობრივად, უპორტფელო მინისტრი იყო, რომელსაც ეს სამინისტრო ლენინმა ხელოვნურად შეუქმნა. ამ პერიოდში **სტალინის** მთავარი ფუნქცია სინამდვილეში **ლენინის** მდივნობა იყო. ლენინი სტალინს ენდობოდა... **1912 წელს სწორედ ლენინის ინიციატივით შეიყვანეს სტალინი ცეკაში, ხოლო რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, როცა პოლიტბიურო შეიქმნა, ლენინის ნაცვლად, რომელიც ვიბორგის მხარეში იმალებოდა, პოლიტბიუროში შეიყვანეს სტალინი.** სტალინის ფუნქცია იყო მენეჯმენტი, დაპირისპირებული მხარეების შეკავშირება და მართვა. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ **სტალინის** უმთავრესი ფუნქცია ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობების აგება, კადრების შერჩევა, ყრილობისთვის გამომსვლელების მომზადება იყო. მაგრამ ეს პროცესი დიდხანს არ გრძელდება... 1918 წლის აგვისტოში, როგორც კი **ფანი კაპლანმა** ესროლა და ლენინი გაითიშა, **იაკობ სვერდლოვმა,** რომელიც ცაკის თავმჯდომარე, ანუ რუსეთის პრეზიდენტი იყო, მთელი სახკომსაბჭო მოსკოვიდან გაყარა.

**— სად გაყარა?**

— **სვერდლოვმა** სახალხო კომისართა საბჭოს წევრები პირდაპირ ფრონტებზე გაუშვა სამხედრო კომისრებად. **ასე მოხვდნენ სტალინი და ტროცკი მაშინდელ ცარიცინში, რომელსაც მერე სტალინგრადი დაერქვა, ხოლო ახლა ვოლგოგრადი ჰქვია.** ცარიცინს მაშინ დენიკინი უტევდა. პირველად **სტალინი და ტროცკი** ერთმანეთს სწორედ ცარიცინში დაუპირისპირდნენ! **სტალინი** მიიჩნევდა, რომ რაკი ძალები არ ჰყოფნიდათ, ქალაქი თეთრგვარდიელთა შემოტევისგან ერთი კონკრეტული მიმართულებით დაეცვათ, საიდანაც შემოტევის ალბათობა ძალიან დიდი იყო. **ტროცკი** კი ამტკიცებდა, რომ ქალაქი ყველა მიმართულებით უნდა დაეცვათ. **სტალინმა** დაიყოლია პირველი ცხენოსანი არმიის სარდალი **სემიონ ბუდიონი, კლიმენტი ვოროშილოვი** და ტროცკის დაუკითხავად და ცარიცინის დასაცავად ძალები მხოლოდ ერთი მიმართულებით განალაგა. სწორედ ამ მხარეს გამოჩნდნენ **დენიკინის** ძალები. არ გამოვრიცხავ, რომ სტალინს დაზვერვის უზუსტესი მონაცემები ჰქონდა და ასე გაბედულად იმიტომაც მოიქცა. მოკლედ, **ტროცკის** ვარაუდები არანაირად არ გამართლდა და ყველაფერი ისე მოხდა, რასაც სტალინი წინასწარმეტყველებდა. ამ ფაქტმა **ბუდიონისა და ვოროშილოვის** თვალში სტალინის ავტორიტეტი არნახულად გაზარდა და პირველი ცხენოსანი არმიის ხელმძღვანელობა, ფაქტობრივად, სტალინის ერთგულ მონად აქცია.


ვლადიმერ ლენინი და იოსებ სტალინი

**„კარიერის დასაწყისში სტალინმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი, ანუ, ფაქტობრივად, უპორტფელო მინისტრი იყო, რომელსაც ეს სამინისტრო ლენინმა ხელოვნურად შეუქმნა!"**

ამ პერიოდიდან მოყოლებული, **სემიონ ბუდიონი,** რომელიც პირველი მსოფლიო ომის გმირი იყო, იქცა სტალინის უერთგულეს ადამიანად, რომელიც მას უსიტყვოდ ემორჩილებოდა. სხვათაშორის, ფაშისტური გერმანიის თავდასხმის დროს ბუდიონისთვის რომ დაეჯერებინათ, წითელ არმიაში მსხვერპლი ბევრად ნაკლები იქნებოდა. **ბუდიონი დაბალი** რანგის, მაგრამ პროფესიონალი, ნიჭიერი და საოცრად მამაცი სამხედრო იყო.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***


სემიონ ბუდიონი


რიჩარდ პაიფსი

**„რიჩარდ პაიფსმა იმ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომელიც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ამერიკელებმა რუსეთიდან ეშელონებით გაიტანეს, დაასკვნა, რომ არავითარი ათაშანგი ლენინს არ ჰქონია!"**

# გიორგი ბეჟიტაშვილის პასუხები მკითხველს ★

**როგორც ცნობილია, სტალინის ძველმა თანამოსაგრეებმა – მოლოტოვმა, კაგანოვიჩმა და სხვებმა მე-20 ყრილობაზე დუმილი ამჯობინეს და ხრუშჩოვის კრიტიკის წინააღმდეგ არ გამოვიდნენ. თუმცა, მოგვიანებით მათ სცადეს ნიკიტას გადმოგდება, მაგრამ წარუმატებლად. გთხოვთ, დაწვრილებით გვიამბოთ ამის შესახებ. გვაინტერესებს, აგრეთვე, მათი შემდგომი ბედი.**

მართალს ბრძანებთ, მე-20 ყრილობაზე პარტიის ახალი ლიდერის პოლიტიკით უკმაყოფილო **სტალინის** ძველი თანამოსაგრენი დუმდნენ. **მოლოტოვმა** და **კაგანოვიჩმა** მოგვიანებით ეს გაჩუმება იმით ახსნეს, რომ **„პარტია მაშინ ვერ გაუგებდა და საუკეთესო შემთხვევაში, უბრალოდ, ხელმძღვანელობიდან გამოისროდა“,** ხოლო პიროვნების კულტის შესახებ ხრუშჩოვის მოხსენების წინააღმდეგ გამოსვლა მათ არც შეეძლოთ. როგორც ცნობილია, ეს მოხსენება ყრილობის ოფიციალურად დახურვის შემდეგ იქნა წაკითხული და დელეგატებს კამათის ჩატარების შესაძლებლობა არ მისცეს.

მაგრამ **ხრუშჩოვის** მოწინააღმდეგეები გაერთიანდნენ და **1957 წლის ზაფხულში** რევანშის აღება გადაწყვიტეს. **18 ივნისს** სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის *(ასე ეწოდებოდა მაშინ პოლიტბიუროს)* სხდომაზე მათ დაუფარავად განუცხადეს თავიანთი პრეტენზიები პირველ მდივანს. საქმე ეხებოდა სოფლის მეურნეობის მოშლას, ეკონომიკის უგერგილო მართვას, ავანტიურისტულ საერთაშორისო პოლიტიკას, რომელმაც მსოფლიო კინაღამ ბირთვული კატასტროფის ზღვარზე მიიყვანა, **ი. სტალინის** უსაფუძვლო კრიტიკას და მრავალ სხვას. ხმები **ხრუშჩოვის** საწინააღმდეგოდ განაწილდა. 7 ხმით 4-ის წინააღმდეგ ის სკკპ ცკ-ის პირველი მდივნის პოსტიდან გაათავისუფლეს და სოფლის მეურნეობის მინისტრად მისცეს რეკომენდაცია.

საკითხი თითქოს გადაწყვეტილი იყო, როგორც ადრეც არაერთხელ გადაუწყვეტიათ. პოლიტბიურო ადგენდა, პლენუმი კი მის დადგენილებას ამტკიცებდა. მაგრამ აქ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. **ხრუშჩოვი** არ დაემორჩილა პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას და ცკ-ის რიგგარეშე პლენუმის მოწვევა მოითხოვა, იმ იმედით, რომ ადგილებზე მისი ხალხი მხარს დაუჭერდა. **ნიკიტას** გადარჩენაში საკვანძო როლი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. სეროვმა** და თავდაცვის მინისტრმა **გ. ჟუკოვმა** შეასრულეს *(მალე ნიკიტა მეფურად დააჯილდოვებს ორივეს და პოსტებიდან მოხსნის)*. წინასწარ დამუშავებული ცკ-ის წევრები მოსკოვში სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის თვითმფრინავებით ჩამოჰყავდათ. შედეგი ადვილი გამოსაცნობია. პლენუმმა პრეზიდიუმის გადაწყვეტილება უარყო, **ხრუშჩოვი** თავის თანამდებობაზე დატოვა და ცკ-ის შემადგენლობიდან „შეთქმულები“ — **მოლოტოვი, მალენკოვი, კაგანოვიჩი, ბულგანინი** და უკანასკნელ წუთში მათთან მიკედლებული **შეპილოვი** გამოიყვანა. **კაგანოვიჩი** სვერდლოვსკის ოლქის **ქ. ასბესტის კალიუმის კომბინატის დირექტორად გაამწესეს. 1961 წელს მას პარტიიდან გარიცხავენ და ჩვეულებრივ პენსიაზე გაუშვებენ. მოლოტოვი ჯერ მონღოლეთში ელჩად გააგზავნეს, მერე კი — ვენაში, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლად. 1962 წელს ისიც „გაწმინდეს“ პარტიიდან. მალენკოვი ალტაიში უსტ-კამენოგორსკის ჰესის დირექტორი გახდა.** მალე ისიც გარიცხეს სკკპ-დან. შეპილოვთან **ნიკიტა** კიდევ უფრო მკაცრად „გაერკვევა“. მას მაშინვე გარიცხავენ პარტიიდან და პერიფერიაზე პედაგოგობას მიჰყოფს ხელს. ყველაზე მეტად **ბულგანინს** გაუმართლა. ის **ხრუშჩოვმა** ჯერ ბანკის თავმჯდომარედ გადაიყვანა, მერე კი სტავროპოლში სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ და მარშლიდან გენერალ-პოლკოვნიკად ჩამოაქვეითა. **1960 წელს** ის პენსიაზე გაუშვეს. ოღონდ — პერსონალურ, საკავშირო მნიშვნელობის პენსიაზე. პარტიიდან **ბულგანინი** არ გაურიცხავთ.

ყველა „შეთქმულმა“ დიდხანს იცოცხლა, ოთხმოც წელზე მეტი. **მოლოტოვმა** და **კაგანოვიჩმა** კი — თითქმის ასი.



**ხრუშჩოვის და მისი ბანდის მიერ ლ. ბერიასთვის წაყენებული ერთ-ერთი მთავარი ბრალდება იყო 1918-19 წლებში ბაქოში მუსავატურ დაზვერვასთან თანამშრომლობა. მართლა აგენტი იყო ბერია?**



ამ საკითხში საბოლოო სიცხადის შესატანად ოფიციალურ დოკუმენტს შემოგთავაზებთ — ამიერკავკასიის ГПУ-ს ყოფილი თავმჯდომარის **ი. პავლენოვსკის** პატაკი **ი. სტალინის** სახელზე, რომელიც 1938 წლის იანვრით თარიღდება (პავლენოვსკი ამ დროს სკპ (ბ) ცკ-ის წევრობის კანდიდატი იყო და მოსკოვში სსრკ მძიმე მრეწველობის სახკომის მოადგილედ მუშაობდა). დოკუმენტში ნათქვამია:

**„ტფილისში გამგზავრების წინ** *(ამიერკავკასიის ГПУ-ში დანიშვნის გამო — რედ.)* **ამხ. ძერჟინსკიმ გამომიძახა და მითხრა, რომ ამიერკავკასიაში ჩემი ერთ-ერთი თანაშემწე ამხ. ბერია მუსავატების დროს ბაქოში მათ კონტრდაზვერვაში მუშაობდა, მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა შემაშფოთოს, რადგან ამხ. ბერია კონტრდაზვერვაში პარტიის ნებართვით და მისი, ამხ. ძერჟინსკის დავალებით მუშაობდა. ეს ამხ. სერგომაც იცის. ტფილისში ჩამოსვლისას ამხ. სერგოსთან მივედი და ყველაფერი გადავეცი, რაც ამხ. ფელიქსმა მითხრა. ამხ. სერგომ ამხ. ძერჟინსკის ნათქვამი დაადასტურა, მითხრა, რომ ეს მისთვის ცნობილია, ისევე, როგორც ამხ. ამხ. კიროვის, მიქოიანის და ნაზარეთიანისთვის და რომ ამხ. ბერიას სრული ნდობით უნდა მოვეკიდო, რამეთუ მუსავატურ კონტრდაზვერვაში პარტიის დავალებით მუშაობით მან დიდი სამსახური გაუწია საბჭოთა ხელისუფლებას. მე ვკითხე ამხ. სერგოს, იცის თუ არა ეს ამხ. სტალინმა? ამხ. სერგომ მიპასუხა, რომ ამხ. სტალინისთვის ეს ცნობილია, რადგან მან თვითონ მოახსენა. ამიერკავკასიაში ჩემი მუშაობის 2 წლის განმავლობაში ამხ. სერგო ორჯონიკიძეს რამდენჯერმე უთქვამს, რომ ძალიან აფასებს ამხ. ბერიას, როგორც მზარდ მუშაკს, რომ ამხ. ბერიასაგან მსხვილი მოღვაწე დადგება და რომ ასეთი დახასიათება მან ამხ. სტალინსაც მოახსენა...“** ეს მოხსენებითი ბარათი ბელადმა გამოითხოვა, როდესაც ბერიას სსრკ შინაგან საქმეთა სახკომად დანიშვნა გადაწყვიტა. დოკუმენტი, ჩვენი აზრით, კომენტარს აღარ საჭიროებს.

**მაინტერესებს საბჭოთა ატომური იარაღის შექმნასთან დაკავშირებული ნიუანსები. კერძოდ, როგორც ცნობილია, „ატომურ პროექტს“ ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. რატომ მაინცდამაინც ბერია, რა მეცნიერი ის იყო?**

ვფიქრობ, ამა თუ იმ საქმის ხელმძღვანელობისათვის სულაც არ არის აუცილებელი, სპეციალისტი იყო. საკმარისია ორგანიზატორული ნიჭი, ენერგია, საჭირო კადრების შერჩევის უნარი, მიზნის მიღწევაში დაჟინებულობა და ხელმძღვანელის სხვა თვისებები. **ლავრენტი ბერია** ყველა ამ თვისებას სრულად ფლობდა, ალბათ, მაშინდელი საბჭოთა ხელმძღვანელობის ყველა დანარჩენ წევრზე ბევრად მეტად *(ბუნებრივია, თავად სტალინის გამოკლებით)*. მაგალითად, **ბერიამ,** რომელიც სამხედრო სპეციალისტი არ იყო, ომის წლებში კავკასიის თავდაცვის ბრწყინვალედ ორგანიზება შეძლო და გამოასწორა მდგომარეობა, რომელიც საბჭოთა კავშირი-გერმანიის ფრონტის ამ უბანზე სამხედრო სპეციალისტებმა — მარშლებმა და გენერლებმა შექმნეს. **„ატომური პროექტის“** სათავეში **ბერიას** დაყენებისას **სტალინს** ეს ყველაფერი კარგად ესმოდა და, როგორც ჩანს, დარწმუნებული იყო, რომ ის ჩვეული ენერგიით გადაჭრიდა იმ პერიოდში უმნიშვნელოვანეს ამ ამოცანას. საბჭოთა მრეწველობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **ნიკოლაი ბაიბაკოვი,** რომელიც წლების განმავლობაში ედგა სათავეში სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და **სტალინისა** და **ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა, მოგვიანებით წერდა, რომ **„ატომური პროექტის დაძლევა“** იმ დროს მხოლოდ ერთ ადამიანს — **ბერიას** შეეძლო. **„ხელქვეითებისადმი მომთხოვნელობაში,** — წერს **ბაიბაკოვი,** — **ბერია სასიკვდილო ტაცით გამოირჩეოდა. და ამავე დროს კადრებს, რომლებსაც ის ამა თუ იმ საქმისთვის არჩევდა, მუშაობისა და ცხოვრების ყველა პირობა ექმნებოდათ, ბერია არც მათ დაფინანსებაზე ძუნწობდა, არც მორალურ წახალისებაზე და არც მთავრობის ჯილდოებზე. მისი ხელმძღვანელობით მომუშავე ადამიანები თავს საიმედოდ დაცულად გრძნობდნენ. ოღონდ ემუშავათ და ჯილდოც არ დააყოვნებდა — ორდენები, გმირის წოდებები, ბრწყინვალე ბინები, აგარაკები, ავტომობილები“.**

ვფიქრობ, **ბაიბაკოვმა** უპასუხა თქვენს კითხვას — რატომ მაინცდამაინც **ბერია.** საბჭოთა **„ატომური პროექტის“** ეტაპები კი მოკლედ ასეთია. ჯერ კიდევ **1942 წლის მარტში სტალინისთვის** მიწერილ წერილში **ბერიამ** თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტთან ურანის პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო-საკონსულტაციო ორგანოს შექმნა შესთავაზა. მაგრამ მაშინ ამისათვის არ ეცალათ. ასეთი ორგანო საგანგებო კომისიის სახით მხოლოდ **1944 წლის დეკემბრის** დასაწყისში შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრის ბერიას ხელმძღვანელობით. **1945 წლის 20 აგვისტოს,** ამერიკელების მიერ ხიროსიმის და ნაგასაკის დაბომბვის შემდეგ იქმნება საგანგებო კომიტეტი, რომელსაც ეკისრება **„ურანის შიდაატომური ენერგიის გამოყენების ყველა სამუშაოს ხელმძღვანელობა“.** თავმჯდომარედ **ბერია** ინიშნება. დაზვერვის მონაცემთა და საბჭოთა მეცნიერების ნაშრომთა გამოყენებით სამუშაო ფართოდ იშლება და **1949 წლის 29 აგვისტოს** საგანგებო პოლიგონზე ტარდება პირველი საბჭოთა ბირთვული დანადგარის გამოცდა. ის წარმატებით ჩაივლის. გახარებული ბერია მოსკოვში რეკავს. **„მე უკვე ვიცი“,** — მშვიდად უპასუხებს სტალინი და ყურმილს დებს.








სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# „ირაკლი კობახიძეს საიმისოდ ყველაფერი აქვს, რომ წარმატებული პრემიერი იყოს!“

***ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებიდან ერთი თვის თავზე საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს — ირაკლი კობახიძე! რა შეიცვალა საკადრო გადანაცვლებით და კიდევ რა სიურპრიზებს შეიძლება ველოდეთ? პოლიტიკურ ანალიზსა და პროგნოზს სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი ლევან მამალაძე აკეთებს:***



ირაკლი კობახიძე და ირაკლი ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ რიგგარეშე ყრილობაზე. 2024 წლის 1 თებერვალი



## ლევან მამალაძე:

# ამ სამთავრობო ცვლილებით საქართველო ევროპას დაუახლოვდა!

— მოხდა ის, რაც ყველა ნორმალურ ქვეყანაში ხდება: ბიძინა ივანიშვილმა საპარლამენტო რესპუბლიკა იმ რეჟიმს დაუბრუნა, რა რეჟიმშიც სხვა დემოკრატიული ქვეყნები არსებობენ. **ყველა ევროპულ საპარლამენტო რესპუბლიკაში — გერმანიაში, საფრანგეთსა თუ ბრიტანეთში, მთავრობის მეთაური, ანუ პრემიერ-მინისტრი არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი ხდება.** ირაკლი კობახიძის, როგორც მმართველი პარტიის თავმჯდომარის გაპრემიერება ევროპული სტანდარტია და აბსოლუტურად ლოგიკური იყო. ამ სამთავრობო ცვლილებით საქართველო ევროპას დაუახლოვდა!

**— თუმცა, ეს ხდება მაშინ, როცა ყველა ერთხმად საუბრობდა ირაკლი ღარიბაშვილის წარმატებულ პრემიერობაზე...**

— ამაზე თავად ბიძინა ივანიშვილმა გასცა პასუხი თავის გამოსვლაში — ხელისუფლება, რომელიც კარგა ხანია, მმართველობაშია, შეჩვევას განიცდის. სხვადასხვა სტრუქტურები ერთმანეთს ეჩვევიან, ეწყობიან, რის გამოც, შესაძლოა, ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ყურადღების მიღმა დარჩეს, ისეთ დეტალებს არ მიექცეს ყურადღება, რამაც შეიძლება კორუფცია წარმოშვას და ა.შ. არცთუ ისე კარგად არის ყველგან ყველაფერი. რაიონებში თუ ჩაბრძანდებით, ნახავთ, რომ მმართველი პარტიის მიმართ წყენა აქვთ, თითქმის ყოველდღე მიწევს ადამიანებთან შეხვედრა და ისინი, ვინც „ოცნების“ გულანთებული მხარდამჭერები იყვნენ, დღეს გაჩუმებულები არიან... ბიძინა ივანიშვილი ამ გადაწყვეტილებით შეეცადა, დაძლიოს ის სისუსტეები, რის გამოც „ქართული ოცნების“ მომხრეები განაწყენებულები არიან და რაზეც ღიად არავინ საუბრობს.

ვფიქრობ, ეს შეჩვევის რეჟიმი ივანიშვილმა კონკურენციის რეჟიმში გადაიყვანა, რაც ბევრად უფრო სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის. **ირაკლი კობახიძე** სამთავრობო ცვლილებებს განახორციელებს, **ირაკლი ღარიბაშვილი** — პარტიულს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ჩააჩოჩეს ან თამაშიდან გაიყვანეს. არჩევნების წინ პარტიის გაკონტროლება ძალიან საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანია!

**— „ოცნების“ მომხრეთა მხრიდან ასეთი მოსაზრებაც გამოითქვა — ღარიბაშვილი, რომელიც ეროვნული ინტერესების გამტარებელი იყო, შედარებით ლიბერალი კობახიძით ჩაანაცვლეს და დასავლეთის ინტერესები დააკმაყოფილესო...**

**– ბიძინა ივანიშვილს საქართველოს ომში ჩართვა ვერ აიძულეს, როცა ანგარიშები გაუყინეს და ახლა იმოქმედებს ვინმეს ზეწოლით?! ეს ხომ აბსურდია?!**

შეიძლება, გამონათქვამებში უფრო მკაფიო პოზიცია ჰქონდეს ღარიბაშვილს, კობახიძე მასსავით ხისტი არ იყოს, მაგრამ შინაარსობრივად მოქმედებით არაფერი შეიცვლება. ეს გადაადგილებები ქვეყნის კურსის შეცვლასთან არ იქნება დაკავშირებული.

კიდევ ერთხელ ვამბობ — **ჩემი დაკვირვებით, ეს არის შიდა პროცესების გაჯანსაღებისკენ გადადგმული ნაბიჯი იმისთვის, რომ მეტი კონკურენცია იყოს და მოხდეს ქვეყნის წინსვლა.**

**— მაინც რა უნდა გააკეთოს ირაკლი კობახიძემ, ქვეყანას მისი გაპრემიერება სასიკეთოდ რომ დაეტყოს?**

— მმართველ ძალას დღეს პრობლემები თავზე საყრელი აქვს. ქვეყანა რომ ვითარდება, ეს თვალსაჩინოა, მაგრამ **წყენა, რომელიც საზოგადოების გარკვეულ ნაწილს აქვს, მათ სასიკეთოდ არ მუშაობს და აუცილებელია, აღმოიფხვრას.** ქვეყნის წინსვლა და ეკონომიკური ზრდა მოქალაქეების კეთილდღეობას უნდა დაეტყოს. ეს უნდა იყოს ნომერ პირველი საკითხი, რომლის მოგვარებაზეც ახალმა პრემიერმა უნდა იზრუნოს. სწორედ აქედან გამომდინარე შეაფასებს და მიიღებს საქართველოს მოქალაქე არჩევნების დროს გადაწყვეტილებას.

ასევე მნიშვნელოვანია გავლენიან ქვეყნებთან ბალანსის მიღწევა და საქართველოსთვის უსაფრთხოების დამატებითი გარანტიების შექმნა, ტერიტორიული პრობლემების მოგვარების დაწყება, სამუშაო ადგილების შექმნა და შესატყვისი ანაზღაურების გარანტირება, მიგრაციის შემცირება... ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანები გრძნობდნენ, რომ ხელისუფლება მათთვის მისაწვდომია.

**— როგორ ფიქრობთ, გაართმევს თავს ამ პრობლემებს ახალი პრემიერი?**

— **ირაკლი კობახიძეს** ძალიან დიდი გამოცდილება და მაღალი დონის განათლება აქვს მიღებული. რატომ უნდა იყოს ცუდი პრემიერი? ვნახოთ, რამდენად გამოავლენს ლიდერის თვისებებს, თუმცა, იმისთვის რომ წარმატებული პრემიერი იყოს, საწყის ეტაპზე ყველაფერი გააჩნია!

**— და მაინც, არა მგონია, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში იმისთვის დაბრუნებულიყო, რომ ორი ირაკლის თანამდებობები გაეცვალა. თქვენ რას ფიქრობთ?**

— ნუ დაგვავიწყდება, რომ ბიძინა ივანიშვილი დღევანდელი სახელმწიფო სისტემის და პოლიტიკური ელიტის ავტორია. პოლიტიკაში დაბრუნებით მან თავის თავზე აიღო არამარტო ხელისუფლების ფორმირების საკითხი, არამედ სახელისუფლებო სისტემის, მისი პერსონალიების მუშაობაზე პასუხისმგებლობა.

გავიხსენოთ, რა არ გაუკეთეს და რა არ დააბრალეს საакაშვილის დაფინანსებულმა ევროპარლამენტარებმა, კონგრესმენებმა, ლობისტურმა კომპანიებმა ბიძინა ივანიშვილს. ფინანსური ზიანიც მიაყენეს — უკანონოდ გაუყინეს ანგარიშები, ყველანაირად შეეცადნენ, მისი ავტორიტეტის გამოყენებით საქართველო ომში ჩაერთოთ, მაგრამ ვერ მიაღწიეს, მან საქართველოს ზურგი არ აქცია. დღესაც არ ეშვებიან, თუმცა, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა და თავად აიღო ყველაფერზე პასუხისმგებლობა.

არავის ეგონოს, რომ რომელიმე სახელმწიფო ჩვენი კეთილდღეობისთვის იღვწის, მათ მხოლოდ თავიანთი ინტერესები ამოძრავებთ და საქართველოს გამოყენება სურთ. გარედან ზესახელმწიფოები გვებრძვიან, რევოლუციური გადატრიალებით და პირდაპირი აგრესიით გვემუქრებიან, შიგნიდან კი მათივე დაფინანსებული მეხუთე კოლონა გვიტევს... ამ დროს **ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების გადაწყვეტილება მისასალმებელია. მისი ფაქტორი ერთ-ერთი გარანტიაა იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაზე გარე თუ შინა მეხუთე კოლონის მხრიდან ზეგავლენა შესუსტდება.**

**— ფიქრობთ, რევოლუციური გადატრიალების ალბათობა ისევ არსებობს?**

— რადგანაც ყველგან არჩევნებია, ვფიქრობდი, დიდად ვერ მოიცლიან ჩვენთვის-მეთქი, მაგრამ განცხადებები, რომლებიც ბოლო დროს კეთდება, პლუს მეხუთე კოლონის ყიჟინა, გვაფიქრებინებს, რომ რევოლუციის მოწყობისთვის ისევ ირჯებიან.

აქცენტი კეთდება მომავალი საპარლამენტო არჩევნების თავიდანვე გაყალბებულად გამოცხადებაზე. ამასთან, დაძაბულობის შესაქმნელად თავდასხმა ბიძინა ივანიშვილზე, ეკლესიასა და მთავრობაზე უფრო გამწვავდება. **ნიშანდობლივია ისიც, რომ უკრაინაში მებრძოლი ქართული ლეგიონი 2023 წლიდან კორპორაციის Black Rock-ის დაფინანსებაზე და კერძო სამხედრო დაჯგუფების კუთვნილ დაქვემდებარებაში გადავიდა.**

ისიც ფაქტია, რომ არც — აზერბაიჯანზე, არც — სომხეთზე და არც შუა აზიის ქვეყნებზე არ არის ისეთი ზეწოლა, როგორიც საქართველოზე, რადგან ჩვენი ტერიტორია გეოპოლიტიკურად უალტერნატივო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა, განსაკუთრებით რუსეთის ჩაკეტვის შემდეგ. იმ ხაზს, რომელიც ჩინეთიდან ევროპამდე მიდის, საქართველო კეტავს. **ვინც საქართველოს გააკონტროლებს, მთელ ამ ხაზს გააკონტროლებს!**

**დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ ქვეყანაში არეულობა არ დავუშვათ. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მხოლოდ იმპერიების დაჯახების პირობებში ექლეოდა საქართველოს გაძლიერების შანსი. ახლა სწორედ ეს ისტორიული მომენტია!**

*ესაუბრა ნატო ფოცხიშვილი*

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# დეკრეტული პატიმრობა



**ბატონმა მიხამ** მორიგი ბავშვების კვალდაკვალ „ვივამედის“ საკანში დეკრეტიც გამოსცა — **სავალდებულო ტექდათვალიერებას აუქმებს და ჯარიმებს ათჯერ ამცირებს.**

დეკრეტს მის გარდა ხელს აწერენ პოლიტბიუროს წევრები: **ეკა ხერხეულიძე, გიული ალასანია, ნაპოლეონ ბონაპარტი, ჟანა დ,არკი, ალ. მაკედონელი, იულიუს კეისარი** და სხვები.

**დეკრეტი ძალაში შედის 30 თებერვალს.**

☺

ამ ინიციატივამ საქართველოს მოსახლეობაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

კახელი მევენახეები ბატონ მიხას ეკითხებიან — **გაზრდის თუ არა სუბსიდიას მეყურძნეობასთან დაკავშირებით?**

**ბატონი მიხა** მორიდებულად აცხადებს — **რასაკვირველია, გავზრდი, ოღონდ მაგ საკითხზე ალ. მაკედონელთან უნდა გავმართო კონსულტაციებიო... ეგ კი არა, უახლოეს ხანში „პენციების“ მკვეთრ გაზრდასაც ვვარაუდობ, იმედია, ნაპოლეონ ბონაპარტს დავითანხმებო.**

მოკლედ, ბედნიერია ერი, რომელსაც ეგეთი „იდეინი“ მმართველი ჰყავს, რომელსაც მრჩევლებად ლეგენდარულ პიროვნებებთან ერთად თავში პეპლებიც უფრენენ!

Nata Peradze
1 დღე ·

თითებზე ჩამოსათვლელი ტრანსგენდერი ქალი დაგვრჩა ქვეყანაში, ვერ დავიცავით, გაიქცნენ ქვეყნიდან დანარჩენი. რომელ არასამთავრობოს მიმართონ დახმარებისთვის, ვინც აქაა და ძალიან უჭირს ახლა? გასაქცევად არა, აქ საარსებო თანხაზეა ლაპარაკი.



# თუ არაოდენ საწყაული აღუვსებელი...

გასკვანჩამდე რამდენიმე დღით ადრე **ნატა ფერაძემ** სამების საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიიდან გვაუწყა, რომ **საქართველოში ტრანსგენდერი ქალი წამლადაც აღარ დარჩა.**

წავიდნენ, გაქცუნდნენ, გაილალნენ... აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა — არ მიხედეთ, არ დააპურეთ, არ მოეფერეთ, არ ჩაიხუტეთ, არ ჩააცვით, არ დაახურეთ და იყავით ეხლა აეგრე უტრანსგენდერებოდ!

☺

არა... როგორც **ნატა ფერაძე** იძახის, კი დარჩნენ თითებზე ჩამოსათვლელები, მაგრამ სად არიან? რომელ კუთხე-კუნჭულში იმალებიან? ვის მიმართონ? რუსთაველი ხომ მკვდარია?

☺

მე მგონი (მე მგონი კი არა, ეგრეა!), ეს ქალის „ფუტლიარი“ თავისას ჩივის — ფული შემოაკლდა... **აშკარაა, წმ. მატრონას ხატის შეურაცხყოფაში ან ძალიან ცოტა გადაუხადეს, ან საერთოდ არაფერი მისცეს.**

ან რა უნდა **მიეცათ** მაგ **მიცემით ბრუნვაში** ნავარჯიშებისათვის? ტრანსგენდერების საწყაულს მაინც ვერ ამოავსებდა!

# «ლელო» გათხრილია!

30 იანვარი ისტორიული დღეა — **„ლელომ“ დადო დიადი გეგმა,** თუ როგორ უნდა შესრულდეს ევროკავშირის 9 რეკომენდაცია ხელისუფლებაში მოსვლიდან 1 წელიწადში. დიახ, **„ლელო“ სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ** 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში იმარჯვებს საკონსტიტუციო უმრავლესობით, ხელში იღებს ძალაუფლებას და **ბრიგოლ გეგელიას** მეთაურობით ქვეყანა 1 წელიწადში შეჰყავს ევროკავშირში. რა ბედი ეწევა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, ამაზე ჯერჯერობით განცხადებაში არაფერია ნათქვამი.




☺

კარგით, **ავლიპ ზურაბაშვილი** აღარ არი, ასაკში იყო და ცას ვერ გამოეკერა, მისი შთამომავლები ხომ ცოცხლები არიან? როგორც ვიცი, მისი შვილი და შვილიშვილიც იმავე პროფესიას გაჰყვნენ.

შვილი ერთხელ მყავს ნანახი, ალი-კვალი ავლიპა პაპაა. შვილიშვილი კიდე, თუ არ ვცდები, სააკაშვილთანაც იყო შესული „ვივამედში“ და რა ამბავი გამოიტანა, დღემდე არ ვიცით. რამე კარგი რომ გამოეტანა, არ დაგვიმალავდნენ.

ხალხი არა ხართ?

**დაურეკეთ ავლიპ ზურაბაშვილის შთამომავლებს, ამდენი გაქსუებული გიჟის ატანა უკვე შეუძლებელია,** თორემ რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით უფრო მეტი გიჟის ხალათი და ბაწარი იქნება საჭირო მაგათ გასაკოჭად!

## კვირგვინოსნები

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



ადამიანები, რომლებმაც **დანაშაული ჩაიდინეს სააკაშვილის წინააღმდეგ და მონაწილეობდნენ არაადამიანურ მოპყრობაში,** სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცნენ — **ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა უკრაინამ უნდა დაიწყოს.**

„ინტერპრესნიუსი“

**თინა ბოკუჩავა**
*საპარლამენტო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე*



აუცილებლად დადგება დრო და მომენტი, როდესაც **სააკაშვილთან მიმართებაში ჩადენილი დანაშაულის ჯეროვნად გამოძიება და ადამიანების პასუხისგებაში მიცემა მოხდება** — მნიშვნელოვანია, უკრაინული მხარის ჩარევა.

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



თუ **ოპოზიციის ხელმძღვანელობას** დავაკვირდებით, ერთადერთი გზა, რომელიც საარჩევნოდ რჩებათ, **საბოტაჟისა და პროვოკაციების მოწყობაა,** ამომრჩევლის იმედი მათ არ აქვთ, რომ ხმათა სერიოზული რაოდენობა მოიპოვონ.

„მარშალპრესი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ღმერთმა არ ქნას **ნატოსა და რუსეთის დაპირისპირება,** რადგან ეს **მსოფლიო ომს ნიშნავს.** მოკლედ, სახიფათო ვითარებაა. **იმედია, ეყოფა ყველას გონიერება და სამყაროს კატასტროფის პირას არ მიიყვანენ.**

„კვირის პალიტრა“

# თუ ორი გვამი არ გახლავს, მინისტრად არ იხსენები...




როგორც **ვინმე დავით ხაჭიშვილი** თავისივე პირით აცხადებს, საქართველოს მოსახლეობას სულაც არ აინტერესებს, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი და ვინ იქნებიან მინისტრები, რადგან ეს ადამიანები ვერ მოაგვარებენ მოსახლეობის პრობლემებს.

☺

ეეეე... აი, მიხას დროს რო პრემიერებს ნიშნავდნენ და მერე საფერფლით თავებს უხეთქავდნენ, ეგ იყო ძაან საინტერესო.

ავი ენები იძახიან — ერთი, რომელიც ყველაზე ცნობილი იყო, საფერფლით შამააკვდათ, ერთოთახიანში მუყაოს ყუთით გადაიტანეს და დილით გამააცხადეს, გაზით გაიგუდაო. მე კი არაფერ ვამტკიცებ, უბრალოდ, იმიტომ გავიხსენე, რომ **ძალიან საინტერესო ამბავი** იყო.

☺

**აბა, ეხლაა საინტერესო? თუ პრემიერ-მინისტრი ყოველ დილით არ იძახის – ორი გვამი მინდა, სასწრაფოდ მამიტანეთო, რაა მამული?!**

გავაგრძელო?

ყველა დეფექტიანი პრემიერი ჩამოვთვალო, 2012-მდე ვინც იყო?

არადა, ისინი რომ ჩამოვთვალო, მერე იმათი დეფექტებიც უნდა გავაანალიზო და ეს კიდე ძალიან შორს წაგვიყვანს.

# აი, „რაპორტი!“



ამ ცუცურაკს გუშინ თავისივე პირით გამოუცხადებია — როგორც კი გავიმარჯვებთ, ოზურგეთში ყველაზე დიდი **აეროპორტი** უნდა ავაშენოთ, რათა ჩვენს მოქალაქეებს აღარ მოუწიოთ ქვეყნიდან გაქცევაო.

☺

**გაიგონეთ?**

**ტიპი ყველაზე დიდ აეროპორტს ოზურგეთში აშენებს, რომ საქართველოდან აღარავინ გაიქცეს.**

სად არი ლოღიკა?

**შე ჩემის ვართაპეტიანო, ყველაზე დიდ აეროპორტს რომ ააშენებ, უფრო იოლად არ გაიქცევიან?**

არა, შენ ვინ რას აგაშენებინებს, მაგრამ მაინც!

☺

გარდა ამისა... ვითომ რაღა მაინც ოზურგეთში და არა ყარაჯალაში, ცლუნკაანში ან ყიზილაჯლოში? რა, იქ უფრო კარგი ტრამპლინებია ასაფრენად?

დამიჯერეთ, **მისტერ კურკუმალი** წინა შაბათ-კვირას ლილოს ბაზრობაზეა ნამყოფი თბილი საცვლების საყიდლად. მაგას ეგეთი დიადი აზრები მაგ დროს მოსდის ხოლმე გალაყებულ თავში. აბა, ისნიდან ავტობუსით სანამ ლილოში გავა, რამეზე ხო უნდა იფიქროს?

ჰოდა, აეროპორტი, აეროპორტიო... **მართლაც თქვენი „რაპორტები“ არ გაიშვა „ვივამედს“ იქით!**

# დაგრძელება იქნება!

ნაცებმა — ჩვენ 18-მეტრიანი კი არა, 25-მეტრიანები გვინდოდა, **კალაძემ** 7 მეტრა მოგვიტეხაო.

თქვე მუდრეგებო! **ჯერ 18-მეტრიანები იმყოფინეთ, შემოდგომაზე არჩევნებს რო მოვრჩებით და მოსავალსაც დავაბინავებთ, 25-მეტრიან ავტობუსებსაც შემოვიყვანთ ბითუმად.** თქვენ კი, პოლიტიკის გაღმა დატოვებულებმა, სუ 25-მეტრიანებით იარეთ აღმა-დაღმა და თუ დაიმსახურეთ, 25-სანტიმეტრიანებშიც გაგაგულავებთ გასართობად!

☺

ეხლა გვაპატიეთ და... 2030-ში 30-მეტრიანებით იმგზავრებთ, 2035-ში კიდე — 35-მეტრიანებით.

ქარხანამ უარი გვითხრა, თორემ ყოველ წელიწადს თითო მეტრს მოვუმატებდით, **ბოლო-ბოლო, შეჩვევა ხომ უნდა წალენჯიხის ავტობუსის გაუქმებას!**



## კვირგვინოსნები



**ლაშა ძებისაშვილი**
*საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი*

თუ **უკრაინა** დამარცხდა, შემდეგი **საქართველო, მოლდოვა და ყაზახეთი** იქნებიან. 2024 **კონფლიქტების გაღვივების ცხელი წელი** იქნება.

„კვირის პალიტრა“



**მამუკა არეშიძე**
*კავკასიის სპეციალისტი და უსაფრთხოების ექსპერტი*

**რუსეთმა ნავთობის გაყიდვით ომის მერე უფრო მეტი ფული გამოიმუშავა, ვიდრე ომამდე.** ვითომ არ იცის **ჰოლანდიის** მთავრობამ, **როგორ იტვირთება რუსული ნავთობის ტანკერები** და სხვა ქვეყნის პროდუქტად საღდება? **ლატვიისა და ლიეტუვის** მთავრობებმა არ იციან, **მათი ქვეყნები რუსეთთან რომ ვაჭრობენ?** ისიც ხომ გაირკვა, რომ **ირანული უპილოტო დრონები 80 პროცენტით ამერიკული წარმოების ნაწილებისგან არის აწყობილი.** არასოდეს დამავიწყდება რუსეთის ფედერაციის დღევანდელი საბჭოს თავმჯდომარის, ქალბატონი **მატვიენკოს** 90-იანი წლების ბოლოს ერთ შეკრებაზე ნათქვამი, **ვორონეჟს დავთმობთ, მაგრამ არა კავკასიასო!**

„კვირის პალიტრა“



**ალეკო ელისაშვილი**
*პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი*

**მოლდოვასა და უკრაინაში** ვყოფილვარ და მინდა, ვთქვა, რომ **არავის ჩამოვრჩებით, რეფორმების თვალსაზრისით მაჩანჩალები არ ვართ.**

„რეზონანსი“



**ჟოზეპ ბორელი**
*საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი*

ჩვენ უნდა მოვერიდოთ იმ სამყაროში დაბრუნებას, სადაც ძლიერ ქვეყნებს მეზობელი ქვეყნების **საზღვრების ცალმხრივად შეცვლა** შეეძლოთ.

„რეზონანსი“



**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** რომ ყოფილიყო, **ევროპაში ომი არ იქნებოდა.** მშვიდობას აქვს სახელი და მას **დონალდ ტრამპი** ჰქვია.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# მეტი ნატა



2024 წლის 2 თებერვალს თბილისში, თავის საცხოვრებელ სახლში, დააკავეს ცნობილი ღვთისმგმობელი ნატა ამორალი, ქალწულობაში პარტიზან ფერაძედ წოდებული. ნატა ამორალის წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებდა. საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მუდმივმა მოსამართლე ნინო შჩერბაკოვამ ამორალ ნატა ფერაძეს წმინდა სამების საკათედრო ტაძარში დავანებული ხატის შეურაცხყოფისთვის, რომელზეც სტალინი და წმინდა მატრონა მოსკოველი იყვნენ გამოსახული, ხუთდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

**ოჯახში არშესაშვები ნატა ამორალის** დაპატიმრებას, რომელსაც შორაპანში მცხოვრები საკუთარი ძმა ოჯახში მართლაც არ უშვებს, პირდაპირ ეთერში აშუქებდა **გაერთიანებული ხაზარებისა და ჭუტელების ტელეკანალიზაცია „პირველის“ ჟურნალისტი ნატაქაჯი.** იქვე იყვნენ სხვა ქაჯებიც, რომლებიც პოლიციელებს თავზე დაჩხაოდნენ და ფერაძის სახლში როსკიპებივით ირეოდნენ.

**ნატა ამორალის** ადვოკატობა მაშინვე იკისრა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ნომრიანი აგენტებისა და **ტროას ვირების სამჭედლომ — „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“,** რომელმაც საქართველოს ცნობილი და პიტალო „ასო“-ები — **დავით უსუფაშვილი, თინა ხიდაშელი, ანა ნაცვლიშვილი, სულხან სალაძე** და მისთანები გამოუზარდა.

**„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ გარდა ნატა ამორალს მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოუცხადეს ნატოს მიერ ნაკურთხმა და ბეჭედდასმულმა პრაიდელებმა, სოდომისტებმა, მეკურტუმეებმა, ნაცებმა, დაცენტრილებმა, უკუღმა დაბადებულებმა, უკუღმართებმა და ყველა იმ „ასო“-ებმა, რომლებმაც აქოცთან ზურაბ გირჩი გასიევის დაქახებაზე უკანალი წამოიხადეს.**

აი ისინიც:

**1.** ადამიანის უფლებათა ცენტრი,

**2.** აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის,

**3.** დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი,

**4.** დემოკრატიის მცველები,

**5.** თბილისი პრაიდი,

**6.** მწვანე ალტერნატივა,

**7.** პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის,

**8.** საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია,

**9.** საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო,

**10.** სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება,

**11.** სამოქალაქო საზოგადოების ფონდი,

**12.** საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა,

**13.** საქართველოს რეფორმების ასოციაცია,

**14.** საქართველოს სასამართლოს გუშაგი,

**15.** წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი,

**16.** ქალები საერთო მო-

# ხუთდღიანი ომი და ხუთდღიანი პატიმრობა

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



თუკი ვინმეს არ აწყობს საქართველოში **რუსული თემის „სიკვდილი“,** ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიცია, რადგან, **თუ ეს თემა „მოკლეს“,** მათ აქვთ გარანტირებული მარცხი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში.

„საერთო გაზეთი“

**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პოლიტიკოსი*



იმ ოპოზიციონერებს მივმართავ, **მიშას ციხეში გადაყვანა რომ უნდათ** და საკუთარი შარდი ვენაში დააქვთ, რადგან ქართველ ექსპერტებს არ ენდობიან, ეგ რანაირი სამართალია? — **გათავისუფლებული სააკაშვილი არჩევნებს მოიგებს.**

„ინტერპრესნიუსი“

**მერაბ მეტრეველი**
*ჟურნალისტი*



ჟურნალისტი **თავს უნდა იკავებდეს საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისგან** და ეთერში ამას არც ვაკეთებ, მაგრამ **„ფეისბუქზე“ ეს ზღვარი რთული დასაცავია...** ვიცი, ასე არ უნდა მოვიქცე, მაგრამ **ზოგჯერ ვიგინები კიდეც.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი*



**„ევექსის“** სამედიცინო კლინიკების ქსელი **„საქართველოს ბანკს“** ეკუთვნის! **ბანკს რა უნდა სამედიცინო სფეროში, ნუ გამაგიჟეთ, ხალხო!** ეს არის ექიმებისა და პაციენტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

„ალია“

# ციხეში!

**მავლისთვის.**

კოლექტიურმა სოდომისტ-პრაიდელებმა განცხადება გაავრცელეს და დაწერეს:

***„ჩვენ, ხელმომწერი ორგანიზაციები, ვეხმიანებით აქტივისტ ნატა ფერაძის მიმართ გამოყენებულ არაპროპორციულ სანქციას და მოვუწოდებთ სააპელაციო სასამართლოს, გადახედოს საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ სახდელს... ეს სანქცია სამართალდარღვევად შეფასებული ფაქტის პროპორციულად ვერ ჩაითვლება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, პატიმრობა დადგინდება და გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.*** *სამების საკათედრო ტაძარში სტალინის გამოსახულების განთავსების გამო არაძალადობრივი პროტესტის გამოხატვის ამგვარი სიმძიმისა და ხანგრძლივობის სახდელით დასჯა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პროპორციულობის სტანდარტებს არღვევს!“*

მიგვაჩნია, რომ მოსამართლე **ნინო შჩერბაკოვამ** ქართველი ერის უზენაესი უფლებისა და კანონის დაცვის პრინციპზე დაყრდნობით **სამართლიანი გადაწყვეტილება** მიიღო და ვირის აბანოში გაამწესა მტერი, რომლის ფეხქვეშაც მიწა უნდა იწვოდეს. უფრო მეტიც, **მოვუწოდებთ სააპელაციო სასამართლოს, კიდევ უფრო დაუმძიმოს სასჯელი ნატა ამორალს, რათა ამ მართლაცდა ტროას ვირის საზოგადოებისგან იზოლირება არათუ ხუთი დღით, არამედ რამდენიმე წლით იქნეს უზრუნველყოფილი!**

რადგან **ნატა ფერაძე** ცნობილი ამორალია, ველოდით, რომ მისი დაპატიმრება საშინელი გინებისა და უწმაწური სიტყვების ფონზე ჩაივლიდა. ამის საფრთხემ თავი განსაკუთრებით მაშინ იჩინა, რაც „იმედიდან“ „ტვ პირველში“ გაქცეულმა **ნატაქაჯმა ნატა ამორალს** ჰკითხა — **ქალბატონო ნატა, ამ ხუთი დღის განმავლობაში, რაც პატიმრობაში იქნებით, რას გააკეთებთ?** გახსოვთ, ალბათ, **ნატა ამორალის** პასუხი მისთვის დასმულ მსგავს შეკითხვაზე — **2012 წლამდე, სანამ „პარტიზანი მებაღე“ გახდებოდით, რას აკეთებდითო?** ჰოდა, ამ ფაქტის გათვალისწინებით, ველოდით, რომ **ნატა ამორალი ნატაქაჯს** ანალოგიურ პასუხს გასცემდა, მაგრამ ამჯერად ტყემლისა თუ ტყვარჩელის ხსენებით მას ეთერი აღარ დაუნაგვიანებია, თუმცა, პოლიციის მანქანაში ჩაჩურთვისას პირიდან სიმყრალის ამოშვება მაინც მოასწრო — **„არჩევნებზე აუცილებლად დაგამარცხებთ და გააჯ...თო!“** (ცენზურა ჩვენია. რედ.)

**ნატა ამორალის ხუთდღიანი პატიმრობა** იმედს გვაძლევს, რომ 2008 წელს სააკაშვილის მიერ ატეხილი **ხუთდღიანი ომი** საქართველოს არასოდეს შეარყევს!

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, რაც მეტი **ნატა ამორალი** წაეთრევა ციხეში, მით ნაკლები იქნება იმის შანსი, რომ საქართველოში ვინმე თუნდაც **ხუთდღიან** ომს გააჩაღებს.

საააკაშვილის კრაოტის გარყვნილი მოციქულები ქვეყანას არყევენ, როცა თავს დაგვჩხავიან და გვმოძღვრავენ — **„მეტი ნატო საქართველოში!“** ჩვენ სხვაგვარად ვსჯით და ვაცხადებთ — **თუ გვინდა, რომ საქართველო გადარჩეს, მეტი ნატა ამორალი ციხეში!**

რაც მეტი ნატა ამორალი წაეთრევა ციხეში, მით ნაკლები იქნება იმის შანსი, რომ საქართველოში ვინმე თუნდაც ხუთდღიან ომს გააჩაღებს!

***დიტო ჩუბინიძე***


ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 57-ე წელია,

მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!




დღეგრძელი ისტორია



მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80



თამარისი Tamarisi
დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93 598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics


## კვირგვინოსნები



**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი*

**ონლაინ აზარტულ თამაშებს ავკრძალავ.**

„ახალი თაობა“



**მამა პეტრე კვარაცხელია**
*დეკანოზი*

რა არის ცუდი იმაში, **ლონდონის ლამაზი ხედების ფონზე ფოტოს რომ დაინახავ, თუნდაც სასულიერო პირისას, ანაფორის გარეშე...** სხვას ის აკრიტიკებს, ვისაც პირადი ცხოვრება არ გააჩნია, თორემ მე რა დამაკლდა? **უამრავი ეპისკოპოსი ვიცი, რომელიც აუზზე დადის.** რასაც ფანატიკოსები **ეკლესიის დაცვას** უწოდებენ, ზუსტად იმ ადამიანებისგანაა **ეკლესია დასაცავი.**

„კვირის პალიტრა“



**სვიმონ ჯანგულაშვილი**
*სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის რეგენტი, ხელოვნებათმცოდნე*

საქართველოში არაფრად მივიჩნევთ **ჰამლეტ გონაშვილს...** გამუდმებით ვლანძღავთ ჩვენგან განსხვავებული გემოვნების ან მოსაზრებების ღვაწლმოსილ ხელოვანებს, **არ ვუფასებთ ადამიანს შემოქმედებას და შენატანს ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობაში.** ეს ნიშნავს, რომ ჩვენში უკულტურობა ზეობს. **ველურებად გადავიქცევით ნელ-ნელა და გავქრებით.**

„კვირის პალიტრა“



**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი*

ამ არჩევნებზე **ჩვენ წავალთ მარტო და გავიმარჯვებთ მარტო.**

„რეზონანსი“



**ნათია მეზვრიშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*

**არჩევნებზე მივდივართ მარტო, წერტილი!**

„აიპრესი“



## „ვისაც აუტოიმუნური დაავადება აწუხებს, ზანულინის ოდენობა მკვეთრად მომატებული აქვს!“

**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# ჯერ კიდევ ძველი ჩინელები ამბობდნენ, რომ ყველა დაავადება კუჭ-ნაწლავიდან იწყება!

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი ჯანმრთელობისთვის საშიში პათოლოგიის — აუტოიმუნური დაავადებების შესახებ გვესაუბრება და აცხადებს, რომ მათ მკურნალობას სათანადო ინფორმაციის ნაკლებობა ართულებს:***

— **აუტოიმუნური დაავადებები** კაცობრიობისთვის დიდი გამოწვევაა. ამ პრობლემით, ჯანდაცვის სისტემის უმაღლესი სტანდარტის მიუხედავად, მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში 50 მილიონზე მეტი ადამიანი იტანჯება. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოში ეს სტატისტიკა კიდევ უფრო მძიმე იქნება.

**— ბატონო კახა, მაინც რომელია აუტოიმუნური დაავადებები?**

— აუტოიმუნური დაავადებების ჩამონათვალი ძალზე ვრცელია, ამიტომ საყოველთაოდ ცნობილი იმ პათოლოგიების მოკლე ნუსხას შემოგთავაზებთ, რომელთა შესახებაც ფართო საზოგადოება ინფორმირებულია. მოკლედ, აუტოიმუნური დაავადებებია:

1. პირველი ტიპის დიაბეტი;
2. რევმატოიდული და რეაქტიული ართრიტი;
3. ფარისებრი ჯირკვლის ანთება, ანუ აუტოიმუნური თირეოიდიტი;
4. ღვიძლის ანთება, ანუ აუტოიმუნური ჰეპატიტი;
5. მსხვილი ნაწლავის ანთება, ანუ ე.წ. კრონის დაავადება და არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტი;
6. სისტემური წითელი მგლურა;
7. გაფანტული სკლეროზი;
8. ფსორიაზი...

გიმეორებთ, ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, თორემ **აუტოიმუნური რეაქციით მიმდინარე დაავადებების** რიცხვი 100 ერთეულს აჭარბებს. რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, აუტოიმუნური დაავადებები, ფაქტობრივად, განუკურნებელია.

**— რას წარმოადგენს აუტოიმუნური დაავადება და რატომ არის განუკურნებელი?**

— ადამიანის იმუნური სისტემის ძირითადი დანიშნულებაა, შეუტიოს ორგანიზმში მოხვედრილ ვირუსს, ბაქტერიას, მიკრობებს, სხვადასხვა წარმოშობის აგენტებს, მიიჩნიოს ისინი უცხოდ, გამოიმუშაოს მათ წინააღმდეგ სათანადო ანტისხეულები და გაანადგუროს ისინი. იმუნური სისტემა სწორედ ასე ებრძვის ყველა იმ მავნე ნივთიერებას, რომელიც შესაძლოა, ორგანიზმში წარმოიშვას. ეს სავსებით ბუნებრივი და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროცესია, მაგრამ ზოგჯერ იმუნური სისტემა უცხოსა და შინაურს ერთმანეთისაგან ვეღარ არჩევს და ცალკეულ ორგანოებს უტევს. ამ მხრივ სამიზნე ნებისმიერი ორგანო შეიძლება გახდეს — **სახსრები, თავის ტვინი, პანკრეასი, ნაწლავები, ფარისებრი ჯირკვალი, კანი, ფილტვი, ღვიძლი** და ა.შ. ასეთ დროს ამ ორგანოებში ანთებითი პროცესები იწყება, რაც ზემოხსენებული დაავადებების სახით გამოვლინდება.



**„ყველა აუტოიმუნური დაავადების საფუძველი კუჭ-ნაწლავის პრობლემებსა და D ვიტამინის დეფიციტში უნდა ვეძებოთ!“**

აუტოიმუნური დაავადებების მკურნალობა განსაკუთრებით რთულია, რადგან ხშირად მათი წარმოშობის მიზეზს ვერ ადგენენ. რეალურად კი აბსოლუტურად ყველა აუტოიმუნური დაავადების საფუძველი კუჭ-ნაწლავის პრობლემებსა და D ვიტამინის დეფიციტში უნდა ვეძებოთ!

**ჯერ კიდევ ძველი ჩინელები ამბობდნენ, რომ ყველა დაავადება კუჭ-ნაწლავიდან იწყება! ეს ჩვენმა წინაპრებმაც კარგად იცოდნენ.** სწორედ ამიტომაა, რომ **მე-11 საუკუნის ქართულ სამედიცინო ტრაქტატში — „უსწორო კარაბადინი“ ხაზგასმით წერია: „ყველა სენი სტომაქისგან მოდის!“**

მართლაც, აუტოიმუნური დაავადებების წარმოშობა მთლიანად დაკავშირებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მდგომარეობასთან. კერძოდ, ნაწლავის უჯრედები ერთმანეთთან ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული. ეს არის ერთგვარი ნაწლავური ბარიერი, ტიხარი, რომელიც პათოგენებს, ანუ უცხო ნაწილაკებს არ ატარებს! გარკვეულ პირობებში, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, ეს ნაწლავური ტიხარი საცერივით დაცხრილული ხდება. ამ „საცერში“ ცილის დაშლის პროდუქტი — **ამინომჟავა,** ან ცხიმის დაშლის პროდუქტი — **ცხიმოვანი მჟავა** რომ მოხვდეს, რომლებიც ორგანიზმისთვის აუცილებელი და საჭიროა, ერთსაც და მეორესაც იმუნური სისტემა ვერ იცნობს და უცხოდ აღიქვამს. შესაბამისად, იმუნური სისტემა მათ წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებს და ასე ყალიბდება **ანთება,** რომელიც სხვადასხვა სახის აუტოიმუნურ დაავადებაში გამოვლინდება.

არსებობს მეტად მნიშვნელოვანი ცილა — **ზანულინი,** რომელიც ამ პროცესებს მართავს. იმუნური სისტემა სწორედ **ზანულინის** საშუალებით ცნობს „თავისიანსა“ და „სხვისიანს“. თუ ეს ცილა არასწორად „მუშაობს“, ან მისი რაოდენობა მკვეთრად მომატებულია, მაშინ იმუნური სისტემა ორგანიზმის ქსოვილს ისე აღიქვამს, როგორც უცხო აგენტს და მის წინააღმდეგ ანტისხეულებს ქმნის. ამ დროს შეტევის ობიექტი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შესაძლოა, გახდეს, **ფარისებრი ჯირკვალიც, თავის ტვინიც, პანკრეასიც, სახსარიც** და ა.შ. ამ ასპექტებზე ყურადღებას თითქმის არავინ ამახვილებს, არადა, ყველა აუტოიმუნური დაავადების მკურნალობაში შედეგს მაშინ მივაღწევთ, თუ შევამცირებთ ნაწლავის შეღწევადობას და **ცილა ზანულინს** კონტროლის ქვეშ მოვაქცევთ! ყველას, ვისაც აუტოიმუნური დაავადება აწუხებს, ზანულინის ოდენობა მკვეთრად მომატებული აქვს!

**— მაინც რა იწვევს მსხვილი ნაწლავის დაზიანებას, ანთებას და ზანულინის მომატებას?**

— პირველ რიგში, ამას იწვევს მსხვილ ნაწლავში არსებული სასარგებლო ბაქტერიების განადგურება! მსხვილ ნაწლავში 3-4 კილოგრამი სასარგებლო ბაქტერიაა. მათი რაოდენობა 3 ტრილიონამდე აღწევს. ამ ბაქტერიების როლზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია და ამჯერად ამ თემაზე აღარ შევჩერდებით. **სასარგებლო ბაქტერიების პირველი მტერი ანტიბიოტიკების ფართოდ გამოყენებაა. ანტიბიოტიკებმა შესაძლოა, მავნე ბაქტერიები დახოცოს, მაგრამ ამავდროულად სასარგებლო ბაქტერიებიც გაანადგუროს.** უფრო მეტიც, ანტიბიოტიკებმა რაც გინდა მავნე ბაქტერია გაანადგუროს, მაინც გადარჩება ისეთი ბაქტერია, რომელიც ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი გახდება. ასეთი „სუპერბაქტერიები“ თავიანთ თვისებებს სხვა მიკრობებსაც გადასცემენ

**„სასარგებლო ბაქტერიების პირველი მტერი ანტიბიოტიკების ფართოდ გამოყენებაა!“**



# „ბოლო დროს მედიცინა სიმსივნეს არა ქიმიოთერაპიით, არამედ იმუნოთერაპიით ებრძვის!“



და მუტაციის შედეგად ორგანიზმში ისეთი მავნე ბაქტერიები მომრავლდება, რომელსაც ანტიბიოტიკები ვერ ერევა.

ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, როცა სიმსივნურ პაციენტებს ქიმიოთერაპიულ მკურნალობას უნიშნავენ. **ქიმიოთერაპიამ იდეალურ შემთხვევაში შესაძლოა, სიმსივნური უჯრედების 90-95 პროცენტი გაანადგუროს, მაგრამ მაინც დარჩება სიმსივნური უჯრედების 5-10 პროცენტი, რომელიც ქიმიოთერაპიული მკურნალობის მიმართ მდგრადი იქნება.** გადარჩენილი სიმსივნური უჯრედები კვლავ გამრავლდება და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად უფრო ძლიერი და ტოქსიკური ქიმიოთერაპიული პრეპარატის გამოყენება გახდება საჭირო. ეს ყველაფერი იმუნურ სისტემას დაანგრევს და სიმსივნის განვითარებას ხელს შეუწყობს. აქედან გამომდინარე, **ბოლო დროს მედიცინა სიმსივნეს არა ქიმიოთერაპიით, არამედ იმუნოთერაპიით ებრძვის!**

**— ანტიბიოტიკების გარდა მსხვილი ნაწლავის ანთებას და საშიში აუტოიმუნური პროცესის განვითარებას კიდევ რა უწყობს ხელს?**

— მსხვილი ნაწლავის ანთებას იწვევს ყველა ის საკვები, რომლის შემადგენლობაშიც **გლუტენი** შედის. **გლუტენი** წებოვანაა, რომელსაც ორგანიზმი ვერ ამუშავებს. სწორედ ეს გადაუმუშავებელი ცილა აზიანებს ნაწლავებს და მის კედლებს საცერივით ცხრილავს. ცნობისათვის, **დაბალი ხარისხის ფქვილს სწორედ გლუტენს უმატებენ, რათა მისგან მიღებული ცომი უფრო წებოვანი და ბლანტი გახადონ.** გლუტენს შეიცავს აბსოლუტურად ყველა მარცვლეული: ლობიო, სიმინდი, სოია, ბარდა და ა.შ. სიმინდისა და სოიას შემადგენლობაში შედის **ლექტინებიც,** რომლებიც ნაწლავებს აღიზიანებენ. მიჩნეულია, რომ მსოფლიოში სიმინდის 70 პროცენტი გენმოდიფიცირებულია. საქართველოშიც შემოიტანეს ასეთი ჯიშები, რაც მსხვილ ნაწლავს დიდ საფრთხეს უქმნის. **საქართველოში ბოლო დროს მსხვილი ნაწლავის კიბოთი და აუტოიმუნური პათოლოგიებით დაავადებულთა რიცხვი კატასტროფულად გაიზარდა, რაც გენმოდიფიცირებული პროდუქტებისა და, უპირველესად, სიმინდის ბრალია!**

## „საქართველოში ბოლო დროს მსხვილი ნაწლავის კიბოთი და აუტოიმუნური პათოლოგიებით დაავადებულთა რიცხვი კატასტროფულად გაიზარდა, რაც გენმოდიფიცირებული პროდუქტებისა და, უპირველესად, სიმინდის ბრალია!“







მსხვილი ნაწლავისა და, საერთოდ, ორგანიზმისთვის დიდი ზიანის მომტანია **ხორბლის, მზესუმზირის, სიმინდის, სოიასა და რაფსის ზეთების ჭარბი მოხმარება.** ეს ზეთები დიდი ოდენობით **„ომეგა-6“-ს** შეიცავს, რომელიც ანთების გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. **ამიტომ, ვისაც სახსრები აწუხებს, ეს ზეთები არ გამოიყენოს და გადავიდეს ზეითუნის ზეთის, ერბოსა და კარაქის მოხმარებაზე.** მართალია, ყველა ეს პროდუქტი მზესუმზირის ზეთთან შედარებით ძვირია, მაგრამ გვახსოვდეს, რომ ჩვენი ჯანმრთელობა ყველაზე ძვირფასია!

**მიგვაჩნია, რომ საქართველოში აუტოიმუნური დაავადებების რიცხვი მკვეთრად გაზარდა პურის ჭარბმა მოხმარებამ. პურის ფქვილი უმრავლეს შემთხვევაში სწორედ წებოვანათი, ანუ გლუტენით არის გამდიდრებული.**

## „მსხვილი ნაწლავისა და, საერთოდ, ორგანიზმისთვის დიდი ზიანის მომტანია ხორბლის, მზესუმზირის, სიმინდის, სოიასა და რაფსის ზეთების ჭარბი მოხმარება!“



**„არსებობს ერთი მარტივი და უებარი საშუალება, რომელიც ყველა იმ ადამიანმა უნდა მიიღოს, რომელსაც აუტოიმუნური დაავადება აწუხებს!“**



**„ვინც ხაშს ხშირად იღებს, სახსრები ნაკლებად აწუხებს!“**

**— საქართველოში სახსრების ანთებით ძალიან ბევრი ადამიანი იტანჯება, რომლებიც მკურნალობის მიუხედავად, სასურველ შედეგს ვერ აღწევენ. რატომ არის სახსრების ქრონიკული ანთება თითქმის მოურჩენელი?**

— მიაჩნიათ, რომ პრობლემა უშუალოდ სახსრებშია, არადა, ასეთ დროს ლომის წილი არა უშუალოდ სახსრებზე, არამედ **მსხვილ ნაწლავზე** მოდის, რომელშიც აუტოიმუნური პროცესებია დაწყებული. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ, ვინც ხაშს ხშირად ღებულობს, სახსრები ნაკლებად აწუხებს! როდესაც ხაში მზადდება, იხარშება ხორცი, სახსარი, ძვლის ტვინი, ხრტილი და მყესი. **ხარშვის პროცესის შედეგად ბულიონში გადადის ორგანიზმისთვის აუცილებელი და ჯანმრთელობისთვის ძალზე სასარგებლო კალციუმი, ფოსფორი და სხვა მიკროელემენტები.** გარდა ამისა, ხორცში შემავალი ცილები იშლება მარტივ ნაწილებად, კერძოდ, **ამინომჟავებად,** რომელიც ადვილად მოსანელებელია.

მოხარშული ძვლის ტვინიდან ბულიონში გადადის ცხიმში ხსნადი ზოგიერთი ვიტამინი. რაც მთავარია, ხაში ამინომჟავა **გლუტამინის** საბადოა. **გლუტამინი კი ანთების საწინააღმდეგო და მსხვილი ნაწლავის საშენი მასალაა.**

შემჩნეულია, რომ ხაში არამარტო კუჭ-ნაწლავზე მოქმედებს დადებითად, არამედ, ვინც ხაშს ხშირად მიირთმევს, სახსრების ანთება უამდება! გასული საუკუნის 40-იან წლებში ამერიკელი მეცნიერი **როილ ლი** დაინტერესდა, თუ რატომ ჰქონდა საქონლის სახსრებისგან დამზადებულ ბულიონს სახსრების ანთებაზე სამკურნალო გავლენა. მან გამოთქვა მოსაზრება, რომლის თანახმადაც საქონლის ხორცის სახსრისგან დამზადებული ბულიონი „ატყუებდა“ ორგანიზმის იმუნურ სისტემას და აუტოიმუნურ, ანუ თვითგანადგურების რეჟიმში გადართული ორგანიზმი სახსრების ნაცვლად უტევდა ბულიონში შემავალ სახსრის ნაწილებს. ამის შედეგად ადამიანის სახსრების ანთება ცხრებოდა, სახსარი თავის ფუნქციებს აღიდგენდა და ადამიანი გამოჯანმრთელდებოდა.

სხვათაშორის, როილ ლის შთამომავლებმა ამერიკაში კომპანიაც კი დააარსეს და შექმნეს საკვები დანამატები, რომელსაც **„პროტომორფოგენი“** უწოდეს. ეს დანამატები წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა აუტოიმუნური ანთებითი პროცესებისა და დაავადებების სამკურნალოდ.

**— რას ურჩევთ იმ ადამიანებს, რომლებსაც აუტოიმუნური დაავადებები აწუხებთ?**

— **ადამიანებმა, რომლებსაც აუტოიმუნური დაავადება აქვთ, პირველ რიგში, კუჭ-ნაწლავი უნდა მოიწესრიგონ!** არსებობს ერთი მარტივი და უებარი საშუალება, რომელიც ყველა იმ ადამიანმა უნდა მიიღოს, რომელსაც აუტოიმუნური დაავადება აწუხებს! ეს არის **ნედლი კომბოსტოს წვენი,** რომელიც საოცარი პროდუქტია. მასში ოთხი ისეთი ძირითადი კომპონენტი შედის, რომელიც კუჭ-ნაწლავისთვის მისწრებაა. პირველია **U ვიტამინი,** რომელსაც წყლულის საწინააღმდეგო ფაქტორსაც უწოდებენ. ის კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის **(გასტრიტის, ეროზიის, წყლულის, ნაწლავების ანთების)** პროცესების დროს გამოიყენება. მეორე კომპონენტია კომბოსტოში შემავალი **სულფორაფანი,** რომელიც თვით **ჰელიკობაქტერია პილორის** დაუძინებელი მტერია. სულფორაფანის მთავარი ღირსება ისაა, რომ სწორედ აუტოიმუნურ პროცესებს ებრძვის. მესამე კომპონენტია L **გლუტამინი,** რომელიც მსხვილი ნაწლავის კედლებს ამაგრებს, ხოლო მეოთხე კომპონენტია C **ვიტამინი.** აუტოიმუნური პროცესების განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობს D **ვიტამინი და ჰერპესვირუსის სახეობა ეპშტეინ-ბარი.** ამ და სხვა ფაქტორების შესახებ მომავალში დეტალურად ვისაუბრებთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




# შევარდნაძის საიდუმლო

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №46-49, 51-52, 2024 წლის №1-6

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***

## ედუარდ შევარდნაძე: კოსიგინმა მითხრა – საუკეთესო ქართველმა ხალხმა ბერიასნაირი გველი როგორ შვაო?!

**ედუარდ შევარდნაძე** თავის მემუარებში იხსენებს, საბჭოთა საქართველოში 1972 წელს გაპირველკაცებულს რა მდგომარეობა შეექმნა რესპუბლიკის სამართავად:

***„1972 წელს საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად ამირჩიეს. მართალია, მეორე მდივნად მოსკოვიდან გამოგზავნილი კაცი მყავდა, მოსკოვის თვალი და ყური, ხოლო უშიშროების მინისტრი, ფაქტობრივად, უშუალოდ მოსკოვს ემორჩილებოდა, მაგრამ მაინც ბევრად მეტი უფლებები მივიღე, რომ თუნდაც ექსპერიმენტის სახით მეკეთებინა ის, რასაც საჭიროდ ვთვლიდი, მემოქმედა ისე, როგორც ვფიქრობდი. ამ ფიქრში მარტო არასოდეს ვყოფილვარ — მხარს მიჭერდნენ როგორც თბილისში, ისე მოსკოვში“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 71).*

ამდენად, **შევარდნაძე** აღიარებს, რომ მისი ე.წ. ექსპერიმენტები მოსკოვიდან იყო დაშვებული, ანუ საქართველო კრემლისთვის იყო ერთგვარი ლაბორატორია, სადაც სხვადასხვა სახის სოციალურ (სოციალისტურ) ექსპერიმენტებს ატარებდნენ!

და ამას ჰქონდა თავისი სტრატეგიული მიზეზები: **პირველი — კრემლს სურდა, ტესტირება ჩაეტარებინა, როგორ იმოქმედებდა საბჭოთა ცენტრალიზებულ სისტემაში მცხოვრებ ადამიანებზე კაპიტალისტური კერძო საკუთრების ელემენტების დანერგვა; მეორე — ეს საქართველოში იმიტომ კეთდებოდა, რომ თავისუფლებისმოყვარე ქართველებს შექმნოდათ თავისუფლების ილუზია, რომ საბჭოთა მონობა მთლად გაუსაძლისი არ ყოფილიყო.**

აქ მემუარისტი კვლავ იხსენებს მის ერთგულ თანამოაზრესა და მეგობარს **მიხეილ გორბაჩოვს:**

***„ჩვენ ორივე ვგრძნობდით და ვსაუბრობდით კიდეც იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის შექმნაში თავიდანვე იყო ჩადებული გადაულახავი წინააღმდეგობანი, მე ვიტყოდი, ცივილიზაციური ხასიათის შეუთავსებლობანი. საბჭოთა იმპერიამ მოიცვა, ერთი მხრივ, ტრადიციულად განვითარებული ქრისტიანული და მაჰმადიანური ქვეყნები, მეორე მხრივ, ეკონომიკურად და სახელმწიფოებრივად განუვითარებელი ხალხები. ვფიქრობ, საბჭოთა კავშირი ამ წინააღმდეგობებმაც დაანგრია“*** *(იქვე, გვ. 71).*

შევარდნაძე აშკარად ცრუობს: ჯერ ერთი, ის და **გორბაჩოვი** 1970-იან წლებში თავიანთი გულითადი საუბრებისას წარმოუდგენელია, საბჭოთა კავშირს „ხალხთა საპყრობილედ“ და „საბჭოთა იმპერიად“ მიიჩნევდნენ;

მეორეც, **შევარდნაძე** იმასაც აჭარბებს, თითქოს საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში ხალხი საერთოდ ყურადღებას აქცევდა რელიგიურ განსხვავებულობას — მაშინ, მაგალითად, საქართველოში, ერთეულებმა თუ იცოდნენ, რომ გარდაბნელი აზერბაიჯანელები ან თუნდაც, ჩვენივე კუთხის წარმომადგენელი აჭარლები მუსლიმები იყვნენ — მაშინ მეჩეთები კი არა, ქრისტიანული ტაძრები თითო-ოროლა თუ ფუნქციონირებდა და ხალხს აღდგომაზეც კი აკრძალული ჰქონდათ არათუ ტაძარში ლოცვა, სიახლოვეს გავლაც კი...

უბრალოდ, მემუარისტი ამ ყველაფერს უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 2000-იანი წლების გადმოსახედიდან წერს, თითქოს მე და **გორბაჩოვმა** უკვე 1970-იან წლებში ვიცოდით საბჭოთა იმპერიის გარდაუვალი აღსასრულის შესახებო:

***„მოკლედ, წარსული უნდა დაგვეძლია, ისტორიული ფასეულობები უნდა გადაგვეფასებინა. როგორ? 70-იან წლებში მე ეს არ ვიცოდი!***

***დავიწყე გამოსავლის ძიება, თუნდაც მხოლოდ ეკონომიკის, თუნდაც მხოლოდ ერთი რაიონის მასშტაბით. საქართველოს რეგიონის, აბაშის და ქალაქ ფოთის გახმაურებული ეკონომიკური ექსპერიმენტები მაქვს მხედველობაში. მაშინ ჩემთვის სრულიად აშკარა გახდა საბჭოთა ეკონომიკის დეცენტრალიზაციის აუცილებლობა. თუმცა, ამ რეფორმას უფრო შორს მიმავალი მნიშვნელობაც ჰქონდა. სხვათაშორის, ამ ტიპის რეფორმა საქართველოს მასშტაბით რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის ჩასახვის პირველი მცდელობა იყო“*** *(იქვე, გვ. 72).*

როგორც ხედავთ, მემუარისტი ისევ ულმერთოდ ცრუობს — იმ გაგანია საბჭოთა ავტორიტარულ-ცენტრალიზებული მმართველობისას შევარდნაძეს არანაირ სუვერენიტეტზე სიზმარშიც კი არ ესიზმრებოდა და ის ე.წ. რეფორმებიც კრემლის მიერ სანქცირებული ოდენ ლოკალური ექსპერიმენტი იყო, საბჭოთა ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის წარმადობის გასაზრდელად რომ ტარდებოდა!

**შევარდნაძე** იხსენებს, როგორ წაიყვანა საქართველოში სტუმრად ჩამოსული სტავროპოლის მხარის კომპარტიის პირველი მდივანი **გორბაჩოვი** აბაშის რაიონის ერთ-ერთი სოფლის საექსპერიმენტო ფერმაში:

***„და აი, საქართველოში ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს გორბაჩოვი აბაშაში წავიყვანე, ერთი გამრჯე გლეხი კაცის, ომის ინვალიდის ფერმაში. გაგიჟდა გორბაჩოვი, მისი ძროხები რომ ნახა. არ სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი ამ ერთი კაცის საკუთრება იყო.***

***— ბალახი კოლხეთში ბევრი და რძიანია, — უთხრა გლეხმა გორბაჩოვს —პროდუქციის ოთხმოც პროცენტს სახელმწიფო ყიდულობს, ოცი პროცენტი მე მრჩება.***

***გორბაჩოვმა გადმომხედა და მითხრა:***

***— ხომ იცი, რომ ამის გამო შეიძლება მოგხსნან.***

***— თუ კარგი საქმისთვის მომხსნიან, მომხსნან — ვუპასუხე“*** *(იქვე, გვ. 72).*

ისევ ფარისევლური ტყუილი: თითქოს **შევარდნაძემ** აბაშელ გლეხს კერძო ფერმა ისე გაახსნევინა, რომ ეს მოსკოვიდან არ იყო ხელდასხმული!

და გეგონება, ის **გორბაჩოვიც** საბჭოთა კავშირისთვის სამტროდ შექმნილ სახელწიფო დანაშაულის ადგილას წაიყვანა, ანუ გორბაჩოვიც უნდა მოეხსნათ?!

**შევარდნაძე-გორბაჩოვის** აბაშურ რანდევუს ხომ ცალკე საქართველოს, ცალკე სტავროპოლის მხარის „კაგებე“ აკონტროლებდა, მათ უსაფრთხოებას რომ იცავდნენ...

ამის შემდეგ **შევარდნაძე** იქვე წერს, როგორ დაინტერესდა იმავე ფერმით საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს იმჟამინდელი თავმჯდომარე (ანუ პრემიერი) **კოსიგინი:**

***„საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსი კოსიგინმაც მოისურვა თავისი თვალით ენახა, რაში იყო საქმე.***

***ბიჭვინთაში შვებულება რომ დაუმთავრდა, მთხოვა, საქართველო დამათვალიერებინეო, თუ ხვალ დილით აქ იქნები, ერთად ვიმოგზაუროთ და დარწმუნებული ვარ, ბევრ საინტერესოს ვნახავთ, აბაშის რაიონი კი აუცილებლად შეიტანე გეგმაში, მინდა, გავიგო, რა სასწაული მოახდინეთ ამ რაიონშიო“*** *(იქვე, გვ. 72).*

ანუ შევარდნაძემ კოსიგინი „არალეგალურ ფერმაში“ მიიყვანა?! ხომ ფაქტია, რომ ეს აბაშური ექსპერიმენტი სწორედ **კოსიგინის** დონეზე იყო შეთანხმებული და შევარდნაძეს ამის გამო არაფერი არ ემუქრებოდა — არც თანამდებობის დაკარგვა, არც გულაგი და არც დახვრეტა!

აქვე მემუარისტი იმასაც იხსენებს, **კოსიგინთან** ერთად ლიკანში სეირნობისას რა მოუყვა მან სტალინზე და ბერიაზე:

**„სტალინმა წამომიყვანა და ოცდათხუთმეტი წლის კაცი მინისტრად დამნიშნა, შემდეგ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ, დიდად მადლიერი ვარ მისი. ყველაფერი ქვეყნისთვის უნდოდა, თვითონ კი ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. ბერიაზე კი მითხრა: „მსოფლიოში ამ საუკეთესო ხალხმა და ამ საუკეთესო ქვეყანამ ასეთი გველი როგორ შობა?!“**

**ბერიამ კოსიგინის ქვისლიც დაახვრეტინა, ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი, რომელიც სტალინმა ჯერ მოსკოვში გადმოიყვანა და ადმინისტრაციული ორგანოების კურირება დაავალა (ანუ ბერიასიც). არადა, სწორედ ბერიამ მოუღო ბოლო“** (იქვე, გვ. 73).

რა თქმა უნდა, ბერია საკუთარი ინიციატივით, სტალინის თანხმობის გარეშე, ვერ დაახვრეტინებდა ამხელა თანამდებობის პირს, მაგრამ, ფაქტია, კოსიგინი ძლიერ მადლიერი იყო სტალინისა...

შემდეგ **შევარდნაძე** იხსენებს ერთ საინტერესო დეტალს:

***„სეირნობის დროს კოსიგინმა ყურადღება მიაქცია ერთ-ერთი ლამაზი შენობის, რომანოვების სასახლის კედელზე უადგილოდ მიჭედებულ დიდ ლურსმანს. რა არისო, მკითხა. არ ვიცი-მეთქი. თანამშრომელს დავუძახე და მან განგვიმარტა: „აქ, თავის დროზე, სტალინი რომ ისვენებდა, ჩაქუჩი და ლურსმანი მოატანინა, მერე ჩააჭედა და ქუდი დაჰკიდა...***

***ბევრი იცინა კოსიგინმა და გვითხრა: „ძალიან გთხოვთ, ხელი არ ახლოთ ამ ლურსმანს“.***

***რომ ვიკითხე, აქამდე რატომ არ ამოაძრეთ-მეთქი, მითხრეს, გვეშინოდაო“*** *(იქვე, გვ. 74).*

მემუარისტი იმასაც იხსენებს, რომ ლიკანში კიდევ ერთი სტალინური ლურსმანიც არის:

***„თუ არ ვცდები, ის ლურსმანი დღესაც იქ არის. რამდენადაც ვიცი, ერთი ასეთი ლურსმანი, იქვე, ლიკანში, საწერ მაგიდაზეცაა მიჭედებული, ისიც ქუდის დასაკიდად.***

***ეს საკურორტო ადგილი სტალინს ძალიან უყვარდა, აქ მას პოლიტბიუროს სხდომებიც მოუწვევია. თვითმხილველები იხსენებენ, ერთხელ, ჩამოსვლისთანავე, როგორ მოითხოვა ნიკიტა ხრუშჩოვმა, ჭაჭა (არაყი) დამალევინეთო. ჭაჭა მოზრდილი ჭიქით მიართვეს, გადაყლურწა, ალბათ, სტალინთან შეხვედრამდე გულის გამაგრება სჭირდებოდა“*** (იქვე, გვ. 74).

***გიორგი გიგაური***

*გაგრძელება იქნება*






# დნმ-ის (დაშლილი ნაციონალური მოძრაობის) ოცნებათა ჩასაფლავებლად!

**მევახშე ბანკირთა და ხაზარაძის ავი ანას ნერვების საწყვეტად!**

გირჩი ზურაბასა და მგიმო-ელი ლიაკას ტვინის საჭყლეტად!

**გუბაზ სანიკიძის ენის დასამოკლებლად!**

კოლექტიური ანიწითლიძეების გულის ფეთებად!

**ნატა ფერაძის გულის პრანჭვებად!**

გიჟვრაცუა ხაზეიშვილისა და კეზერაშვილის ხელისბიჭების გეგმების ჩასაშლელად!

**ეკა კვესიტაძისა და შოთა უტიაშვილის ნერვების დასამშვიდებლად!**

გახარიას ქემოკლიძისა და მეზვრიშვილის გახარიას დასაშოშმინებლად!

**სალომე სამადაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის ჩასაფიქრებლად!**



**კაკო ბობოხიძისა და ბენდუქიძეზე მლოცველთა სულის საოხად!**

თემურ ალასანიათა და მურმან დუმბაძისებრთა გონების ჩასახშობად!

**ჭიჭე ვაშაძისა და ულვაშებიანი ვაშაძის ბოდვათა დასაფარად!**

მერაბიშვილ-ადეიშვილის დასაწკმუტებლად!

**„ვივამედის“ გონებაშერყეული პაციენტისა და გიულის ჩალაძის ბოდვათა საპირწონედ!**

**დახედეთ ფოტოებს, კარგად დახედეთ და ნათლად დაინახავთ,** რატომ აღარ დაბრუნდება აღარასდროს ნაძირალა სააკაშვილის, სადისტი შაშკინისა და ჯალათი ლომაიას რეჟიმი საქართველოში!

**დახედეთ კადრებს და ნათლად დაინახავთ,** რომ თქვენი დრო წავიდა, სააკაშვილისა და მერაბიშვილის სექტის ბრმად მიმდევრებო!

**დახედეთ ამ გულწრფელ ემოციებს და მიხვდებით —** „რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთ“!

**დიახ, ახალი ისტორია იწერება ჩვენს რეალობაში! ახალი, ნაღდი, ზნეობრივი, პატრიოტიზმით სავსე, ღირსებით გამსჭვალული და ჭეშმარიტად ქართული ისტორია!**

და ასე, ნოდარ დუმბაძისეულად თუ ვიტყვით, — მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებით, მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით და ხმამაღლა შევძახებთ თითოეული ჩვენგანი — **მე ვხედავ მზეს!**

***გიორგი მამაცაშვილი,***

*საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე*



**ირაკლი კობახიძე და ირაკლი ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ რიგგარეშე ყრილობაზე. 2024 წლის 1 თებერვალი**

## კვირგვინოსანი მსხვილი პლანით

**ირაკლი ღარიბაშვილი,**

*პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე*

**ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა მმართველი პარტიის — „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ არჩევა.** 2011 წელს ჩვენი პარტიის დამფუძნებელმა **ბიძინა ივანიშვილმა** შექმნა **სახალხო პროცესი,** რომელმაც შეძლო მანამდე შეუძლებელი — **დემოკრატიულად, არჩევნების გზით დაამარცხა ყველაზე ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული, ქართველი ხალხის მჩაგვრელი რეჟიმი და სათავე დაუდო ჩვენი ქვეყნის განვითარების სრულიად ახალ ეტაპს.** რთული წარმოსადგენი არ არის, რომ მის მიერ ინიცირებული ისტორიული **სახალხო გამარჯვების** გარეშე არათუ ეს პროგრესი იქნებოდა შეუძლებელი, ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხიც იდგებოდა. **შეიძლება, გარანტირებულად ითქვას, რომ დღეს ქვეყანა ომში იქნებოდა გახვეული.** მინდა, გავიმეორო, — 2008 წელს რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში **ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“,** აგვისტოს ომი არ მოხდებოდა!

მინდა, მადლიერება გამოვხატო პარტიის დამფუძნებლისადმი იმის გამო, რომ მომცა შესაძლებლობა, ამ პროცესების მონაწილე ვყოფილიყავი. **ჩემთვის თანამდებობა ყოველთვის იყო საშუალება, მემსახურა ჩვენი ქვეყნისთვის. მეამაყება, რომ საკუთარი წვლილი შევიტანე ქვეყნის წინსვლაში.**

სამწუხაროდ, ერთ-ერთ უმთავრეს, შეიძლება ითქვას, საფრთხედ ჯერ კიდევ რჩება ის ბოროტი ძალა, რომელიც 2012 წელს დავამარცხეთ ყველამ ერთად და სანამ ეს კრიმინალური ორგანიზაცია — **ნაციონალური მოძრაობა** — რჩება პოლიტიკაში, საფრთხე არსად წასულა. **განახლებული სტრატეგიით შენიღბული, მოჩვენებითად დაშლილი ნაციონალური მოძრაობისა და მისი სატელიტების სახით საქმე გვაქვს ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან, იგივე ხალხთან, იგივე ანტიეროვნული ინტერესების გამტარებელ ბოროტ ძალასთან,** ასე რომ, 2024 წლის არჩევნებში ჩვენ სხვა არჩევანი არ გვაქვს. დამაჯერებლად უნდა გავიმარჯვოთ, რათა არ დავუშვათ ომი და ქაოსი.

„ქართული ოცნება“ არის ერთადერთი ეროვნული, ქართული ინტერესების გამტარებელი პოლიტიკური ძალა. **მზად ვარ, როგორც „ქართული ოცნების“ რიგითმა წევრმა, ასევე ჩვენი ქვეყნის რიგითმა ჯარისკაცმა, მთელი ძალისხმევა მოვახმარო ჩვენი გუნდის გამარჯვებას, ქართველი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის მსახურებას, მორიგ დიდ გამარჯვებას, რომელიც ყველას ერთად გველოდება 26 ოქტომბერს!**

## კვირგვინოსნები

**არჩილ თალაკვაძე**

*პარლამენტარი*



ოპოზიციის შიგნით ამბობენ, ისე ვემზადებით არჩევნების მეორე დღისთვის, ერთი სული გვაქვს, ეს დღე როდის დადგებაო, **ჩვენი რჩევაა, პირველი დღისთვის მოემზადონ.**

„პირველი არხი“

**ვაჟა ბერიძე**

*პოლიტოლოგი*



საარჩევნო კამპანიაა და ამ დროს პარტიის თავმჯდომარე უნდა გავიდეს ხალხში, გააგებინოს, საით მიდის ქვეყანა და ამ თვალსაზრისით **ღარიბაშვილი უკეთესი ფიგურაა, ვიდრე კობახიძე.**

„ინტერპრესნიუსი“

**პაატა მანჯგალაძე**

*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



**ირაკლი კობახიძე „ქართული ოცნების“ ბოლო პრემიერ-მინისტრი იქნება,** რომელიც მთავრობას ოპოზიციას გადააბარებს.

„ინტერპრესნიუსი“



არნო ხიდირბეგიშვილი

# მოღალატე პაშინიანის პროვოკაცია პრემიერ ღარიბაშვილს პოსტის დატოვებად დაუჯდა!

## ამთავითვე ვიტყვი:

თავდაპირველად სომხეთის პრემიერ-მინისტრმა **ნიკოლ ვოვას ძე პაშინიანმა** თვალისდაუხამხამებლად გადაულოცა **მთიანი ყარაბაღი** აზერბაიჯანს და ამაში რუსეთი დაადანაშაულა, რომელიც სთავაზობდა ერევანს ბაქოსთან მოლაპარაკებას სომხეთისათვის ხელსაყრელი პირობებით. **პაშინიანმა ჩეხეთში უაპელაციოდ მოაწერა ხელი დოკუმენტს, რომელიც ცნობდა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას 1991 წლის საზღვრებში, როდესაც მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი სწორედაც რომ აზერბაიჯანის განუყოფელი ნაწილი იყო.** ამჯერად **პაშინიანი** ცდილობს, აზერბაიჯანს გადაულოცოს სომხეთის კუთვნილი **სიუნიქის ოლქიც,** რომელზეც გადის მდინარე არაქსის გასწვრივ არსებული ნავთობსადენი და სომხეთის ირანთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა.

ამ მიზნის მისაღწევად **პაშინიანი** ყოველდღიურ რეჟიმში უჩხიკინებს აზერბაიჯანის პრეზიდენტ **ილჰამ ალიევს** და სთავაზობს ახალ-ახალ ინიციატივებს, რათა დაჩქარებული წესით მოეწეროს ხელი სამშვიდობო ხელშეკრულებას. უფრო მეტიც, **პაშინიანი** მზადაა, წავიდეს ნებისმიერ დათმობაზე, რასაც არც კი ითხოვს ოფიციალური ბაქო — შოკირებული სომხეთის პრემიერის უპრეცედენტო ღალატით. **ამ მიზნით და იმის შეგრძნებით, რომ ახლოა შურისგების დღე, პაშინიანი ცდილობს,**




## კვირგვინოსნები

ნინო წილოსანი
პარლამენტარი



**„ქართული ოცნება“ წარდგება** იმ განვითარების გეგმებით, რომელსაც ჩვენ ამომრჩევლის წინაშე საარჩევნოდ გამოვიტანთ — **აქცენტი გადატანილია 2024 წლის გეგმებზე, ეკონომიკური ზრდის გაგრძელებაზე და სტაბილურ განვითარებაზე.**

„ინტერპრესნიუსი“

პაველ ჰერჩინსკი
საქართველოში ევროკავშირის ელჩი



ჩვენ, **ევროკავშირი, მზად ვართ, ვიმუშაოთ საქართველოს ყველა მთავრობასთან, ყველა პრემიერ-მინისტრთან.** ვიმედოვნებ, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალ მთავრობასთან, პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძის** მთავრობასთან იქნება, **სულ მცირე, ისეთივე წარმატებული, როგორც მისი წინამორბედის მთავრობასთან.**

„ინტერპრესნიუსი“

ნუკა ახველაძე
ჟურნალისტი



ჩვენ იმ მდგომარეობაში ვართ, როცა ფასი დაგვედო, გვყავს ძალიან კარგი სტრატეგიული პარტნიორები: **ჩინეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი** და დადგა დრო, საქართველომ დაიწყოს **რუსეთთან** ურთიერთობის აღდგენა, დალაგება და რატომაც არა, თუ რუსეთი ჩვენი ახალი სტრატეგიული პარტნიორი გახდება! მსოფლიო ლამის მესამე მსოფლიო ომის ზღვარზეა და მე იმედი მაქვს, რომ აღმოჩნდებიან ჭკვიანი ადამიანები, რომლებიც არსებულ იდიოტურ ბაქანალიას დაშლიან და კალაპოტში მოაქცევენ!

„მარშალპრესი“

ჯო ბაიდენი
აშშ-ის პრეზიდენტი



ნათელია, რომ **საპრეზიდენტო არჩევნებში** რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი **დონალდ ტრამპი** იქნება — **ყველაფერი სასწორზეა.**

„ინტერპრესნიუსი“

**მიინიჭოს მაქსიმალური ლეგიტიმურობა, რის გამოც მოულოდნელად თბილისში ჩამოდის და ერთგვარად აიძულებს პრემიერ ღარიბაშვილს, ხელი მოაწეროს საქართველო-სომხეთის სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებას,** რომელიც დღეს არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს და არ არის ახალი შინაარსის შემცველი, როგორც, მაგალითად, საქართველოსა და აზერბაიჯანის სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტი.

აღნიშნული პროვოკაცია **ირაკლი ღარიბაშვილს** პრემიერის სავარძლის დათმობად დაუჯდა რამდენიმე მიზეზის გამო: „ქართული ოცნების" ხელისუფლება, რომლის დამფუძნებელი და საპატიო თავმჯდომარე **ბიძინა ივანიშვილი** ბრძანდება, 2012-დან დაწყებული, უკვე მე-12 წელია, აცილებს საქართველოს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტს, ხოლო **ცბიერმა პაშინიანმა,** პრაქტიკულად, დაარღვია ჯერ კიდევ 2002 წელს მიღებული კოლექტიური



უსაფრთხოების ხელშეკრულება, ოფიციალურად გამოაცხადა, რომ უკვე აღარ არის რუსეთის სამხედრო მოკავშირე და მზადაა, გიუმრისა და ერევნის რუსული ბაზები ნატოს კონტინგენტით ჩაანაცვლოს. უფრო მეტიც, **პაშინიანი ამ პროვოკაციაში საქართველოს ჩათრევასაც აპირებს, აქაოდა, ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით სომხეთი ამიერიდან საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე არისო!**

განსაკუთრებით თვალშისაცემია, რომ **პაშინიანმა** აღნიშნულ შეთანხმებას ხელი მოაწერა ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის საიუბილეო მე-80 წლისთავის წინ, როცა პარალელურად ერევანში შებილწეს ლენინგრადის ბლოკადაში მოყოლილი ბავშვების მონუმენტი. მანამდე კი 2024 წლის 9 იანვარს სომეხი ვანდალის თბილისელმა თანამოაზრემ შერყვნა **წმინდა მატრონა მოსკოველის ხატი** სამების ტაძარში.

# და მაინც,

**პაშინიანის** პროვოკაციის გვირგვინად იქცა **ღარიბაშვილთან** ხელმოწერილი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებისთანავე, სომხეთის მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომლითაც ის შეუერთდა ე.წ. **რომის სტატუტს** და ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს ორდერის საფუძველზე ვალდებულია, დააპატიმროს რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი,** თუკი ის სომხეთში ჩაადგამს ფეხს.

**რჩება კი ამის შემდეგ ვინმეს ეჭვი, რომ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა?**







## კვირგვინოსნები

**მიხეილ დაუშვილი**
*პარტია „საქართველოს" წევრი*



ჩვენი მიზანია, **ნაცმოძრაობამ თავის განაყოფებიან, დანაყოფებიან, მარტივ მამრავლებიანად,** ისევე როგორც **„ოცნებამ"** თავის სატელიტებიანად, ჯამში **50 პროცენტზე ნაკლები** აიღონ.

„ინტერპრესნიუსი"

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ღარიბაშვილს სავარძელი არ სჭირდება საკუთარ თავთან და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართველ ხალხთან ურთიერთობისთვის! ეს ურთიერთობაც და ნდობაც შედგა!**

2024 წელი მსოფლიო პოლიტიკური ძვრების წელია! წელი, როდესაც **ომებით, არჩევნებით, დიპლომატიით უნდა მოხდეს ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვება!** უნდა მოხდეს **ლიბერალების სრული კრახი!** უნდა მოხდეს **ჩვენი, ჩვენი ოჯახების, ჩვენი ტრადიციების, ჩვენი მომავლის გადარჩენა და გამარჯვება!**

„მარშალპრესი"

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



შევდივართ წინასაარჩევნო პერიოდში, სადაც **მმართველმა ძალამ იმხელა პოლიტიკური სტანდარტი დააწესა, რომ ოპოზიციას ძალიან გაუჭირდება ამ თამასასთან მიახლოებაც კი, განსაკუთრებით კოლექტიურ ნაცმოძრაობაში ყოფნით!**

„მარშალპრესი"

**ზურა ყიფშიძე**
*მსახიობი*



**პირველად ვარ ოპოზიციის წინააღმდეგი.** მთელი ცხოვრება ოპოზიციონერი ვიყავი: **კომუნისტების, ზვიადის, შევარდნაძის** დროს. ამ ოპოზიციის მომხრე არა ვარ.

„კვირის პალიტრა"

**ალექსანდრე თვალჭრელიძე**
*საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი*



აბსოლუტურად ყველა სფეროში **არაადეკვატური ფასების მატებაა.**

„კვირის პალიტრა"



# მიხეილ ცაგარელი:
# თებერვალი პოზიტიური ცვლილებების მომტანი იქნება

*— 19 თებერვლამდე დედამიწის ბიოსფეროს ჰარმონიულობა ადამიანთა უმრავლესობას რის შესაძლებლობას მისცემს, რისი კომპენსირება მოხდება და კიდევ რისთვის იქნება ეს პერიოდი სასიკეთო? 16 თებერვლიდან პლანეტა ვენერას გადანაცვლება მერწყულის ზოდიაქოში რას გამოაცოცხლებს, ანდა პლანეტათა სპეციფიკური განლაგება რას გააძლიერებს? ამ პერიოდში ბევრი ადამიანის ქმედებანი როგორი გახდება და რისი გათვალისწინება გვმართებს? რა და რა თვისებებს გაამახვილებს თვის მეორე დეკადის ბოლოს მზის გადანაცვლება მერწყულიდან თევზების ზოდიაქოში? თებერვლის მესამე დეკადაში როგორ აისახება ადამიანებზე ნეგატიური კოსმოსური ვიბრაციების ინტენსივობის ზრდა, რა დაქვეითდება ან გადაიდება? ამის მიუხედავად, თვის ამ მონაკვეთში ადამიანებში რისი სურვილი მოიმატებს? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება*

**— თებერვლის თვეში რისი მოლოდინი უნდა გვქონდეს, ვარსკვლავები რას იუწყებიან?**

— **თებერვალი შეიძლება ჩაითვალოს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გარდაქმნების პერიოდად. მზე 19 იანვრამდე მერწყულის ზოდიაქოში იმოძრავებს, რის გამოც დედამიწის ბიოსფეროს მდგომარეობა ჰარმონიული იქნება და იანვრის ნეგატიური ტენდენციების კომპენსაცია და ახალი პერსპექტივების გამოყენება გახდება შესაძლებელი. ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნების წარმომადგენელთა უმრავლესობა შეძლებს საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოყენებით არსებული პრობლემების სასიკეთოდ გადაწყვეტასა და ცხოვრების უკეთესობისკენ შემობრუნებას.** სოციალური ჩვევები, ორიგინალურობა, არაორდინარულობა და პროგრესულად აზროვნების უნარი დადებით გამოვლენას პოვებს. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს საქმეებში წინსვლასა და განვითარებას, ახალი იდეების განხორციელებას, ახალი მეთოდების დანერგვას, საქმიანი და პირადი კავშირების გამყარებას, ავტორიტეტის გაძლიერებასა და პროფესიონალიზმის ამაღლებას. **ამგვარად, თებერვლის თვე, 20 რიცხვამდე, ასევე სასიკეთო იქნება** ცხოვრებისეული ცვლილებების დასაგეგმად, მაღალჩინოსნებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისთვის, მოლაპარაკებების ჩასატარებლად, ხელშეკრულებების დასადებად და კონტრაქტების გასაფორმებლად.

**— როგორი იქნება პლანეტათა განლაგება ცის კაბადონზე წელიწადის ყველაზე მოკლე თვეში?**

— **16 თებერვლიდან** სილამაზის, სიყვარულისა და ხელოვნების მმართველი **პლანეტა ვენერა** გადაინაცვლებს **მერწყულის ზოდიაქოში,** რაც ურთიერთობებს გამოაცოცხლებს და მათ მეტ ემოციურობას, კეთილგანწყობას შესძენს. ამავდროულად, **თებერვლის შუა რიცხვებში პლანეტათა სპეციფიკური განლაგება გააძლიერებს საკუთარი წესებით, შინაგანი რწმენით, შეხედულებებით და კანონებით მოქმედების უნარს, რის გამოც ბევრი ადამიანის ქმედებანი უფრო გაბედული, თამამი, მიზანსწრაფული გახდება, ამიტომ კარგი იქნება, თუ საკუთარ გეგმებსა და საქმეებში ჩავრთავთ არამარტო ახლობელ ადამიანსა და ახალ მოკავშირეს, არამედ მოწინააღმდეგესა და კონკურენტსაც. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება შესაძლო შეცდომების გვერდის ავლა.** ამავე პერიოდში საფონდო ბაზარი გააქტიურდება, ინვესტორთა მოტივაცია გაიზრდება. ბიზნესსა და საზოგადოებაში შესაძლებელი იქნება რეფორმების ჰარმონიულად ჩატარება. **შედეგად კი თებერვლის თვე პოზიტიურ ცვლილებებს შემოიტანს როგორც მთლიანად მოსახლეობის, ისე თითოეული ადამიანის ცხოვრებაში.**

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებსა და მოვლენებში თვის მეორე დეკადის ბოლოს მზის გადანაცვლება მერწყულის ზოდიაქოდან თევზების ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 19 თებერვალს (08.14) გადაინაცვლებს რა მერწყულიდან თევზების ზოდიაქოში, უახლოესი ერთი თვის მანძილზე ადამიანებში გააძლიერებს ემოციურობას, მგრძნობელობას, რომანტიკულობას, სენტიმენტალურობას, ინტუიციას, თანაგრძნობის უნარს და მიდრეკილებას ქველმოქმედებისკენ, ხელოვნებისკენ, პოეზიასა და ლიტერატურისკენ; ინტერესს რელიგიურ-ეზოთერული საკითხებისადმი და ასევე გააძლიერებს ფანტაზიორობას, ილუზიებსა და დეპრესიულობასაც.**

**— როგორი იქნება ასტროლოგიური ამინდი და, შესაბამისად, როგორ განვითარდება მოვლენები თებერვლის მესამე დეკადაში?**

— **20 თებერვლის შემდგომ აქტიურობა იკლებს. 23 რიცხვის შემდეგ კი ნეგატიური კოსმოსური ვიბრაციების ინტენსივობა გაიზრდება, რაც უკიდურესად უარყოფითად იმოქმედებს ადამიანთა ორგანოების ფუნქციონირებაზე. იმუნური სისტემა დასუსტდება და ფიზიკური პოტენციალიც დაქვეითდება, შედეგად, ბევრი ჩვენგანი გულჩათხრობილი, ჩაკეტილი და ზოგიერთ შემთხვევაში აგრესიულიც კი შესაძლოა გახდეს. არამდგრადი ურთიერთობა კომუნიკაციას გაართულებს. ილუზიისკენ, სიცრუისკენ, მავნე ჩვევებისკენ და სისუსტეებისკენ მიდრეკილება ენერგეტიკას დააქვეითებს, რაც ნეგატიურად აისახება შრომისუნარიანობაზე და, შესაძლოა, ადრე მიღწეულ შედეგებს ზიანიც მიაყენოს.** ნიშანდობლივია ისიც, რომ საქმიანი სფეროს წარმომადგენლები დროებით გადადებენ ახალ პარტნიორთა მოძიებას, საქმის გაფართოებას, ახალი საქმის დაწყებას. თუმცა, **მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში გაიზრდება შემოქმედებითი უნარის გამოვლენის, სულიერი ზრდისა და განვითარების, კულტურული თუ ენერგეტიკული განახლების სურვილი, რაც დადებითად იმოქმედებს შემდგომ პერიოდსა და მოლვაწეობაზე.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 5 – 11 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**სანაქებო ფსიქოსომატური მდგომარეობა კარგ განწყობას შეგიქმნით. ახალი საქმეებისა და ბიზნესისთვის მშვენიერი პერიოდია. მეტად კონტაქტური იქნებით, რაც ახალი კავშირების დამყარებას, მოლაპარაკებებს, ცოდნის გაღრმავებასა და მოგზაურობას ხელს შეუწყობს. ადამიანებთან ურთიერთობის დროს ბევრ თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას შეიტყობთ. სიყვარულის საკითხში კი სურვილის მიუხედავად დიდი ცვლილებების განხორციელებას ვერ შეძლებთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, დახმარებისთვის ძველ პარტნიორებს მიმართეთ და შესაძლოა, ერთობლივი საქმეც წამოიწყოთ. ხელმძღვანელი პირები კი თქვენი კეთილდღეობის გარანტები იქნებიან. შეყვარებულთან ჰარმონიული ურთიერთობის შესანარჩუნებლად შეეცადეთ, მის მიმართ უფრო ყურადღებიანი იყოთ. საკუთარი ჯანმრთელობის მიმართაც სიფრთხილე გმართებთ. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**ძველ საქმეებს იოლად დაასრულებთ და შესაძლოა, კარგი გასამრჯელოც მიიღოთ. სამსახურში პრობლემების წარმოშობისას იფიქრეთ იმაზე, თუ რისი შეცვლაა აუცილებელი. საოჯახო ან სასიყვარულო ურთიერთობის გაუმჯობესება შემდგომი ქმედებებისთვის სტიმულს მოგცემთ. მოგზაურობისას სიფრთხილე გმართებთ, რათა არაფერი დაკარგოთ. ამ პერიოდში თქვენთვის მეტად სასიკეთო იქნება დინამიკური ვარჯიშები, სპორტულ თამაშებში მონაწილეობა და მეგობრების წრეში გართობა.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**ამ პერიოდში მნიშვნელოვან მოგზაურობას, შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს ნუ დაგეგმავთ. ფინანსებს გაუფრთხილდით, რადგან იზრდება ფულის უმიზნოდ ხარჯვის ალბათობა. როგორც საქმიანი, ისე პირადი ურთიერთობებისთვის რთული პერიოდია. ყველაფრის მიმართ ეჭვი და უნდობლობა გაგიჩნდებათ. შვილებთან ზედმეტად მომთხოვნი ნუ იქნებით, რათა ზედმეტი პრობლემები არ წარმოიშვას. ჯანმრთელობასაც გაუფრთხილდით და ხშირ-ხშირად დაისვენეთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**სერიოზული დამოკიდებულება საქმისადმი ხელმძღვანელობის მოწონებას დაიმსახურებს. დაწინაურების ალბათობაც არსებობს. მომხიბვლელობით საწინააღმდეგო სქესის ბევრ თაყვანისმცემელს გაიჩენთ. შესაძლოა, მოგზაურობა მოგიწიოთ, რაც თქვენს ცხოვრებაზე სასიკეთოდ აისახება. მიუხედავად ამისა, ნუ გადაიღლებით და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად პროფილაქტიკური ზომები დროულად მიიღეთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**კარგი პერიოდია დამატებითი ცოდნის მისაღებად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, პროფესიის ან სამსახურის შეცვლისთვის, რაც ერთდროულად ფინანსურ მდგომარეობასაც გაგიუმჯობესებთ და კარიერულ ზრდასაც უზრუნველყოფს. ბევრმა შეხვედრამ, შესაძლოა, დაღლის შეგრძნება გაგიჩინოთ. ახალი ურთიერთობის გამო მზად იქნებით, ძველი კავშირები გაწყვიტოთ. კარგი პერიოდია შორეული მოგზაურობისთვის, უცხოელებთან პირადი და საქმიანი ურთიერთობებისთვის.**

## 5 – 11 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**ჩანაფიქრთა განხორციელების დროა. ახალი კავშირები და ინფორმაცია თქვენს მომავალს უზრუნველყოფს. მომატებული ენერგიითა და კარგი განწყობით რთულ სიტუაციებს იოლად გაუმკლავდებით. შესაძლოა, გამგზავრება მოგიწიოთ, რაც არამარტო საქმისათვის, არამედ პირადი პრობლემების მოგვარებისთვისაც კარგი იქნება. კარგი კვირაა ჯანმრთელობის გასაკაჟებლად და იმიჯის გასაუმჯობესებლადაც. დადებითი ცვლილებები ასევე, დადებითად აისახება სასიყვარულო ურთიერთობაზეც.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ფიზიკურ-ემოციური მდგომარეობა დაქვეითებული გაქვთ, თუმცა, პროფესიულ საქმიანობასა და მიზნის მიღწევას ეს ხელს არ შეუშლის. შესაძლოა, თქვენი შემოსავლიანი სახელფასო განაკვეთი გაიზარდოს. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას კი საიდუმლო საქმეების ან დამატებითი სამუშაოს შესრულებით შეძლებთ. ოჯახის წევრები და შეყვარებული ყოველმხრივ გვერდით დაგიდგებიან, ოღონდ ნუ გადაიღლებით.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**აქტიური მუშაობის, შეხვედრებისა და საინტერესო კავშირების დამყარების პერიოდია, თუმცა, მიზნის მისაღწევად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. ზოგიერთ საქმეს ვერ დაასრულებთ და მათი დასრულება მოგვიანებით მოგიწევთ. კეთილდღეობა კი სწრაფ და უეცარ ქმედებებზე, შეყვარებულზე ზრუნვა და მისი მოვლა იდილიურ სასიყვარულო ატმოსფეროს შექმნის. შორეული მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი პერიოდია, თუმცა, ძველთან დაკავშირებით საუკეთესო გამოსავალს ადვილად იპოვით. მეგობრები ყოველმხრივ დახმარებას გაგიწევენ. ენერგიის ნაკლებობის გამო აუცილებელია ხშირად დასვენება. ჯანმრთელობის მდგომარეობაც ყურადღებას ითხოვს. მეუღლესა და შვილებთან მიმართებით ურთიერთდამოკიდებულებას ნუ გაამწვავებთ. გადაადგილებები და მოგზაურობები კი მინიმუმამდე უნდა შეამციროთ, რათა არ დაშავდეთ.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**ხელსაყრელი პერიოდია კარიერული აღმასვლისთვის და ავტორიტეტის ასამაღლებლად. ძველი ჩანაფიქრი თამამად განახორციელეთ, რათა მომავალში მშვიდად იყოთ. წვრილმანი პრობლემების მიუხედავად, საქმეში წარმატების მიღწევა გაადვილდება. ეცადეთ, შეყვარებულთან და ახლო ნათესავებთან ტაქტიანი და დიპლომატიური იყოთ. ამგვარად, საწადელს ადვილად აისრულებთ და არც არავის გაალიზიანებთ. მოგზაურობამ კი შესაძლოა, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინოს და ახალი მიზნებისკენ გიბიძგოთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**მთავარი საზრუნავი ფინანსური საკითხი და შემოსავლის გაზრდა იქნება. თქვენი სახლი მეგობრებისა და ახლო ნათესავების თავყრილობის ადგილად გადაიქცევა. მეუღლესთან ან შეყვარებულთან უთანხმოებას დიდხანს ნუ გააგრძელებთ, რადგან ეს თქვენს შინაგან მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. ამ პერიოდში ლიდერობისთვის ბრძოლა არ არის რეკომენდებული. იმიჯის შეცვლა და ვარჯიში სიამოვნებას მოგანიჭებთ. ახლო მანძილზე მოგზაურობაც დადებითად ჩაივლის.**



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
### 7 და 9 თებერვალი

**10 თებერვალი – ახალმთვარეობა, პიკი – 03.01 საათზე.**
**24 თებერვალი – სავსემთვარეობა, პიკი – 16.31 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 5 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.10 საათზე, ჩადის 17.21 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 03.15 საათზე, ჩადის 12.04 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 06.20 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს გააზრებულად იმოქმედეთ, პროვოკაციებს ნუ აჰყვებით, ინტუიცია იმატებს. კარგი დღეა ფილტვების, ბრონქების, მხრების, ხელების სამკურნალოდ, სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის, სწავლისთვის, უცხოეთში კაპიტალდაბანდებისთვის, იურიდიული საკითხებისთვის, მგზავრობისთვის, საზოგადოებრივი აქტიურობისთვის, ხელშეკრულების დასადებად. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაღვლის ბუშტი, ღვიძლი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ამეთვისტო, იაგუნდი, სარდიონი, ნეფრიტი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 6 თებერვალი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.09 საათზე, ჩადის 17.22 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (16.14) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 04.24 საათზე, ჩადის 12.56 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 07.43 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 09.07 საათიდან 16.10 საათამდე. **ტენდენციები:** დღეიდან გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციის მმართველი **პლანეტა მერკური** გადაინაცვლებს **მერწყულის** ზოდიაქოში (25 თებერვლამდე), რაც გააძლიერებს ადამიანებში თავისუფლებისმოყვარეობას, დემოკრატიულად აზროვნებას, რეფორმისა და სიახლისკენ მიდრეკილებას, ორიგინალურ თვითგამოხატვის უნარს, სპონტანურ იმპროვიზაციას და ასევე სიჯიუტეს, სულსწრაფობას. დღეს კარგი დღეა მგზავრობისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, სწავლისთვის, იურიდიული საქმეებისთვის. საღამოს კი ხელი შეეწყობა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებას. არ არის სასურველი ბევრი ლაპარაკი (იყავით ლაკონიური), მშენებლობა, სისხლის გადასხმა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ძვლოვანი სისტემა, სახსრები. **ქვები:** ფირუზი, იასპი, ქარვა, ლაზურიტი. **საღამოს:** ონიქსი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 7 თებერვალი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.07 საათზე, ჩადის 17.23 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 05.27 საათზე, ჩადის 14.01 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 08.47 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** რთული, პროვოკაციული და წამგებიანი დღეა. თვალებს ზედმეტად ნუ დაღლით. არ არის სასურველი ფინანსური ოპერაციები, ვაჭრობა, ოფიციალურ და ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა, ახალი კავშირების დამყარება, ალერგიული პროდუქციის მიღება, სიმძიმეების აწევა. კარგი დღეა კუჭ-ნაწლავის მკურნალობისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, საოფისე საგნების, საათების, უძრავი ქონების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, კანი, მუხლები, სახსრები, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 8 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.06 საათზე, ჩადის 17.25 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.08) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 06.21 საათზე, ჩადის 15.17 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 09.25 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 11.53 საათიდან 18.01 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ეცადეთ, დადებითი ცვლილებების მიმართ სწრაფად მოახდინოთ ადაპტაცია. საჭის მართვისას ნუ იჩქარებთ. ურთიერთობისას სიხისტე და სიჯიუტე დაიოკეთ. არ არის სასურველი ფინანსური ოპერაციები, ვაჭრობა, გავლენიან პირებთან კონტაქტი, საიდუმლოს გამხელა, მკვეთრი მოძრაობები, სიმძიმეების აწევა. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, კარგად ნაფიქრი საქმის შესასრულებლად, ექიმთან კონსულტაციისთვის, კუჭისა და მკერდის სამკურნალოდ, მშენებლობისთვის, საოფისე ნივთების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, თვალები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მარჯანი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 9 თებერვალი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.05 საათზე, ჩადის 17.26 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 07.05 საათზე, ჩადის 16.40 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 09.47 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ახალმთვარეობის წინა პროვოკაციული დღეა, იყავით ყურადღებით! არ არის სასურველი გადაწყვეტილებების მიღება, ახალი საქმის დაწყება, ემოციურობა, საიდუმლოს გამხელა, თვალების დატვირთვა, დიდხანს ფეხზე დგომა, ელექტრო და აირხელსაწყოებთან მიმართებით სიფრთხილე გამოიჩინეთ. შემოიფარგლეთ ყოველდღიური საქმეებით. კარგი დღეა ინტელექტუალური განვითარებისთვის, სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, რეკლამირებისა და განცხადებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, მხედველობა, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, გიშერი, ციტრინი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 10 თებერვალი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.04 საათზე, ჩადის 17.27 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.51) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.39 საათზე, ჩადის 18.03 საათზე (**ახალმთვარეობაა, პიკი** — 03.01 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა. მთვარის მე-2 დღე იწყება 10.00 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.00 საათიდან 17.44 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს აღმოსავლური კალენდრის მიხედვით იწყება ხის სტიქიის მწვანე დრაკონის წელიწადი. პოზიტიურად განეწყვეთ. დღე მშვიდად გაატარეთ, ინტუიციას დაეყრდენით. სასიკეთოა ლოცვა, მედიტაცია. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ინტელექტუალური და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. მოერიდეთ ნერვიულობას, ფეხზე დიდხანს დგომას, მხედველობის გადაღლას, საიდუმლო საქმიანობას. რეალურ ფაქტებს დაეყრდენით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ვენები, ტერფები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ცირკონი. **საღამოს** — გიშერი, მარგალიტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 11 თებერვალი, კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.03 საათზე, ჩადის 17.28 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 08.08 საათზე, ჩადის 19.24 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 10.10 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** პროვოკაციული დღეა, ყურადღება გმართებთ! არ არის სასურველი სესხის აღება-გაცემა, ანალიზების ჩაბარება, ცრუ დაპირებები, ახალი საქმის დაწყება, საიდუმლოს გამხელა, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ქველმოქმედებისთვის, გასართობი ღონისძიებებისთვის, გეგმის შედგენისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, თვალები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, ამეთვისტო, მარჯანი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის.



✝ **5 თებერვალი. ორშაბათი.** კლიმენტი ანკვირელი ეპისკოპოსისა და მოწამისა აგათანგელოზისა; ღირსისა მავსიმე ასურისა; ღირსისა სალამან მდუმარისა; პავლინა მოწყალისა, ნოლანელი ეპისკოპოსისა; ხსენება წმიდათა მამათა, რომელნი შეიკრიბნენ VI მსოფლიო კრებაზე; ღირსისა ევსევი ასურისა; ორთა მოწამეთა კვიზიკელთა; აქოლე თესალონიკელი ეპისკოპოსისა.

✝ **6 თებერვალი. სამშაბათი. წმინდა მელქისედეკ I-სა, საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქისა, სვეტიცხოვლის განმაახლებელისა;** ღირსისა ევსებია დედათდიაკონისა, რომელსა ეწოდა ქსენია, რომაელისა და ორთა მსახურთა მისთა; მოწამეთა: ბაბილა სიცილიელისა და მოწაფეთა მისთა ტიმოთესი და აგაპისა; ღირსისა მაკედონისა, სირიელი მეუდაბნოისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ღირსმოწამისა ანასტასი სპარსისა; ნეტარისა ქსენია პეტერბურგელისა, სალოსისა; მოწამე ძმათა: პავლესი, პავსირისი და თევდოტისი, ეგვიპტელთა; მოწამისა ხრვისოპლოკისი; ღირსისა ფილონისა, კარპასიის ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა; ღირსისა დიონისე ოლიმპელისა; მოწამეთა ბარსიმესი და მისთა ორთა ძმათა, სპარსეთში ვნებულთა; ღირსისა ფილიპიკე ხუცისა; ღირსისა ნეოფიტე დაყუდებულისა, კვიპროსელისა; ღირსისა ნეტარმოწამისა კადოკისა.

✝ **7 თებერვალი. ოთხშაბათი. გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა;** გაბრიელისა, იმერეთის ეპისკოპოსისა; მოწამისა ფილიცატასი; ღირსისა პოპლისა; ღირსისა მარი მგალობელისა; ღირსისა კასტინოსისა, ბიზანტიონის ეპისკოპოსისა; მოწამისა მედულესი; ღირსისა დიმიტრი სკევოფილაქსისა; მოწამისა ავქსენტი კონსტანტინოპოლელისა; მღვდელმოწამისა ვლადიმერისა, კიევის მიტროპოლიტისა; ბრეტანისა, ტომისის ეპისკოპოსისა, აღმსარებელისა.



**7 თებერვალი – ხსენება მღვდელმთავრისა გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა**

✝ **8 თებერვალი. ხუთშაბათი. კეთილმსახურისა მეფისა დავით აღმაშენებელისა;** ღირსთა: ქსენოფონტისა, მეუღლისა მისისა მარიამისა და ძეთა მათთა არკადისა და იოანესი; მოწამეთა: ანანია ხუცისა, პეტრე მეჭურჭლისა და მათთანა შვიდთა მხედართა, რომელნი იტანჯნეს ფინიკეს; ღირსისა სვიმეონ ძველისა, სინელისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ღირსისა თეოდორესი, სტუდიელი იღუმენისა; წმიდათა ორთა მოწამეთა; ღირსისა ამონისა; ღირსისა გაბრიელ იერუსალიმელისა; ღირსისა კლიმენტისა, საგმატიოსის მთაზე მოღვაწისა; წმიდისა პავლა ქვრივისა.

✝ **9 თებერვალი. პარასკევი. იოანე ოქროპირის წმიდათა ნაწილთა აღყვანება აფხაზეთის კომანიდან კონსტანტინოპოლს;** კეთილმორწმუნისა დედოფლისა მარკიანასი; ელიასი, იერუსალიმელი პატრიარქისა; ღირსისა პეტრე მეგვიპტელისა; მოწამისა დიმიტრისა კონსტანტინეპოლში; დიმიტრიანესი, ტამასოს ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა.

**10 თებერვალი. შაბათი.** ღირსისა ეფრემ ასურისა; ღირსისა პალადი მეუდაბნოისა; ღირსისა ისააკ ასურისა, ნინევიის ეპისკოპოსისა; ღირსისა იაკობ დაყუდებულისა, ეპისკოპოსისა, რომელსა შეემთხვა დაცემა სიძვითა; ორთა მოწამეთა — დედისა და ასულისა; მოწამისა ქარისასი.

✝ **11 თებერვალი. კვირა. კრება ახალმოწამეთა და აღმსარებელთა. აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მღვდელმოწამისა ეგნატე ღმერთშემოსილისა;** მოწამისა მეფისა აშოტ დიდისა, კურაპალატისა, არტანუჯის ტაძარში წამებულისა; მოწამეთა: რომანოზისა, იაკობისა, ფილოთეოზისა, იპერიქისა, აბიბოსი, ივლიანესი და პარიგორისა, სამოსატს აღსრულებულთა; მოწამეთა: სილოვანე ეპისკოპოსისა, ლუკა დიაკონისა და მოკი წიგნისმკითხველისა; მოწამეთა: ზარბილისი და დისა მისისა ვევეასი, ედესას წამებულთა; ღირსისა აკეფსიმესი; პატიოსნისა ჯვარისა, რომელი ეჩვენა ზეცით კონსტანტინე მეფესა დანობსა ზედა; ღირსისა აფრაატისა; მოწამისა დიმიტრი ქიოსელისა; მოწამისა ქრისესი; მღვდელმოწამისა კონსტანტისა; მოწამეთა პაპისა და მავრესი; მოწამისა საბინიანესი; მღვდელმოწამისა აკვილინე ხუცისა; წმიდისა გილდი ბრძენისა, ბრიტანელი იღუმენისა; ღირსისა ეგნატე სინელისა, რეთიმნელისა.

## ბერის რჩევები ერში მცხოვრებ ქრისტიანს

● „მოიღვაწე ღვაწლი იგი კეთილი“, რამეთუ ხშირად მომხდარა, რომ ერთი საათის შრომას სამოთხე მოუპოვებია და პირიქით, დაუდევრობის გამო ერთ საათში დაუკარგავთ იგი.

● ქრისტეს მცნებათა აღსრულება ჩვენგან დაუძინებელ შრომასა და შეურყეველ მხნეობას მოითხოვს, რადგანაც ამ დროს ადამიანი არა მხოლოდ გარეგან შემთხვევებსა და განსაცდელს, არამედ საკუთარ თავსაც უნდა ებრძოდეს.

● „ღმერთი მოგცემს“, — პასუხობს ზოგიერთი, როცა მოწყალებას სთხოვენ. უგუნურია ადამიანი, რომელიც ასე ექცევა გასაჭირში ჩავარდნილს. გაჭირვებულს ღმერთი გიგზავნის, შენ კი კვლავ მასთან აბრუნებ. ღმერთი, რა თქმა უნდა, მისცემს, მაგრამ შენც მიეცი. ღმერთი უველა გაჭირვებულის შემწეა, მაგრამ მოგცემს შენ იმ წყალობას, რომელიც განუზომლად გჭირდება, იმაზე მეტად, ვიდრე გაჭირვებულს შენი მოწყალება?



● ადამიანი, რომელიც, შენი აზრით, სხვების სიყვარულს არ იმსახურებს, სამაგიეროდ იმსახურებს ღმერთი, ვის ხატებასაც ატარებს ეს კაცი თავის თავში. იმსახურებს იესო ქრისტე, რომელმაც მისთვის საკუთარი სისხლი დაღვარა.

● იფიქრე სიკეთეზე, არ იფიქრო ბოროტებაზე, რადგანაც სულს არ შეუძლია უქმად ყოფნა.






### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კვარტალი; 7. წელიწადი; 11. დეკოლტე; 12. სარბიელი; 13. რეტორტა; 14. შვედეთი; 15. ლა; 16. ადამიანი; 20. ლაინერი; 21. ტულიპი; 23. კოლექცია; 26. მალარია; 30. პრინცესა; 32. რადიკალი; 34. რემონტი; 35. სტუდია; 36. მაზარინი; 39. ტანტალოსი; 41. სვანი; 43. ანაბაზისი; 45. მონადირე; 48. სპირტი; 49. მასტიხინი; 52. ლავირება; 54. ნარიტა; 57. ალ; 58. მარინისტი; 60. სილიო; 63. აკორდი; 64. ნარ; 65. კაპელანი; 66. ოპიზარი.

შვეულად: 1. კისტა; 2. ატრია; 3. ტვინი; 4. იდიში; 5. აკვედუკი; 6. ალგეთი; 7. წერილი; 8. ლიტრი; 9. წურბელა; 10. დიალიზი; 17. დროშა; 18. მოემი; 19. ნეი; 22. პრელატი; 24. ცვარი; 25. აპისი; 26. მარენგო; 27. ლამბადა; 28. რანჩო; 29. ალიზი; 31. ნოდია; 32. რამპა; 33. დაზგა; 37. რკალი; 38. ნაიკი; 40. სერობა; 41. სისინი; 42. ნერბი; 44. ნიაგარა; 45. მილა; 46. ნივთი; 47. დირბი; 50. ტეიდე; 51. ხაიფა; 53. ალური; 55. რუკა; 56. ტური; 59. ტრი; 60. სიო; 61. ლუი; 62. ონა.

**კოტეჯიცუნამიბიაბრუნეიმარიოტიტირადამესიალი**
**კოროზიანიაგარაკიროსინისანიტარიფირალისტილი**

| პატარა საცხოვრებელი სახლი აგარაკზე | გიგანტური ტალღები ოკეანეში | უაზრო, უმიზნო | ბრაზილიელი ფეხბურთელი | ყურის ანთება | აიდას სატრფო | ცეც-ხლის ანადენი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქეთოს სატრფო | ორთა-ბრძოლა ჯიუ... | აფრიკის სახელმწიფო | აზიის სახელმწიფო | სასტუმრო თბილისში | პათოსით წარმოთქმული სიტყვა | ზეციური მხსნელი | ბრი-უს ... |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ოთხ ქუჩას შორის მოქცეული ქალაქის ნაწილი; 7. თორმეტთვიანი დროის მონაკვეთი; 11. გულამოღებული კაბა; 12. ასპარეზი; 13. სითხის გამოსახდელი ხელსაწყო; 14. ევროპის სახელმწიფო; 15. მე-6 ნოტი; 16. ილია ჭავჭავაძე — „კაცია ...?!“; 20. დიდი საოკეანო გემი; 21. ყვავილი, ტიტა; 23. ერთგვარი საგნების სისტემაში მოყვანილი კრებული; 26. ციებ-ცხელება; 30. მეფის ქალიშვილის ტიტული დასავლეთ ევროპაში; 32. ამოფესვის ნიშანი (მათ.); 34. რისამე შეკეთება; 35. მხატვრის, მოქანდაკის სახელოსნო; 36. ფრანგი კარდინალი; 39. ლიდიის მეფე ბერძნულ მითოლოგიაში; 41. ბაბლუანის ფილმი; 43. ძველი ბერძენი მწერლის ქსენოფონტის თხზულება; 45. ნადირობის მიმდევარი; 48. ალკოჰოლით მდიდარი სითხე; 49. ფერმწერის ხელსაწყო, დანა; 52. მოხერხებულად გვერდის ავლა სიძნელეებისათვის (გადატ.); 54. აეროპორტი ტოკიოში; 57. მსახიობი ... პაჩინო; 58. მხატვარი, რომელიც ზღვის ხედებს ხატავს; 60. ერთგვარი საჭმელი სოკო; 63. მუსიკალური ბგერების ჰარმონიული შეერთება; 64. ქართული ნ-ს სახელი; 65. სამეფო კარის მღვდელი კათოლიკეებში; 66. ქართველი ოქრომჭედლისა და ჭედური ხელოვნების ოსტატი. (მე-12 ს.).

შვეულად: 1. კეთილთვისებიანი, პარკისმაგვარი სიმსივნე; 2. მოხარშული ცომის ნაჭრები; 3. აზროვნების ორგანო; 4. ევროპელ ებრაელთა ენა; 5. ხიდი, რომლითაც გადაყვანილია წყალსადენი მილი; 6. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 7. უსტარი; 8. სითხის საზომი ერთეული; 9. სისხლისმწოველი ჭია; 10. გამოყოფა (ბერძნ.); 17. ბაირაღი; 18. ინგლისელი მწერალი; 19. ნაპოლეონის მარშალი; 22. კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 24. ნამი; 25. ღვთაებრივი ხარი ძველ ეგვიპტეში; 26. ერთგვარი შავი ფერის ქსოვილი; 27. ბრაზილიური ცეკვა; 28. მესაქონლეობის ფერმა აშშ-ის დასავლეთში; 29. გამოუწვავი აგური; 31. ქართველი ექსფეხბურთელი; 32. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 33. ჩარხი; 37. წრეხაზის ნაწილი; 38. ამერიკული სპორტული ნაწარმის ფირმა; 40. ლეონარდო და ვინჩი — „საიდუმლო ...“; 41. გველის ხმიანობა; 42. დედალი ცხენი; 44. მდინარე ჩრდილოეთ ამერიკაში; 45. მსახიობი ... იოვოვიჩი; 46. რაიმე საგანი; 47. სოფელი ქარელის რაიონში; 50. ვულკანი კანარის კუნძულებზე; 51. ქალაქი ისრაელში; 53. ცხენის ერთგვარი სვლა; 55. დედამიწის შემცირებული ნახაზი; 56. საჭადრაკო ტურნირის ნაწილი; 59. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს სამი რისამე შემცველს; 60. ნიავი; 61. ფრანგ მეფეთა სახელი; 62. თურქული მარგარინი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად | ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში | სპარსეთის შაჰი | იაპონური ავტო | ნიხრი | რალში მონაწილე | ვივ-იენ ... |
|---|---|---|---|---|---|---|

| ფრანგი ფერმწერი | ვნების მიყენება | ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი | იტალიელი კომპოზიტორი | უმცროსი მედიცინის მუშაკი | გურული ყაჩაღი | წელთ-აღრიცხვის სისტემა |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2024 წლის 5 – 11 თებერვალი №7 (1525)
გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოხჰოხაცია "ასავალ-ღასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-ღასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი
*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
mail@asavali.com
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

